ივანე ჯაიანი

წერილები შავშეთიდან

(პუბლიცისტური მემკვიდრეობა)

შეადგინა, შესავალი წერილი, შენიშვნები
და საძიებლები დაურთო **რამაზ სურმანიძემ**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1991

63. 3 (2Г)
ᲯᲐ 167

„წერილები შავშეთიდან“, არსებითად, ივანე ჯაიანის ავტორობით, გასული საუკუნის ბოლოს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილების კრებულია. იგი ასახავს ოსმალთაგან ოთხი საუკუნის წინ მიტაცებული უძველესი ქართული პროვინციის — შავშეთისა და ჭოროხის აუზის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, აგრეთვე იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. წიგნს უეჭველია ინტერესით შეხვდება ფართო მკითხველი საზოგადოება.

რედაქტორი ვ. შამილაძე

რეცენზენტები: ა. სურგულაძე
ნ. კახიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991

0503020906
D————
М 608(06)91

ISBN 5—511—00505--3

ივანე ჯაიანი

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

„— ბარამ მოურავებო! ახლა გვმართებს სიფრთხილე და ჭკუა-გონება“, — მიმართავდა აკაკი წერეთელი ოსმალთაგან ახლად გახთავისუფლებულ მაზრებში სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშნულ ქართველ მოღვაწეებს, რომელნიც სამი საუკუნის შემდეგ მოევლინენ საქართველოს ამ პროვინციებს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ ისტორიამ დააკისრა დიდი ეროვნული მისია, ყოველმხრივ დახმარებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მის მიხართ გამოეჩინათ დიდი ყურადღება, სიფრთხილე და გონიერება. ამიტომ იყო რომ ახლად შემოერთებულ მხარეებში სახელმწიფო სამსახურში გასაგზავნი პირების შერჩევაში აქტიურად მონაწილეობდნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი... აკაკის ეს მოწოდებაც სწორედ მათკენ იყო მიმართული (გაზ. „დროება“, 1878, № 183).

ბოლოს და ბოლოს ბედმა გაუღიმა დიდი ხნით დაჩაგრულ ქართველობას. მათთან მთავრობის მოხელეებად კი არა, ნამდვილ მოციქულებად მოვიდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები: ბათუმის ოლქში — გრიგოლ გურიელი, ართვინის ოლქში — მიხეილ მეფისაშვილი, მაჭახლის ხეობაში — დავით წერეთელი (აკაკის უფროსი ძმა). ისინი შემთხვევით არ ამოურჩევიათ და არ გამოუგზავნიათ აქ მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებად. ყველა მათგანს რაღაცა ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა აჭარა-შავშეთთან.

ერთ-ერთი ასეთი „ბარამ-მოურავი“ გახლდათ ივანე ჯაიანი, რომელიც ერთხანს ქობულეთში, ბათუმსა და ხულოში მუშაობდა, ხოლო შემდეგ მან ბორჩხაში დაიდო ბინა. იგი მეფის არმიაში მსა-

ხურობდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იყო ვექილიც, მოსამართლეც, კორესპონდენტიც, მასწავლებელიც, დამრიგებელიც, ექიმიც....

ივანე ჯაიანის ცხოვრება და პუბლიცისტური მემკვიდრეობა დღემდე შესწავლილი არ არის. ჩვენ შევეცადეთ შეგვეკრიბა მისი ბიოგრაფიული ცნობები და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, სანამ უშუალოდ ი. ჯაიანის ბიოგრაფიას შევეცდებოდეთ. მიზანშეწონილად მიგვაჩია მკითხველს მივაწოდოთ მოკლე ცნობები ჯაიანთა წარმომავლობისა და გენეალოგიის შესახებ, რადგანაც მათ საგვარეულოს გარკვეული კავშირი აქვს ე. წ. სამუსლიმანო საქართველოსთან.

ჯაიანთა გვარი მე-15 საუკუნიდან არის ცნობილი. მისი პირველი წარმომადგენელია ცოტნე ჯაიანი, რომელიც იხსენიება 1476 წლის ისტორიულ საბუთებში. მემატიანეთა აზრით, ეს გვარი უნდა მოდიოდეს ფარაჯანიანთაგან, რომლებიც ლიხთ-იმერეთში ცხოვრობდნენ. მომდევნო პერიოდში ჯაიანები სამეგრელოს მთავრის — დადიანის კართან დაახლოებულ დიდებულებად ჩანან, თუმცა, ამ ორ გვარს შორის არაერთჯერ მომხდარა სისხლისმღვრელი შეტაკებებიც. ამასთან დაკავშირებით იყო გვარის აღმავლობაც და დაცემაც. ერთ-ერთი მორიგი ინციდენტის დროს გადადიანებულმა ჩიქოვანებმა ამოწყვიტეს ჯაიანთა მთელი მოდგმა. გადარჩა მხოლოდ შაქარ ჯაიანი, რომლის ნამრავლნი არიან მისი მომდევნო შთამომავალნი. შაქარის შვილს ხუთი ვაჟი ჰყავდა. გადმოცემით ისინი დასახლებულან სოფელში, რომელსაც ხუთი ძმის პატივსაცემად „ა-ხუთი“ ეწოდა.

ხუთიდან ერთი ძმის შვილი ფოთის ფაშას დამორჩილებია, შემდეგ ლაზეთში (გონიოში) გადასულა, ჩვენი აზრით, აჭარელი ჯაიანები ამ კაცის შთამომავლები უნდა იყვნენ.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ახუთელი ჯაიანების ერთი შტო სამეგრელოს სოფელ ხორგაში, მეორე ალერტაში გადასახლდა (ო. ს ო ს ე ლ ი ა. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, 1973, გვ. 289—298). ხორგელ ოტია ჯაიანს ცოლად ჰყავდა აჭარის მმართველის, შემდგომში ახალციხის ფაშის, ცნობილი სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილი — ესმა, რომლის დედა, კესარია, გურიის უკა-

ნასკნელი მთავრის მამია V-ის ღა იყო. ოტია ჯაიანი სამეგრელოს ჯაოს მეთაურობდა. იგი გურიის 1841 წლის აჯანყების დროს მოკლეს. ესმას მისგან დარჩა ერთადერთი ქალიშვილი ბარბალე. იგი თავად დავით ერისთავს მისთხოვდა. მათ შეეძინათ შვილი კონსტანტინე (შემდეგში პოეტი, დრამატურგი, მსახიობი, „ერთხელ ვიხილეს“ ავტორი), რომელიც სრულიად ახალგაზრდა 1877-82 წლებში ბათუმის ოლქში მუსულმან ქართველთა ასეულის უფროსი იყო (რ. სურმანიძე, ფიქრები ძველ საფლავთან, ჟურნ. „განთიადი“, № 4, 1978).

ივანე ჯაიანი შთამომავლობით ოტია ჯაიანის შტოს მიეკუთვნება, ამდენად ისიც ნათესაობდა აჭარელ ხიმშიაშვილებთან. ივანე ჯაიანი ბორჩხაში მსახურობდა მაშინ, როცა მთელი შავშეთ-იმერხევის მილიციას მისი ნათესავი, ოტიას ცოლისძმა (ესმას ძმა მამიდან) ნური ხიმშიაშვილი განაგებდა.

* * *

ივანე (ფარნა) ხარიტონის ძე (ხიტუს ძე) ჯაიანის ბიოგრაფიიდან ბევრი რამ ჩვენთვის უცნობია. გაგვაჩნია მსოლოდ მისი შვილის, 75 წლის გიორგი ჯაიანის მოგონება, კანტი-კუნტი ცნობები „კავკაზსკი კალენდარიდან“ და თვით ივანეს წერილები, რომლებიც დროდადრო ქვეყნდებოდა „დროებასა“ და „ივერიაში“.

ივანე ჯაიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბათუმის ქალაქის თავად ქართველთა წარმომადგენლის ი. ზ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურის გასაყვანად. ეს კანდიდატურა 1902 წელს შერჩეული იყო ილია ჭავჭავაძის მიერ, მაგრამ არჩევნებამდე სამი დღით ადრე გაირკვა, რომ ი. ანდრონიკაშვილს არ ყოფნიდა ქონებრივი ცენზი. საჭირო იყო ისეთი კაცის გამოძებნა, რომელიც ქალაქის თავის კანდიდატს გადაუფორმებდა ქონებას. ბათუმის თვითმმართველობის მდივანმა ივანე მესხმა, არჩევანი შეაჩერა ივანე ჯაიანზე, რომელსაც კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, რომ მას ფოთში ცოლის გარდაცვალების და მეორე ცოლის შერთვის შემდეგ ჰყავდა დედით ობოლი ბავშვები — ბაბუცა და თამარი. მათ მემკვიდრეობით დარჩათ ქონება და სხვა ფასეულობანი.

ამ დროს ი. ჯაიანი აბაშაში იმყოფებოდა. იგი ბათუმიდან გაგზავნილმა ჩიქოვანმა მონახა, ფოთში წაიყვანა და მომრიგებელ მო-

სამართლე დავით ყიფიანის მეშვეობით ი. ჯაიანის შვილების სა-
მეურვეო ქონება ი. ანდრონიკაშვილს დაუმტკიცა. საბუთები სასწ-
რაფოდ აფრინეს ბათუმში.

ამასობაში საარჩევნო სხდომა დაიწყო, მაგრამ ჩიქოვანი ჯერ
კიდევ არ ჩანდა. რეაქციონერი ხმოსნები გახარებული იყვნენ, თა-
ვისი კანდიდატურის არჩევას წინასწარ ზეიმობდნენ. ქართველმა
ხმოსნებმა მოითხოვეს სხდომის დროებით შეწყვეტა იმ მოტივით,
რომ საჭირო იყო წინასწარი მოლაპარაკება. „ეს იყო ხერხი, რომ
გაგზავნილებს კრებისათვის ჩამოესწროთ", — წერს დ. კლდიაშვი-
ლი („ჩემი ცხოვრების გზაზე", 1961, გვ. 99). ამასობაში საბუთე-
ბიც მოვიდა, სხდომა გაგრძელდა და ბათუმის ქალაქის თავად აირ-
ჩიეს ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი.

როგორც გიორგი ჯაიანი გადმოგვცემს, მამამისი ივანე 1862
წელს დაბადებულა სამეგრელოს სოფელ ალერტაში, საიდანაც
ფოთში გადასულა. ცოლად ჰყოლია ნამიჭეიშვილის ქალი, რომლის-
განაც შეძენია ორი ქალიშვილი. ფოთში ივანე ჯაიანს სამოთახიანი
სახლი ჰქონია.

პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ ი. ჯაიანს შეურთავს
ძაძუ ყვანია, რომლისგანაც შეძენია ქალ-ვაჟი — ოლია და გიორგი.
ძაძუც 1910 წელს გარდაცვლილა და ობოლი ოლია ბიძას, ლადო
ყვანიას წაუყვანია, ხოლო გიორგი ბიძასთან, ძველაბაშელ გუგუ-
შვილის ქალთან იზრდებოდა.

ჭოროხის ხეობაში (ბორჩხა, ართვინი) და ლაზისტანში მუშაო-
ბის დროს ი. ჯაიანი ლაზ ბავშვებს ქართულ ენას და წერა-კითხვასაც
ასწავლიდა, ჯარში სამსახურის დროს როტმისტრის წოდებამდე
მიეღწევია. კარგი მუშაობისათვის ნინოს ჯვარით დაუჯილდოებიათ.

ამ პერიოდში ივანე ფოთში იშვიათად ჩამოდიოდა. მიუხედავად
ამისა, ნიკო ნიკოლაძესთან იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონია,
რომ ზოგჯერ მას ზაფხულობით სოფელ ალერტაში პატიჟებდა.
როცა ნ ნიკოლაძე საზღვარგარეთიდან დაბრუნდა, მის სანახავად
ი. ჯაიანი სპეციალურად თბილისში ჩასულა.

1915 წელს ი. ჯაიანი აირჩიეს ქალაქის ხმოსნად. იგი შედიოდა
ფოთის საზოგადოების დელეგაციაში, რომელმაც მონაწილეობა მი-
იღო აკაკის დაკრძალვაში.

პირველი მსოფლიო ომის დროს ი. ჯაიანი რამდენიმეჯერ დაჭ-

რილა, თავის ქალაზე საკმაოდ დიდი ღარიც ემჩნეოდა და ლავიწის ძვალიც ჰქონია გატეხილი. ომის დამთავრების შემდეგ ბიძაშვილის, გენერალ ილია ჯაიანის რჩევით, ივანეს ცოლად შეურთავს თიანეთელი სოფიო მოსახლიშვილი, თვითონაც ფოთიდან თიანეთში გადასულა და 8 წლის გიორგიც თან წაუყვანია, ფოთის სახლ-კარი კი პირველი ცოლისაგან შეძენილი შვილებისათვის დაუტოვებია.

1918 წელს ი. ჯაიანი მონაწილეობდა მოსახლეობის აღწერაში ზემო და ქვემო ალვანში, ამ პერიოდში ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა ზემო ალვანის სკოლის შენობაში.

საყურადღებოა, რომ ი. ჯაიანს ჭოროხის ხეობიდან წამოსვლის ოცი წლის შემდეგაც იქაურებთან არ გაუწყვეტია ურთიერთობა. გიორგი ჯაიანი იგონებს: „მახსოვს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მამა თიანეთიდან გაემგზავრა მაჰახელაში (ჭოროხის ხეობაში), რაღაც საქმეების გამო. როცა დაბრუნდა, ჩამოიტანა თამბაქოს (სამსუნისა და ტრაპიზონის ჯიშის) თესლი და მოპყავდა თავის ეზოში, რაც მთელი წლის განმავლობაში მას ყოფნიდა. მანვე ჩამოიტანა ბუნებრივი ალმასის ნატეხი თითქმის ხელისგულის ოდენა ზომისა, რომელშიც რამდენიმე კბილი იყო გამოყოფილი. როგორც მახსოვს, ეს ალმასის ნატეხი მამამ თბილისში ჩამოიტანა და რომელიღაც მუზეუმს ჩააბარა“.

ივანე ჯაიანი გარდაიცვალა დაბა თიანეთში 1936 წელს.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ გიორგი ჯაიანის ბიოგრაფია, რადგანაც მასთან რამდენადმე დაკავშირებულია აჭარის აღორძინება-განვითარების ზოგიერთი მხარე.

თიანეთში დედინაცვალთან ცხოვრებას გიორგი ვერ შეეგუა და ჭაბუკი იძულებული გახდა თვითონვე გაეკვლია ცხოვრების გზა. იგი 1924 წელს თბილისში ჩამოსულა, უცდია სასწავლებელში მოწყობა, ამ მიზნით განათლების კომისართან მარიამ ორახელაშვილთან მისულა, მაგრამ მისაღები კონტინგენტი ყველგან შევსებული აღმოჩნდა.

ამ დროს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი კრებდა ახალგაზრდებს ამიერკავკასიის სამხედრო სასწავლებელში

(ქ. ბაქო) ჩასარიცხავად. ერთ-ერთი საგზური გიორგი ჯაიანსაც ერგო. 1925 წელს იგი ჩაირიცხა სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1927 წელს დაასრულა. შემდეგ სწავლა გააგრძელა ამიერკავკასიის ქვეითთა სამხედრო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1928 წლიდან, გაანაწილეს აჭარის მთიანეთში განლაგებულ სასაზღვრო ნაწილში.

1940 წელს გიორგი ჯაიანი ბესარაბიაშია, ხოლო სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაიწვიეს მოქმედ არმიაში. სამხედრო სამსახური გ. ჯაიანმა დაასრულა პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით. იგი დაჯილდოებული იყო წითელი დროშის, სამამულო ომის მეორე ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და 17 მედლით.

ივანე ჯაიანის პიროვნება, მისი მამულიშვილობა და ერის გამთელებისათვის ზრუნვა გამოსჩვივის მისივე წერილებიდან, რომელთა გამოქვეყნება 18 წლის ყმაწვილს 1881 წელს დაუწყია (პირველი წერილი 1881 წ. 23 აპრილს გამოქვეყნდა „დროებაში"). ავტორს ახასიათებს დიდი დაკვირვებულობა, ადგილობრივ მცხოვრებთა სულში წვდომის დიდი უნარი; ი. ჯაიანის ჩანაწერებს დიდ დამაჯერებლობას სძენს მისი ობიექტურობა, დასმული საკითხების ღრმა ცოდნა. ავტორს სამხრეთ საქართველოში ყოფნის მოკლე ხნის მანძილზე ზედმიწევნით შეუსწავლია აქაური ქართველების ცოცხალი მეტყველება, მისთვის დამახასიათებელი დიალექტი, რომელთა ნაწილი გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებშიც გვხვდება. ეს კი თავისებურად საინტერესოს და მიმზიდველს ხდის ამ მასალებს.

ი. ჯაიანი თავის წერილებში ააშკარავებდა მეფის მოხელეთა თავგასულობას, ძალმომრეობას და უკანონობას.. მხარის გათავისუფლებამდე, თანამდებობის პირებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს სულთანი სტამბოლიდან გზავნიდა აჭარაში, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. „ასეთი მოხელისათვის ერთი თვეც არ სჭიროდა აჭარის მთებს, რომ ცემა-ტყეპით არ გაეგდოთ აჭარიდგანო", — წერს ი. ჯაიანი (21)*. ასეთი ბედი სწვევია

---

* რიცხვებით აღნიშნულია ი. ჯაიანის ავტორობით ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი და წინამდებარე წიგნში შეტანილი წერილების რიგითი ნომერი.

მეფის ხელისუფლების მიერ ართვინში დანიშნულ ბოქაულის მოადგილეს ახალციხელ ნ. ტერ-ანტონოვს, რომელიც გულღასმით ასრულებდა თავის ჩინოვნიკურ მოვალეობასო. ცხადია, ი. ჯაიანი არც მოსახლეობის თვითნებობას იწონებს, მაგრამ ის ობიექტურად ხსნის მოხელეთა მიმართ ხალხის ანეთ დამოკიდებულებას.

ი. ჯაიანი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ადგილობრივ მოსახლეობას, მისთვის უცხოა კუთხურობა და ტენდენციურობა. ყოფაცხოვრების და შემორჩენილი ადათ-წესების შეფასებისას იგი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს. ცდილობს განაზოგადოს კარგი ტრადიციები. თუ ვინმე საძრახის საქციელს ჩაიდენდა, ავტორი ამასაც ობიექტურად, მძიმე ისტორიული ბედით და არსებული ვითარებით ხსნიდა.

ავტორი წუხს იმის გამო, რომ შავშეთში განსაკუთრებით იყო ფეხმოკიდებული მუსულმანური ფანატიზმი, იგი აღწერს რელიგიურ დღესასწაულს, ყურბან-ბაირამს, რომელსაც არავითარი გართობა-თამაშობანი და დროსტარება არ ახლდა, დრო-ჟამის სვლასთან ერთად კი იცვლებოდა ძველი ჩვეულებანი ცეკვა-სიმღერისა. ბაირამ დღეს ჯამედან გამოსულები სახლში ბრუნდებოდნენ და ჩვეულებრივ ოჯახურ შრომას აგრძელებდნენ.

აჭარაში კი ყოველ რელიგიურ დღესასწაულს ათასგვარი თავშესაქცევი ახლავს, გამართავენ ცეკვა-თამაშს, სიმღერებს, ჭიდაობას, ცხენოსნობას და ა. შ. ი. ჯაიანს ყოველივე ეს სამართლიანად მიაჩნია ქართული უძველესი ტრადიციების ნაშთად და აქ ქართველობის აღორძინება-აღდგენის საშუალებად. ამასთან, დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ შავშეთში ეს ტრადიციები სრული მოსპობის ზღვარზე იყო მისული.

მიუხედავად ამისა, ჭოროხის ხეობაში პირვანდელი სახით იყო შემორჩენილი გეოგრაფიული სახელები და ქართული გვარები. ეს მდგომარეობა ი. ჯაიანში დიდ სიხარულს იწვევდა, ამიტომ იგი პირველი შესაძლებლობისთანავე ცდილობდა თავის წერილებში შეეტანა სოფლის სახელები და სხვა ტოპონიმები. ჩვენთვის ხელმისაწვდომ 42 სტატიაში, რომელთაგან, გარდა პირველისა, ყველა

გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდებოდა, ავტორს დასახელებული აქვს 60-ზე მეტი ტოპონიმი ძველი ისტორიული საქართველოს პროვინციებისა. მათი ნაწილი მეცნიერებისათვის დღემდე უცნობია.

ი. ჯაიანის წერილებში ბევრი გვარია მოტანილი, რომელთა დიდი ნაწილი ძირძველი ქართულია. ზოგი მათგანი საქართველოს სხვა კუთხეებში არ გვხვდება. სამწუხაროდ, ზოგი გვარი თურქულად გადაკეთებულა, მათი შესატყვისი ქართული გვარის დადგენა კი ძნელდება. საერთოდ, ი. ჯაიანი აღნიშნავს, რომ ჭოროხის ხეობაში ძირითადად ქართული გვარებია გავრცელებული, ერთ-ერთი წერილით ის გვაუწყებს, რომ ამ საკითხზე ყურადღება გაუმახვილებია კორპუსის მეთაურს თავად ი. გ. ამილახვარსაც, რომელიც ბორჩხაში ჩასულა თავისი აქალით დივიზიის გენერალთან ღა ექიმთან ერთად. იგი, წერს ი. ჯაიანი, „მიესალმა ყველას, გამოჰკითხა ბევრს მათგანს სახელი და გვარი და დიდად სასიამოვნოდ დაურჩა, რომ გაიგონა მათგან ძველებური ქართული გვარები, რომელიც ყველა თავდებოდა „ძე“-თი (3).

ჭოროხის ხეობაში მამულიშვილური საქმეების მოგვარებაში ი. ჯაიანს დიდ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივი მოწინავე ადამიანები („წინა კაცები“). ამათგან ის განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებს გ. ბოლქვაძეს, ი. კერაშიძეს, ა. ხალვაშს და სხვებს.

ამგვარად, ივანე ჯაიანი ართვინის ოლქში (მოსახლეობის რიცხვი აქ მისი ვარაუდით 80.000-ს აღწევდა), კერძოდ, ბორჩხაში გულმოდგინედ ასრულებს იმ მისიას, რომელიც ასე სჭირდებოდა ახლად შემოერთებულ, ახლად გამოღვიძებულ ქართველთა კულტურულ აღორძინებას, მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას და ერის შემჭიდროება-შედუღაბებას.

ი. ჯაიანის წერილებით ირკვევა, რომ მართალია ის ძირითადად ს. ბორჩხაში ცხოვრობდა და მუშაობდა, მაგრამ ყურადღებას არ აკლებდა მეზობელ მხარეებსაც: აჭარას, ახალციხეს, ლაზეთს, გურიას და სხვებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულში ჭოროხის ხეობაში არ მომხდარა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც ი. ჯაიანის კალამი არ შეხებოდა. იგი

ერთნაირი ინტერესით აშუქებს ამ მხარის ბუნებრივ პირობებს, ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ეთნოგრაფიას, ისტორიას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, სწავლა-განათლებას და ა. შ.

ბუნებრივი სიმდიდრეები

ბუნების უამრავ სიკეთეთაგან სწავლა-განათლებას მოკლებული აჭარელი მხოლოდ ტყეს იყენებდა. ეს იყო აქაური კაცის ერთი ყველაზე დიდი მარჩენალი. ხე-ტყე იყო ძირითადი სამშენებლო მასალა, იგი უზრუნველყოფდა მოსახლეობას სათბობით, პირუტყვს საკვებით, ტყეში აფარებდა თავს მასობრივი დაავადებების თუ უკანონობისაგან დევნილი მოსახლეობა, ამიტომ ტყის ნამდვილი კულტი იყო გავრცელებული ე. წ. სამუსლიმანო საქართველოში. ხალხი უფრთხილდებოდა, იცავდა, ამრავლებდა ტყეს და ცდილობდა მასზე საკუთრების შენარჩუნებას. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ თავგზააბნეული მუჰაჯირები, უცხოეთში რომ გარბოდნენ, ტყეს ცეცხლს უკიდებდნენ, არასასურველ ხალხს რომ არ ჩავარდნოდათ ხელში. სწორედ ასეთ სურათს შესწრებია ი. ჯაიანი კინტრიშის მაზრაში: „მივედით და ვნახეთ, რომ მიმავალ მუჰაჯირებს მოუკიდნიათ ცეცხლი სახვანთქრო და სასოფლო ტყეებისათვის და გადაუწვავთ: რამდენიმე ფირალის თავშესაფარი ხეები კი დარჩენილან იქა აქ...“, — წერს იგი (1).

ტყის წართმევის შიში არ ასვენებდა ახლად შემოერთებულ სოფლების მცხოვრებთ. ეს შიში განსაკუთრებით გაუძლიერდათ, როცა გაიგეს ტყეებს მცველები ჩაიბარებენო და ძველებურად ვეღარ გამოვიყენებთო. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჭოროხის ხეობაში სპეციალურად ჩასულა ა. ი. აბაზაძე, რომელმაც „უთხრა გრძნობით სავსე სიტყვა საზოგადოებას და აუხსნა, რომ თქვენის საჭიროებისათვის ისევე იხმართ ტყეს, როგორც გიხმარიათ დღემდის და დამშლელი არავინ გეყოლებათო“ (19). ამით ხალხიც ერთხანს დაწყნარებულა და სახლებში დაბრუნებულა. მაგრამ როგორც კი არდაგანის ოლქში შემოუღიათ ტყის გადასახადი, ხალხი კვლავ შეშინებულა. შეუკრებიათ ფული და თავისი წარმომადგენელი ქუთაისსა და თბილისში გაუგზავნიათ, მაგრამ ის ფულიც დაკარგულა და საქმეც ძველებურად დარჩენილა. „როგორ სიმარჯვესაც ამ ფუ-

ლების მოკრების დროს იჩენენ, თუ საქმის გაკეთებაშიაც ასეთი სიმარჯვე გამოიჩინეს, მაშინ ფუხარის ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო“, —წერდა ი. ჯაიანი (28).

ბუნებრივ სიმდიდრეთაგან ი. ჯაიანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სამკურნალო მინერალურ წყლებს. მას საგანგებოდ აქვს აღწერილი ოთინკოს ჩერმუქი (აბანო), რომელიც მეტად პოპულარული ყოფილა ჭოროხის ხეობაში. იგი, ავტორის თქმით, ძალიან უხდებოდა კუტებს და ქარებიან ავადმყოფებს და მას დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით ქალები ეტანებოდნენ, მაგრამ აბანოს გამოყენებას ხელს უშლიდა უგზოობა. ადგილობრივ უფროსს, ვ. დ. ლეონიძეს ოდნავ შეუკეთებია გზა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. გზების გარდა, ი. ჯაიანს აუცილებლად მიაჩნდა აბანოს მახლობლად რამდენიმე ოთახის გაკეთება ღამის გასათევად. ავტორს განსაკუთრებით მოსწონდა აქაური ჰავა, ადგილმდებარეობა, ნაძვის და კატრის (ფიჭვის) ტყეებით შემორკალული, კალმახით სავსე მდინარე დეევესღელის პირი, აქვე მახლობლად ყოფილა იალაღები, საიდანაც იაფად შეიძლებოდა რძის პროდუქტების (ერბოს, რძის, მაწვნის, ყველის), აგრეთვე ცხვრის ხორცის შეძენა. სოფლებიდან ქათმებიც მოჰყავდათ გასაყიდად. ი. ჯაიანის აზრით, კარგი გზების არსებობის შემთხვევაში, ოთინკოს აბანოს ბათუმიდანაც ბევრი მსურველი ეყოლებოდა. აბანოს აღმოჩენას ხალხი თამარ მეფის სახელს უკავშირებდა. ი. ჯაიანი წერდა: „უფრო ამით არის ეს აბანო საყურადღებო, რომ იგი თამარ დედოფლის დროის გამოჩენილი და თითქმის მისი ხელით ნაშრომი და ნაამაგევია. ხოლო დრო და ჟამმა მოუღო ბოლო ამ სასარგებლოს და სახსოვარს ნაშთს. ამაზე უკეთესი და გამოსადეგი ამ ქვეყანას არა მოეპოვებარა. აქამდის ახსოვთ აქაურ ქართველ მაჰმადიანებს ამ აბანოს ისტორია“ (9). შემდეგ ავტორს მოჰყავს ძალზე საინტერესო მონათხრობი: ოთინკოს მახლობლად თამარ მეფის სასახლე ყოფილა. ერთ ზამთარს დედოფალი აქ დარჩენილა საცხოვრებლად. მეფეს სასახლეში ბევრი მტრედი (გოგარჩინი) ჰყოლია. ერთი მათგანი ავად გამხდარა და თამარის ბრძანებით მსახურს გაუშვია. სამი დღის შემდეგ მტრედი გაჯანსაღებული უკან დაბრუნებულა. გაკვირვებულ თამარ მეფეს უბრძანებია, მოეძებნათ ადგილი, სადაც შესაძლო იყო სამკურნალო წყაროს არსებობა. წასულან და ერთგან

მარილიც უნახავთ ადგილი, სადაც არშინ-ნახევარი თოვლი სულ გამდნარიყო და ცხელი წყალიც მოჩუხჩუხებდა. გაზაფხულზე მეფეს აქ აუზიც დაუდგამს და ხალხსაც დაუწყია მისი გამოყენება. ოსმალთა მოსვლის შემდეგ, მორწმუნეებს აუზი დაუქცევიათ. 1880 წელს უბნის უფროსს ასმედ ხალვაშს, რომელმაც იცოდა ამ აბანოს წარსული და მისი სარგებლიანობა, აღუდგენია იგი და ხალხსაც კვლავ დაუწყია აქ სიარული.

ჰოროხის ხეობა და მისი განშტოებები მდიდარი იყო მადნეულითაც. ადრე ამ სიმდიდრეზე არავის მიუქცევია ყურადღება. 1893 წლის დეკემბერში და 1894 წლის მაისში ბეღლევანის ხეობაში სპეციალურად ჩამოსულან გეოლოგი ი. ი. ბულატოვი და მისი ამხანაგები. მათ სოფელ სულჯუნასთან მთაზე აღმოუჩენიათ ტყვიის და ვერცხლის მადანი, რომელსაც წმინდა ლითონიც ერია. ტყვიის მადანი უნახავთ აგრეთვე სოფელ მაშქოითთან ახლოს სამი ვერსის მანძილზე, რომელიც, ი. ჯაიანის სიტყვით, „იმისთანა ღირსებისაა თურმე, რომ ქარხანაში გადამდნარი ეგონება კაცსო“. ამიტომაც გადაუწყვეტიათ აქ გზების გაყვანა და ქარხნების აშენება, რის გამოც ი. ჯაიანი დიდ სიხარულს გამოთქვამდა: „დიდ სარგებლობას მოუტანს აქაურებს ამ ადგილებში ქარხნებისა და გზების გაკეთება, რასაც რამდენიმე ათასი მუშა ხალხი მოუნდება და ყველა, ცოტად თუ ბევრად, შეიძენს თავისი ოფლით ორიოდე გროშს. ღმერთმა ქნას ეს საქმე მალე განხორციელებულიყოს და ჩვენის სამშობლოს სიმდიდრით ჩვენსავე მოძმეს ესარგებლოს“ (20).

ბუნების ჭირვეულობანი და გლეხის შემოსავალი

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ი. ჯაიანის წერილებში მოცემული ცნობები კლიმატური პირობების, უამინდობის და ამასთან დაკავშირებული სტიქიური უბედურების შესახებ. მათში ვეცნობით, რომ უაღრესად დაბალი შრომის კულტურის პირობებში მშრომელთა შემოსავალი მთლიანად ხელსაყრელ ამინდზე იყო დამოკიდებული. საკმარისი იყო რამდენიმე დღეს გაგრძელებულიყო გვალვა, ან კოკისპირული ნიაღვრიანი წვიმა და დიდთოვლობა, რომ მთელი მოსავალი მოესპო და ისედაც ღატაკი გლეხი მშიერი დარჩენილიყო.

სიმინდის მოსავალი ძირითადად დროულ წვიმასთან იყო დაკავ-

შირებული, ნაკლებად გამოიყენებოდა მოსარწყავად მდინარის წყალი, რადგანაც იშვიათად გაყავდათ არხები. ამიტომ მოსახლეობა უფრო თამბაქოს მოყვანას ეტანებოდა, როგორც შემოსავლის წყაროს. მართალია, სიმინდსაც თესავდნენ, მაგრამ სამი-ოთხი თვის სარჩო თუ მოუვიდოდათ. ამიტომ სიმინდი ჭოროხის ხეობაში ძვირად ფასობდა (ერთი ოყა — 1200 გრამი 10-12 კაპიკად იყიდებოდა). აქაურები სიმინდს ძირითადად თურმე კახაბრის მცხოვრებთაგან ყიდულობდნენ: „ღმერთმა უშველოთ კახაბრის მცხოვრებთ. აქაურებს კახაბერი რომ არ ჰქონდეთ და იქ ბევრი სიმინდი არ მოდიოდეთ, არ ვიცით, რა გვეშველებოდა... თუთუნიდგან აღებული ფული მაინცა აქვთ, ხოლო ვისაც ეს თუთუნის ფული არა აქვს და არც სიმინდი მოუვა, იმისი საქმეა გაჭირვებული... აქაური კაცი უთუთუნოდ ვერ გასძლებს ისე, როგორც თევზი უწყლოდ" (3).

ჭოროხის ადიდება და დიდთოვლობა დიდ ზარალს აყენებდა ადგილობრივ მოსახლეობას. ამ დროს ნაოსნობაც ძალზე სახიფათო და შეუძლებელი ხდებოდა. 1893 წლის მარტ-მაისში ისე ადიდებულა ჭოროხი, რომ ნაოსნობა შეწყვეტილა, რაც ბორჩხისა და ჭოროხის პირას მცხოვრებთა ნაწილისათვის შემოსავლის ერთადერთი წყარო ყოფილა. ი. ჯაიანი წერს, რომ ისინი ამით ისტუმრებდნენ სახელმწიფო გადასახადებს, მოყვარეს, მტერსა და ნაცნობს, მდინარის ადიდებამ კი ხალხს ეს შემოსავალიც წაართვა. იგი აღწერს ერთ ასეთ წყალდიდობას, რომლის დროსაც დაღუპულა ნავი. ნავზე 34 მგზავრი მჯდარა და 60 ფუთამდე ტვირთი იყო. როგორც ჩანს, გადატვირთვის გამო ნავი კლდეს დაჯახებია და დამტვრეულა. მგზავრები გადარჩენილან, მაგრამ ტვირთი მთლიანად დაკარგულა. მგზავრთა შორის ერთი ფოტოგრაფიც ყოფილა (სამწუხაროდ, მისი ვინაობა უცნობია)*, რომელსაც ერთი თვე უმოგზაურია ართვინის ხეობაში, მრავალი სურათი გადაუღია, მაგრამ ამ კატასტროფის დროს მისი ფირები სულ დაღუპულა. 600 მანეთის ზარალი მოსვლია ამ ფოტოგრაფს. ი. ჯაიანს პირადად უსაუბრია მასთან, რომელსაც ეს უბედურებაც აღუბეჭდია ფირზე და უთქვამს ვნახოთ როგორი გამოვაო (15).

---

* შესაძლოა ეს არის ცნობილი ფოტოგრაფი... ერმაკოვი, რომელმაც მოიარა საქართველოს მრავალი კუთხე, ფოტოფირზე აღბეჭდა თითქმის ყველა ღირსშესანიშნაობა და ამით ფასდაუდებელი განძი დაუტოვა შთამომავლობას (რ. ს.)

ბორჩხელთა შემოსავლის ერთ-ერთი წყარო მეთუნეობაც ყოფილა. ისინი ზაფხულობით აკეთებდნენ ჭურჭელს, აგურს, კრამიტს, რომელიც ბათუმში ჩაჰქონდათ და ყიდდნენ. ჭოროხის ხეობის სხვა სოფლებში ამ საქმეს არ მისდევდნენ, რადგან ეს ხელობა არ იცოდნენ და არც საჭირო სამშენებლო თიხა გააჩნდათ, ამიტომ ისინი ძირითადად ნაოსნობას მისდევდნენ.

ნაოსნობა თავის მხრივ ხელს უწყობდა ვაჭრობასაც. თიხის ჭურჭლის, აგურ-კრამიტის და თამბაქოს გარდა, ბორჩხელებს ნავით გასაყიდად ხილიც გაჰქონდათ შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში, ოდესამდე. თანაც, ამ ვაჭრობას საკმაოდ ფართო მასშტაბიც ჰქონდა. ი. ჯაიანი წერდა: „ოცი წლის ზედას აქ ვერ ჰნახავ იმისთანას, რომელსაც ადესიდგან მოკიდებული შავი ზღვის ნაპირი ქალაქები არ დაეაროს და იქაური ყოფა-ცხოვრების ამბავი არ გიამბოთ... როგორც ორ-სამს ნავს ხილს იშოვნის, მაშინვე აქეთ მიაქვს და ასაღებს“ (29).

ი. ჯაიანის აზრით, ამიტომ იყო, რომ ბორჩხელები შედარებით შეძლებულად ცხოვრობდნენ, ზოგს ოქროც კი გააჩნდა ოჯახში. ამასთან აქაურები მცირე ხარჯით ისტუმრებდნენ მექორწილესაც და გარდაცვალებულსაც. ავტორი გარკვეულად იწონებს ამ ჩვეულებას და ქრისტიან ქართველებს საყვედურობს კიდეც: „თქვენ კი ამ ფულით მარტო დიაკვანს ვერ გაისტუმრებთ. მეზობელი თუ კარგად არ გამოძღა და არ დათვრა, მკვდრის დამარხვაში არც კი მიეხმარება და ყველგან იმას იტყვის — ვერაფერი ჭირისუფალი ჰყავდაო, ღვინო არ უვარგოდაო და საჭმელიც ხომ ლუკმად არავის გაუხდაო“ (4).

ი. ჯაიანი ძალზე შეუწუხებია 1893 წლის აგვისტოს გვალვებს. იგი წერს, რომ ამან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მოსახლეობა, მესაქონლეობა, ტყეები გადამხმარა. ი. ჯაიანს ხანდაზმულები შეშფოთებით მოუთხრობდნენ, რომ ამისთანა ყურაღს ისინი დღემდე არ მოსწრებიან (7).

საქონლის გამოსაკვებად ასეთ დროს ერთ-ერთი ხსნა ნეკერის დამზადება იყო, ყველას ჰქონდა თავისთვის ამორჩეული ხე, რომლიდანაც ამზადებდნენ ნეკერს, სხვას არ ჰქონდა უფლება ამ ხის დაპატრონებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე უჩხუბრად არ

დამთავრდებოდა. ფურაჟის უკმარისობის გამო, გლეხი იძულებული იყო პირუტყვი დაზამთრებამდე გაეყიდა, ამიტომ საქონელი იაფად ფასობდა. ძროხა 8-10 მანეთად, ხოლო ხარი 14—15 მანეთად იყიდებოდა. „საქონლის საკვების უქონლობის გამო ბევრი კიდევაც გამოესალმა ერთადერთს სანუგეშო ძროხას, რომელიც პირს უხსნილებდა ქალ-ბაღანას ერბო-ყველითა და რძით“ (17).

აქაური მოსახლეობის რჩენის ერთადერთ იმედად ისევ კახაბერი რჩებოდა, სადაც წვიმებიც ხშირი იყო და სიმინდიც კარგად მოდიოდა. ი. ჯაიანი შიშს გამოთქვამს იმის გამო, რომ კახაბრიდანაც თუ დაიწყებენ ჰირნახულის გაზიდვას ოსმალეთში, მოსახლეობას თავის რჩენის ეს ერთადერთი იმედიც გაუწყდებაო. ასეთი შიში საფუძვლიანი იყო. როგორც ჩანს, გვალვები ოსმალეთშიც (განსაკუთრებით ბურსაში) მძვინვარებდა. ამიტომ იქაური მცხოვრებლები, ძირითადად მუჰაჯირები, კახაბერს მოაწყდნენ სიმინდის საყიდლად და მათხოვრებად.

ძლიერი გვალვის და ქარიშხლის გამო 1893 წელს ჰოროხის ხეობის მოსახლეობას ორი თვის სარჩო სიმინდიც ვერ მოუყვანია. ი. ჯაიანი ასახელებს ასეთ სოფლებს, რომელთა მოსავლიანობა მან თავისი თვალით ნახა (დასახელებულია ბათუმის ოლქის გონიოს საბოქაულოს 24 სოფელი და ართვინის ოლქის 19 სოფელი): კინცურეთი, ელასკური, არავეთი, სამეხრაო, ბორჩხა, ცოცხობა, ჭკადუეთი, არჩვეთი, კოსტანეთი, დაკვარა, პანჭურეთი, მამანათი, ღუჩქოი, მაკრეთი, ბაშქოი, ბანავნა, შვახევია, ვალაშენი, სანათისი, პეტრული, დევსკელი, კვინტაული, ბაგინი, ათაგული, ახალდაბა, ირსა, ბეშაული, კვარესანი, სინკოტი, ვაზრია, ვარჯგანი, ომანა, ურძუმა, ხატილა, კარტლა, ავანა, თხილაური, ორჯი, დამპალა, ტრაპენი, არხვა, ჟვანი და გეული.

როგორც ჩანს, ბუნების ჭირვეულობის გამო, ფაქტიურად მთელი ჰოროხის ხეობა ნახევრად მშიერი დარჩენილა, სახელმწიფო კი სტიქიური უბედურებით დაზარალებულთ არავითარ დახმარებას არ უწევდა. ჩამოთვლილი ტოპონიმები იმაზეც მიუთითებს, რომ, გვარსახელების მსგავსად, ხალხმა ადგილებსაც შეუნარჩუნა ძირძველი ქართული სახელები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლეხის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს ჰოროხის ხეობაში თამბაქო წარმოადგენდა. აქაური თამ-



ივანე ჯაიანი



ქ. ართვინი, 1897 წ.

ბაქო ხარისხითაც კარგი ყოფილა. მაგრამ ძალზე ცუდად იდგა პროდუქციის გასაღების საქმე, რის გამო ჭირნახული ჩარჩებს უვარდებოდათ ხელში; ისინი ჩალის ფასად იძენდნენ თამბაქოს და თვეების, ზოგჯერ წლების შემდეგ უსწორებდნენ ანგარიშს პატრონს. ოანაც არა ფულით, არამედ ფარილეულით და სხვა საქოსლით და აქედანაც სარგებელს ნასულობდნენ.

ივანე ჯაიანი მთელი გულით თანაუგრძნობს ადგილობრივ მცხოვრებლებს და აღშფოთებულია „ჩარჩ-წურბელების" მოქმედებით. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ჩარჩები მთელს საქართველოს აძრობდნენ ტყავს და ვერც ჩვენი ხეობა გადაურჩა მათს თარეშსო. თუმცა, შენიშნავს ი. ჯაიანი, არ მინდოდა ამ საკითხზე ენა დამეძრა სხვა ჩარჩების საყურადღებოდ, რათა იმათაც არ გასნოდათ მადა და ამ ხალხს არ შესეოდნენ, მაგრამ იძულებულია გაზეთში მაინც თქვას სათქმელი (23).

ჩარჩების უმეტესობა სხვა ქვეყნებიდან ყოფილან მოსული. თამბაქოს ფასი ძალზე დაბალი იყო, რადგანაც მოსახლეობას იგი გასაყიდად ვერ გაჰქონდა. ამითაც ისარგებლეს ჩარჩ-ვაჭრებმა და ადგილზე სავაჭროების გახსნა დაუპირებიათ, თვითონ ი. ჯაიანი მეთამბაქოეობის კარგ პერსპექტივებს ხედავდა ჭოროხის ხეობაში. საჭიროა, წერდა იგი, „ქართველობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ სასარგებლო საქმეს და თვითონაც ისარგებლოს და თავის მოძმეც ასარგებლოს. მერე სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, იმ ხეობიდგან წელიწადში სამოცათას ფუთამდინ ოუთუნი გამოაქვთ ვარეშე ქვეყნის ჩარჩებს და ათასობით ფულს იგებენ" (19). მისი აზრით, საჭიროა თვით ქართველობამ გახსნას სავაჭროები, ხალხსაც დროულად გადაუხადოს ჭირნახულის ფასი და მოგებითაც თვითონვე ისარგებლოს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჭოროხის ხეობის მოსახლეობის გამოკვების ერთ-ერთი საიმედო წყარო კახაბერი და აქაური სიმინდი იყო. ი. ჯაიანის ვარაუდით, ყოველწლიურად კახაბერში 700 000 ფუთამდე სიმინდი მოდიოდა. მაგრამ ამ არემარესაც ჰყოლია თავისი მტერი. წყალდიდობა ყოველწლიურად კახაბრის დიდი ტერიტორიის ნაწილს იტაცებდა და ზღვაში ჩაჰქონდა.

ამ ოთხი-ხუთი წლის წინ რაც მინახავს, იმის მესამედი ნაწილი კახაბრისა ჭოროხსა აქვს წაღებულიო, წერს ივანე ჯაიანი და ვარა-

უდობს, რომ კიდევ რამდენიმე წელიწადი დასჭირდება ჭოროხს, რომ მთლად ქახაბრის საყანეები ბათუმამდის ჩარეცხოსო. „მაშასადამე, საფიქრალია, რომ ბათუმის ახალ და მშვენიერ შენობათაც არ ელის კაი დღე და ამათაც გამოუთხრის ძირს, თუ თავის დროზე არ იღონებენ რასმე, ვისიც ჯერ არს, შეუბრალებელი ჭოროხის წინააღმდეგ“ (16).

1894 წლის აპრილში ჭოროხი ისე ადიდებულა, რომ ნაპირი შვიდი ვერსის მანძილზე გადაულახავს და მდინარე მეჯინისწყალს შეერთებია. „ამ შვიდი ვერსის საყანეებსა ნახევარზედ მეტს ჭოროხი დაჰპატრონებია და მირეცხს და მიაქვს თან ეს საქები საყანეები. რომ არც წაიღოს, მაინც ახლა სადაც ჭოროხი მირბის, იქ ამ ზაფხულში ვეღარას დასთესავენ“ (18).

გაშმაგებული ჭოროხი არც შენობებსა და ადამიანებს ინდობდა, 1895 წლის შემოდგომაზე საუკუნეების წინ აშენებული სახლებიც წაუღია, სოფელ მარადიდთან კი სამი მოსახლე ქურთის ოჯახის 12 სული დამხრჩვალა, ერთი ბორჩხელის ოჯახი და სომეხი ვაჭრის დუქანიც დაზარალებულა, მაგრამ ადამიანები ბორჩხელებს გადაურჩენიათ. დიდი ზარალი მოსვლიათ მურღულის, ჩხალის, დევსკელის და კელასკურის ხეობების მოსახლეობას. ბობოქრებულ მდინარეს წაუღია ხიდები, წისქვილები, ყანები და ჟირნახული. ძალზე დაზიანებულა გზები, რის გამო რამდენიმე დღე ფოსტა ვეღარ მიუღიათ, მწყობრიდან გამოსულა ტელეგრაფიც. ჩხალის და მურღულის ხეობაში სახლები წაულეკია, ადამიანებს ხეებზე ასვლა მოუსწრიათ და ქაობავშვებიანად ორი დღე იქ ყოფილან, სანამ არ დამცხრალა ბობოქარი ჭოროხი.

1897 წელსაც ადიდებულ ჭოროხს დიდი ზარალი მიუყენებია მოსახლეობისათვის. სამხედრო ნაწილების მახლობლად მიწის დიდი ნაპრალი გაჩენილა. რის გამო გადაუწყვეტიათ ნაწილები ართვინიდან არტანუჯში გადაეყვანათ და იქ განლაგებინათ. ი. ჯაიანს არასწორად მიაჩნია ეს გადაწყვეტილება, რადგანაც ჯარისკაცები პროდუქტებით, სათბობით, ფურაჟით და სხვა აუცილებელი საგნებით ბათუმიდან მარაგდებოდნენ. არტანუჯი კი შორს იყო და ამ პროდუქტების ტრანსპორტირება ძალზე ძვირი დაჯდებოდა.

სამხედრო ნაწილის დისლოკაციის შეცვლით განსაკუთრებით ზარალდებოდნენ ართვინელი ვაჭრები და ადგილობრივი მოსახ-

ლეობაც, რადგანაც მათი ძირითადი მუშტარი სამხედრო პირები იყვნენ, ამიტომ ი. ჯაიანი სარდლობას სთავაზობს წინადადებას ნაწილები განლაგებულიყო ს. ბორჩხაში.

გ ზ ე ბ ი

ამ მხარის მცხოვრებთა მდგომარეობას ართულებდა უგზოობა. ხალხს იმთავითვე რატომღაც სჯეროდა, რომ გზა უბედურების მომტანი იქნებოდა, კარგ გზას ბევრი ჩინოვნიკი და ამკლები მოჰყვებოდა. ასეთი იყო მათი რწმენა და არცთუ უსაფუძვლოდ.

ძირითადი ტრანსპორტი ცხენი იყო. მაგრამ იმ გზებზე ცხენითაც ჭირდა გადასვლა. ეკიპაჟები აჭარელთა ცხენებს ქირაობდნენ. ბათუმიდან ახალციხემდე ერთი ფუთის გადატანაში აბაზიდან ექვს შაურამდე უხდიდნენ. მაგრამ ბედის გამართლება იქნებოდა თუ კაცი და ცხენი მშვიდობით დაბრუნდებოდნენ სახლში. არცთუ ისე იშვიათი იყო შემთხვევა ცუდ გზებზე ცხენის გადაჩეხვისა. იკარგებოდა ცხენიც და ტვირთიც. პატრონი, ორი გროშის აღების ნაცვლად, განადგურებული და დავალიანებული ბრუნდებოდა სახლში.

დრომ თავისი მოითხოვა და დაიწყო ბათუმი-ახალციხის გზის მშენებლობა. გზების გაყვანის ერთ-ერთი ინიციატორი იყო აჭარის მაშინდელი მმართველი შერიფ ხიმშიაშვილი. აჭარის განთავისუფლებიდან 10 წლის შემდეგ ამ გზაზე პირველად გაუვლიათ ეტლებს, რასაც მოსახლეობის დიდი აღტაცება გამოუწვევია.

ამ მოვლენას აღფრთოვანებით ეხმაურება ი. ჯაიანიც. იგი წერდა: „აჭარლებს აუსრულდათ ამდენი ხნის გულის წადილი; ბათუმიდგან ახალციხემდის ინჟინრებმა დაიწყეს ეტლებით სიარული. დღეს ამ გზებზე მოესმათ აჭარლებს ეტლზე გამობმულის ზარების ხმა და ამ ამბავმა ყველა ფეხზე დააყენა, ქალი და კაცი. ვინც კი ამ გზებზე სახლობენ, სულ ამაზე ლაპარაკობენ. დიდის ამბითა და აღტაცებით შესცქეროდნენ ქალები და ბაღნები ამ უნახავს სანახავს. მართლაც და სასიხარულო ამბავია, არავინ არ იყო ისეთს სატანჯველს მიცემული უგზოობის გამო, როგორც ეს ზემო აჭარა. აქამდის ერთის დღის სავლელი გზა ოთხი-ხუთი დღე უნდა ევლოთ და ერთი ათად მეტი ხარჯი უჯდებოდათ. უფრო მომეტებულს

„გაჭირვებაში იყვნენ ისინი, ვინც ბათუმიდან ახალციხემდის ეზიდებოდა ახალციხის ვაჭრების საქონელს“ (2).

გზის გაკეთების შემდეგ, ზოგ აჭარელს ფურგონებიც შეუძენია. ცხადია, მგზავრობის დრო შემცირებულა და საფასურსაც მეტს იღებდნენ — ფუთში ორი აბაზიდან 10 შაურამდე.

1893 წლის პირველ ნახევარში გზატკეცილი ართვინამდეც გაუყვანიათ. ი. ჯაიანის ერთ წერილში დიდი ოპტიმიზმი გამოსჩვივის კარგი დარების გამო, რომელიც კარგ მოსავალსაც პირდებოდა მოსახლეობას, აგრეთვე ბათუმ-ართვინის გზის გაყვანის გამო. იგი წერდა: გზა ისე „გაგვიწინდეს და გაგვიფაქიზეს, რომ სულ ლაპლაპი გააქვს... ოთხცხენ შებმული ეტლები ბრაგა-ბრუგით დარიხინობენ თავისუფლადო“ (5). ამ გზის გაყვანას ი. ჯაიანი მიაწერს ბევრი მაღალი თანამდებობის პირის სტუმრობას. აქ ჩამოსულან კორპუსის მეთაური თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ა. ე. გროსმანი, ხოლო პეტერბურგიდან — გზების მინისტრისაგან დანიშნული საგანგებო საქმეთა მინდობილობის მოხელე. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. შემდგომში, როგორც ჩანს, გზების მოვლა მიივიწყეს და გავლაც კი ჭირდა, განსაკუთრებით ცუდი ამინდების დროს. ატალახებულ გზებზე სიარული უჭირდათ ადამიანებსაც და ცხენებსაც. ფოსტის ეკიპაჟს ორჯერ მეტი დრო სჭირდებოდა ბათუმიდან ბორჩხაში ჩასვლამდე. თავის გულისტკივილს გზების ცუდ მდგომარეობაზე ი. ჯაიანი ასე გამოხატავდა: „ამ ბოლო დროს მთლად ბოლო მოეღო ამის კეთილდღეობას. სხვა დროს აქ ზამთრობით ჩამოზვავებულ ქვა-მიწას მაინც გაწმენდ-გაასუფთავებდნენ. დღეს კი ამის თავ-შემატკივარი და ყურის მგდებელი ჯერ ჯერობით არ გამოგვიჩნდა ვინმე მადლიანი“. ამის მთავარ მიზეზად ი. ჯაიანს სამართლიანად მიაჩნია გზების მოიჯარადრეთა თაღლითობა და მუშა ხალხის ყვლეფა. მათი უმეტესი ნაწილი ოსმალეთიდან იყო. ისინი ხალხს ამუშავებდნენ, ფულებს ჩაიჯიბავდნენ და ოსმალეთში გადაიკარგებოდნენ. „აქაური ფუხარა — კი ხახამშრალი უყურებდა იჯარადარს, როდის ამოვა და ფულებს მოგვიტანსო... ამისთანა იჯარადრების წყალობით ბევრი ქალ-ბაღანა დარჩა ატირებული, მაგრამ საჩივრის გამოძიების შემდეგ ის გამოდიოდა, რომ ინჟინერიც მართალი იყო და იჯარადარიც, ასე, რომ ბოლოს მარტო საწყალი ხალხი რჩებოდა დამნაშავე და დაზიანებული“ (18).

ი. ჯაიანს ასეთი ძალმომრეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიაჩნდა გზის მოიჯარადრებად ადგილობრივი ხალხი, უფრო სანდო და საიმედო, მისივე ხელმწიფის ქვეშევრდომთა აყვანა, ამით გზაც გაკეთდებოდა და ხალხს არ დასჭირდებოდა მისი გამძარცვავი მოიჯარადრის ძებნა ოსმალეთში.

მდგომარეობა რთულდებოდა დიდთოვლობის დროს. მოიჯარადრეთაგან დაშინებული გლეხობა არ გამოდიოდა გზის გასაწმენდად, ზოგან ნამქერით ჩახერგილ გზას ასაქცევიც არ ჰქონდა და ფეხით შემოვლაც შეუძლებელი იყო. ფაქტობრივად მთელი ხეობა მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. თვეობით ფოსტას ვერ ღებულობდნენ. კავშირის ერთადერთ საშუალებად ნაცი რჩებოდა. მაგრამ ჰოროხის ადიდების გამო, ხშირად ნაოსნობაც წყდებოდა.

თოვლობით გამოწვეულმა შიმშილმა შეაწუხა ჯარისკაცებიც, რის გამო სარდლობა იძულებული გახდა მთელი ნაწილები მოეხსნა და ქალაქში გადმოესროლა.

მალაკნების გადმოსახლება

90-იან წლებში მთავრობას განუზრახავს ჰოროხის ხეობაში მალაკნების გადმოსახლება, რასაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოუწვევია. ი. ჯაიანს სწორად ესმის ახლად განთავისუფლებული მოსახლეობის განწყობილება, იცის რომ მათში არ არის ჩამქრალი ეროვნული გრძნობები, მშობელი მიწის სიყვარული და საჭიროდ თვლის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ პროცესებს, ამიტომ მას სსვა რწმენისა და ადათ-ჩვეულების მქონე ხალხის ჩამოსახლება, მკვიდრი მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე, მიზანშეუწონლად მიაჩნდა. ამის თაობაზე მას სპეციალურად უსაუბრია კიდეც მალაკნების წარმომადგენლებთან, საიდანაც ირკვევა, რომ ისინიც ძალზე გამომწვევად იქცეოდნენ, სურდათ მუქთად ჩაეგდოთ ნაყოფიერი მამულები და მკვიდრი მოსახლეობა გაეძევებინათ.

შეწუხებულ მოსახლეობას ქუთაისის გუბერნატორისათვის თხოვნაც მიურთმევია, მაგრამ პასუხი ვერ მიუღიათ, რაზეც დიდ შიშს გამოთქვამდა ი. ჯაიანი: მისი აზრით, მოსალოდნელი იყო სისხლისმღვრელი შეტაკება ადგილობრივ მოსახლეობასა და მალაკნებს შორის, ანდა მოსახლეობის მშობლიური ადგილებიდან

აყრა და უცხო მხარეში გადასახლება, რაც მეტად არასასურველ შედეგებს გამოიწვევდა: „თუ მართლაც მალაკნებს აუსრულდათ წადილი, — წერდა ი. ჯაიანი, — მაშინ მურღულის ხეობაში ერთ მუსულმანს ვერ იშოვით წამლად. ერთ მშვენიერ ღამეს ყველა გადაიბარგება ოსმალეთში და იქიდგან შავი დღე დაადგებათ ღორებსა და მათ პატრონებს. ისეთ დღეს დააყენებენ, რომ გასაქცევი გზაც ვერ იპოვოს. აბა ვინ მოუთმენს იმას, რომ მამულ-დედულიდგან ხელი დააბანინოს ვინმემ და ოსმალეთში შიმშილის კერძი გაჰხადოს ამდენ ფუხარების ქალბაღანა!“ (5).

როგორც ჩანს, გუბერნატორმა არ შეიწყნარა ხალხის თხოვნა და რამდენიმე დღის შემდეგ ოლქის უფროსი მ. ი. ერისთავი და ართვინის უბნის უფროსი ი. კ. აბაშიძე გაგზავნა მურღულის ხეობაში. გადაწყვეტილი იყო ორი სოფელი დაეცალათ მალაკნებისათვის, ხოლო მოსახლეობა სხვა სოფლებში გადაეყვანათ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ შეაჩერა ამ გადაწყვეტილების აღსრულება. სტუმრები სოფელ არხავეში ვინმე მემედ-აღასთან გაჩერებულან და მეორე დღეს აპირებდნენ იმ სოფელში ჩასვლას. მასპინძელს ღირსეულად მიუღია საპატიო სტუმრები. კარგი ვახშამიც გაუმართავს და მოუსვენებია. ღამე მიხეილ ერისთავს ქვემო სართულში ჩასვლა დაუპირებია, მაგრამ კიბის საფეხური ჩატყდომია და ექვსი არშინის სიმაღლიდან ჩამოვარდნილა. სტუმარს მრავალი დაჟეჟილობა მიუღია ისე, რომ ადგილიდან დაძვრაც არ შეიძლებოდა. როგორც ჩანს, ამის გამო, მალაკნების გადმოსახლების საკითხი იმჯერად აღარ გადაწყვეტილა.

ი. ჯაიანის 1893 წლის 19 აგვისტოს წერილით კი ირკვევა, რომ ამავე საკითხთან დაკავშირებით, მურღულის ხეობაში ჩასულა ბათუმის ტყეთა ზედამხედველი ა. ი. აბაზაძე, რომელსაც ტყეები და მიწები უნდა გაენაწილებინა ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მალაკნებს შორის. სამწუხაროდ, მომდევნო წერილებში არა ჩანს ბოლოს და ბოლოს მალაკნები ჩამოასახლეს, თუ არა. ერთი კი ცხადია, რომ ამ არასასურველ აქციას მის აღსრულებამდე მოჰყვა მურღულის ხეობის მოსახლეობის ნაწილის აყრა და გადასახლება.

ერთ-ერთ დიდ სოციალურ უბედურებად ი. ჯაიანს მიაჩნია მკვლელობათა ძალზე გავრცელებული შემთხვევები. მას აღწერილი აქვს როგორ დაუჩეხიათ ქობულეთლებს ლიხაურის მცხოვრები ვინმე სალიქვაძე ადრე მოკლული თავისიანის შურის საძიებლად. ადგილობრივ ადმინისტრაციას ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა და მას უყურადღებოდ ტოვებდა: „როგორც ამბობენ, სადაც მკვდარი ნახეს, ის ტყე კინტრიშის მაზრას ეკუთვნისო, მაგრამ ბ. მაზრის უფროსს თავი არ შეუწუხებია და არ წასულა სანახავათ, არამც თუ მეცადინეობა გაეწია იმათი დაჭერისო“ (1).

მკვლელობა ხშირად ხდებოდა გაძარცვის მიზნით, იგი ავაზაკობისა და ყაჩაღობის მუდმივი თანამგზავრი იყო. ეს უბედურება ერთნაირად იყო გავრცელებული როგორც აჭარაში, შავშეთსა და მთელს ჭოროხის ხეობაში, ასევე ქვაბლიანის ხეობაშიც; ი. ჯაიანს აღწერილი აქვს როგორ დაიკარგა ერთი ოქრომჭედელი იმის გამო, რომ მასთან ძვირფასი თვლები ეგულებოდათ. ამის შესახებ მისთვის უამბნია ოქრომჭედლის ამხანაგს: „თუმცა ფულები არა ჰქონდა, მაგრამ ძვირფას ქვებს კი ატარებდა თანაო. როგორც ალმასი, აგრეთვე იაგუნდი და ფირუზი იქნებოდა ორას-სამასის მანეთისაო. ეტყობა იმ საცოდავს ამ ძვირფასმა ქვებმა მოუღო ბოლო, რადგან შეამჩნევდა ვინმე და მერე რაღას დაზოგავდა ავაზაკი“ (2).

ი. ჯაიანი ხშირად ეხება გაძარცვის სხვა შემაძრწუნებელ შემთხვევებს, მკვლელობის საბაბსა და მიზეზს. ძირითადი მაინც აქაური ადათ-წესებიც და სინდის-ნამუსის დაცვა იყო. ავტორს ერთი ასეთი შემთხვევა აქვს აღწერილი: სოფელ ხების მცხოვრები ქალის მანდილს შეეხო უცხო კაცი, ქალის ნათესავმა იქვე ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა სინდისის შემბღალავი.

ი. ჯაიანს აღწერილი აქვს აგრეთვე, თუ როგორ მოკლეს არტანუჯელმა ცოლ-ქმარმა მათთან მისული სტუმარი იმის გამო, რომ მასთან ბევრი ფული ეგულებოდათ. ი. ჯაიანი ტრადიციულად განთქმულ სტუმართმოყვარე მასპინძელთა ასეთ საშინელ ქცევას მათი უკიდურესი სიღარიბით ხსნის: „მეტად ღარიბნი ყოფილან, გაუბედნიათ ასეთი საშინელი საქმე და მით დაუგმიათ აქაური ადათი და მტკიცე ჩვეულება სტუმართმოყვარეობისა“ (20). როგორც ჩანს, დამნაშავენი სწორედ ამ ჩვეულებამ და სინდისმა შეაწუხა და

საქმე თვითმკვლელობით დამთავრებულა. ტუსაღები არტანუჯიდან ბათუმში ბადრაგის ქვეშ წამოუყვანიათ. ბორჩხას ქვემოთ, სოფელ კელსაკურთან თოკით შებოჭილ ცოლს ბორკილდადებული ქმრისათვის ხელი უკრავს, ჭოროხში გადაუჩეხია, თვითონაც გადაყოლია და ორივენი დაღუპულან.

ი. ჯაიანი აღწერს სოფელ დამპალას მუხთარის (მამასახლისის), 75 წლის გენჯაღა ბოლქვაძის მკვლელობას. ამას კი ავტორი იმით ხსნის, რომ მოკლულს ოსმალთა ხელისუფლების დროს, ახალგაზრდობაში ბევრი ავკაცობა ჰქონდა ჩადენილი, მისი მტრები ოსმალეთში გადასახლებულან, მაგრამ 15—20 წლის შემდეგ იქიდანაც მოსწვდნენ და სისხლი აიღესო. ი. ჯაიანი იმასაც აღნიშნავს, რომ გ. ბოლქვაძე ახალი მთავრობის დროს კეთილ კაცად ითვლებოდა. იყო მუჰაჯირობის მოწინააღმდეგე, ხალხის მრჩეველი, მომრიგებელი და პატივისცემითაც სარგებლობდა. დაჭრილ ბოლქვაძეს სიკვდილის წინ დისათვის დაუსახელებია მკვლელთა ვინაობა.

მკვლელობის ჩამდენნი ხშირად ჭოროხის ხეობაში სამუშაოდ ჩამოსულები იყვნენ. ისინი ყოველგვარ ავკაცობას სჩადიოდნენ და შემდეგ თავის ქვეყანაში გარბოდნენ ისე, რომ შემდეგ ვეღარავინ მიაგნებდა მათს კვალს. ასეთი მოხეტიალენი ხშირად გარკვეულ გასამრჯელოს ფასადაც ხელყოფდნენ ადამიანის სიცოცხლეს.

არცთუ იშვიათად ადამიანის სიცოცხლე ადგილობრივ მოხელეთა, სასაზღვრო გუშაგთა და ზოგჯერ ჯარისკაცთა უმსგავს საქციელს ეწირებოდა. ი. ჯაიანი აღწერს, თუ როგორ მოკლეს საზღვრის დარაჯებმა ორი ლაზი, რომელთაც ჭოროხის ხეობიდან მიჰქონდათ თავისივე ნაშრომის საფასურად მიღებული თამბაქო (34). ასევე შემაძრწუნებლად არის აღწერილი მედუქნის მკვლელობა, რომელიც ჯარისკაცებმა გაძარცვის მიზნით გამოასალმეს წუთისოფელს (35). 1895 წლის 2 ნოემბერს ავაზაკებს მოუკლავთ ორმოცდაათი წლის ფილიპე ომიანიძე (საჩინოელი), მისი მთელი ქონება გაუტაცნიათ და ოსმალეთში გადასულან.

ი. ჯაიანს სწორად ესმის ახლადგანთავისუფლებული სოფლებიდან მოსახლეობის აყრა-გადასახლების მიზეზები. ასეთი კი ძალზე ბევრი იყო. მცირე გაღიზიანებაც კმაროდა, რომ თავგზააბნეულ ხალხს მიეტოვებინა სახლ-კარი ისე, რომ არც კი იკითხავდა სად, ვისთან, რისი იმედით მიდიოდა. ერთი ასეთი დიდი ჯგუფი, 40 ოჯახამდე ივანე ჯაიანსაც შეხვედრია კახაბერში: „...რადგან იმათში ზოგიერთი ნაცნობი გამოდგა ჩემი, დამიწყეს თვალცრემლიანებმა ლოცვა და გამოთხოვება. მართალი მოგახსენოთ, იმათმა ტირილმა მეც თვალში ცრემლი მომგვარა... მე ვკითხე, რად მიხვალთ, ოსმალეთში-მეთქი. იმათ მიპასუხეს: რა ვქნათ, ბატონო, იქიდგან ხისიმები მოვიდნენ და გვიქეს იქ ყოფნაო, ხოჯა-მოლებმაც გვირჩიეს და ჩვენც მივალთო“ (11). ნათლად ჩანს, რომ ხალხი თითო-ოროლა „ხისიმის“ ანკესზე ეგებოდა, ძირითადი მაინც ხოჯა-მოლების აგიტაცია და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ხელისუფლების ცუდი დამოკიდებულება იყო.

ამ „ნაქებ-ნადიდებ“ ადგილებიდან მუჰაჯირები კვლავ უკან ბრუნდებოდნენ შიმშილით და სიღარიბით ილაჯგაწყვეტილნი: „დღე არ იქნება, რომ იქიდან მომსვლელი ხუთი-ექვსი კაცი არ მოადგეს აქაურ მცხოვრებს კარზე პურის, სიმინდის, კაკლის და ლობიოს სათხოვნელად. იმათ ნახევარს, ვინც კი აქედგან წასულა, არც სახლი მოეპოვება და არც მიწა-წყალი, რომ იმუშაოს და ქალ-ბალანა გამოკვებოს... ბევრს უნდა თურმე სამშობლოში აჭარაში დაბრუნება, მაგრამ ვინ გამოუშვებს, ან ერა და იმ სიშორიდან როგორ წამოიყვანოს შიშველი ქალ-ბალანა“ (11).

ოსმალეთიდან ჩამოსული ზოგი „მათხოვარი“ მოდიოდა სპეციალური მისიით, აღთქმული ქვეყნის ქება-დიდებისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი ოჯახი აეყარათ და წაეყვანათ. ჯამე-მედრესეებში ხოჯა-მოლები ძირითადად ოსმალეთიდან მოსულები იყვნენ და წარმოსადგენია თავისი ქადაგებით როგორ უბნევდნენ გზა-კვალს მოსახლეობას. ი. ჯაიანი ამაზეც ამახვილებს ყურადღებას: „თქვენ რაც გინდათ ეჩიჩინოთ, აბა რას დაიჯერებს თქვენს ლაპარაკს, ხოჯის ჩაგონების შემდეგ. ესეც კი უნდა ვსთქვა, რომ ზოგი ოსმალეთიდგან მათხოვრად წამოსული მართლა გაჭირვებული არ არის“ (12). იგი მოითხოვდა ასეთი „მათხოვრების“ ალაგმვას.

მუჰაჯირობის სერიოზულ მიზეზად ი. ჯაიანს ტყის მცველობის შემოღება და სამხედრო ბეგარა მიაჩნია. მართალია, ადგილობრივი მეტყევეები ხალხს ეუბნებოდნენ ტყით ძველებურად ისარგებლეთო, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალმა ხელისუფლებამ ზოგან, კერძოდ არდაგანის ოლქში, შემოიღო ტყის გადასახადი. ამით ისარგებლეს მუჰაჯირობის მქადაგებლებმა და ართვინის ოლქშიც დაიწყეს მოსახლეობის ჩაგონება: „არდაგანის ოლქში ერთ ჭვირთს ნეკერს ვერ მოსჭრის ფუხარა, სანამ სახელმწიფო ხარჯს არ გადაიხდისო და თქვენც ამისთანა დღე დაგადგებათ ხვალ და ზეგაო“ (24).

რაც შეეხება სამხედრო ბეგარას, ჯარში გაწვევის ნაცვლად შემოუღიათ ფულადი გადასახადი. ხალხს გაწვევა ერჩია, მაგრამ არ იწვევდნენ და არც ამის საჭიროება იყო — გადასახადს კი მაინც ახდევინებდნენ. ესეც მუჰაჯირობას უწყობდა ხელს. ცარიზმის ხელისუფლებას არაფრად მიაჩნდა მოსახლეობის აყრა-გადასახლება. ზოგჯერ ამ არასასიამოვნო პროცესს ხელსაც კი უწყობდა. ერთ-ერთ ასეთ ხელშემწყობ პირობად უნდა მივიჩნიოთ მალაკნების გადმოსახლება, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის მამა-პაპისეულ მიწებს იკავებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, მუჰაჯირთა ნაწილი დიდი მორალური და მატერიალური ზარალის ფასად უკან ბრუნდებოდა, ზოგი კი სარჩოს საძებრად ჩამოდიოდა. იზმითიდან ჩამოსულ ერთ ასეთ კაცს საგანგებოდ ესაუბრა ი. ჯაიანი, გამოკითხა იქაური ამბები. იზმითში უფრო მდიდრად არიან, ვიდრე ღარიბადო, უთქვამს მას, მაგრამ აშკარად ცრუობდა, რადგანაც თვითონვე აგროვებდა ბორჩხაში ჭირნახულს. მოსაუბრის ერთადერთ სასიამოვნო თვისებად ი. ჯაიანს ის მიაჩნდა, რომ ეს იზმითელი წმინდა ქართული ენით ლაპარაკობდა. ი. ჯაიანს უკითხავს, რატომ ქვია თქვენს ქალაქს გიაურიზმითიო. იმას უპასუხნია: აქედან გადასული ყველა მუჰაჯირი მშობლიურ ქართულზე ლაპარაკობს, ამიტომ შეარქვეს ქალაქს გიაურიზმითიო: „აქედგან ადვილად მიხვდებით, — წერდა ი. ჯაიანი, — საწყალი ხალხი რა საცოდაობაშია ჩავარდნილი, ამ აღა-ეფენდების გადამკიდე, რომელნიც იქ ურჩევენ გადასახლებას, სადაც თითქმის ნახევარი შიმშილით იხოცება და ამას გარდა ყოველს ნაბიჯზე გიაურებს ეძახიან“ (24).

ღ ღ ე ბ ე გამოქვეყნებულ ლიტერატურაში მუჰაჯირობის პე-

რიოდში გადასახლებულთა რიცხობრივ შემადგენლობაზე ძალზე განსხვავებულ მონაცემებს ვხვდებით. ჩვენ არ შევუდგებით ამ მონაცემების მოშველიებას, მაგრამ ის, რაც ი. ჯაიანს აქვს მოტანილი და ერთადერთ სოფელს ბორჩხას ეხება, ყველაზე სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ და განვსაზღვროთ ის დიდი მასშტაბი, რაც მუჰაჯირობამ მიიღო ჭოროხის ხეობაში. მისი დაკვირვებით ოსმალთა მფლობელობის დროს ამ სოფელში 137 კომლი ყოფილა, რაც 1894 წლისათვის 22-მდე შემცირებულა, დანარჩენი ოსმალეთში გადასახლებულა. ბორჩხის 4 ხეობაში (მურღული, დევსკელი, ჩხალი, კელასკური) 500 კომლამდე კიდევ ყოფილა დარჩენილი. მუჰაჯირობის დაწყებამდე ამ ხეობებში მისი ვარაუდით ალბათ 2000 კომლამდე იქნებოდა.

სასაზღვრო ინციდენტები, კონტრაბანდა, საბაჟო

ომის დამთავრებისთანავე, როცა უკვე დადგინდა რუსეთ-თურქეთის საზღვრები, მოსახლეობის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა საზღვრის გადაღმა დარჩენილ ნათესავებთან თავისუფალი მიხვლა-მოსვლა. მდგომარეობას აძნელებდა ის, რომ ლაზისტანის კორდონზე მხოლოდ 2 ადგილას იყო ნებადართული გადასვლა: ხოფასთან და ორჯოხში. მათ შორის მანძილი 100 ვერსს შეადგენდა, რაც იმ დროისათვის ორი დღის სავალი იყო. ი. ჯაიანი სამართლიანად მოითხოვდა, რომ საზღვრის გასწვრივ, სულ ცოტა, ხუთ პუნქტში მაინც ყოფილიყო გადასვლა-გადმოსვლა, რადგანაც ნათესავები და ოჯახის წევრები ერთმანეთში მიმოდიოდნენ საოჯახო შრომაში დასახმარებლად, ავადმყოფის მოსანახულებლად, გარდაცვლილის დასატირებლად, ქორწილში და ა. შ. მისი აზრით, თუ ეს მოხერხდებოდა, ადმინისტრაცია ამით მოსპობდა „გადაპარვა-გადმოპარვას ყაჩაღივით“.

სხვათა შორის, გადაპარვა-გადმოპარვას ადგილი ჰქონია სხვა მიზნითაც. ი. ჯაიანი აღწერს კონტრაბანდისტების გადმოსვლას, რასაც მათ და საზღვრის დამცველებს შორის ორმხრივი სროლა მოჰყოლია. საზღვრის დამრღვევებს ბრძოლა წაგებულად ჩაუთვლიათ, აკრძალული „ევროპული საქონელი“ ცხენებიდან ჩამოუყრიათ და გაქცეულან. ამ საქმეში კაპიტან ფ. გ. მიქელაძეს ადგი-

ლობრივი ბიჭებიც დახმარებიან. საყურადღებოა, რომ ასეთ დარღ-ვევებში კონტრაბანდისტებს ხელს უწყობდნენ საბაჟოს მოხელე-ები.

საბაჟოებში სხვა უწესრიგობაც ყოფილა. გათავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ ბორჩხაში დაარსებულა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, მაგრამ უბრალო ნივთის გასაგზავნად აუცილებელი იყო საბაჟოს ბეჭედი. საბაჟოები კი არსებობდა მხოლოდ ბათუმსა და ორჯოხში, რომლებიც ბორჩხიდან 40—55 კმ-ით იყო დაშო-რებული. ამ გზაზე მიმოსვლაში ადამიანი 2-3 დღეს ჰკარგავდა და სანამ საბაჟოს მიაღწევდა, მას კიდევ ათასგვარი ხარჯი სჭირდებო-და. ი. ჯაიანს ეს ბარიერები სამართლიანად მიაჩნია პორტო-ფრან-კოს დანაშრევად. ამავე დროს იგი დადებითად მოიხსენიებს ფოს-ტა-ტელეგრაფის მაშინდელი უფროსის ა. ლ. ვასაძის დამსახურე-ბას, რომლის მეოხებით ამანათები საბაჟოს ბეჭდის გარეშე იგზავ-ნებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის აღელვებას იწვევდა საზღვ-რის ხაზებზე ყაზახი პლასტუნების მოქმედება. ისინი ავიწროებდ-ნენ მცხოვრებლებს და მცირე მიზეზი ხშირად სერიოზულ ინცინდენ-ტში გადაიზრდებოდა ხოლმე. 1895 წლის ბოლოს პლასტუნები ჯარისკაცებით შეუცვლიათ, რასაც მოსახლეობა სიხარულით შეხ-ვედრია, თუმცა ამ ცვლილებას სხვა უხერხულობა მოჰყვა. ჯარისკა-ცების რიცხვი გაორმაგდა, მოიმატა საკონტროლო პუნქტებმაც. უწინ თუ ასეთი პუნქტი ორი იყო, ახლა ოთხი პუნქტი დაუწესებიათ: ართვინში, ბორჩხაში, მარადიდსა და კაპანდიდში. ყველა პუნქტზე სინჯავდნენ მენავეებსა და მგზავრებს, რაც ძალიან დიდ დროს მო-ითხოვდა. ხშირად მგზავრებს ღამისთევაც უხდებოდათ. ამიტომ ი. ჯაიანი ადგილობრივ ხელისუფლებას გაზეთის საშუალებით სთა-ვაზობდა უფრო გამართლებულ წესს: ნავი და მგზავრი გასინჯუ-ლიყო ართვინშივე ნავის დატვირთვისას, მენავეს მისცემოდა საბუ-თი, რომ ნავი და მგზავრები შემოწმებულნი არიან და დანარჩენ პუნქტებზე აღარ იქნებოდა საჭირო მათი შეწუხება.

ქართული სკოლის საჭიროება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

1895 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ხელმოუწერელ წერილში, რომელიც, ჩვენი აზრით, ი. ჯაიანს ეკუთვნის, დიდი გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გაიხსნა სკოლები, ხოლო ჭოროხის ხეობა კვლავ სკოლის გარეშეა დარჩენილი. ავტორის თქმით, აქაურ ქართველობას სკოლის გახსნაც და შენახვაც შეუძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის მისი მნიშვნელობა და ამ შეუგნებლობას კიდევ უფრო აღვივებენ რელიგიის მსახურნი.

ი. ჯაიანი გაკვირვებას გამოხატავს მაღალი ფენის წარმომადგენლების, აღა-ბეგების მიმართ, რომლებიც ღარიბთა ყველა საქმეს მართავენ, მაგრამ სკოლების გასახსნელად არავითარ მეცადინეობას არ იჩენენ. მით უმეტეს, რომ მათ კარგად აქვთ შეგნებული სკოლების გახსნის და წერა-კითხვის გავრცელების მნიშვნელობა. ავტორს სამართლიანად მიაჩნია, რომ მდიდრებმა მაგალითი უნდა უჩვენონ მდაბიო ხალხს და ჩააგონონ „ამ ფრიად კეთილის საქმის“ საჭიროება. ამის შემდეგ ღარიბიც თავის წვლილს არ დაზოგავს ამ სასარგებლო საქმისათვისო.

ი. ჯაიანი კმაყოფილებით იგონებს ახმედ ხალვაშს, რომელმაც პირადი ინიციატივით გახსნა სკოლა: იგი წერს: „ჩვენ ერთხელ გვქონდა სკოლა. ეს სკოლა ახმედ ეფენდიმ გახსნა თავის ხარჯით და ჯეროვანი ნაყოფიც მოჰქონდა სკოლას, მაგრამ გარდაიცვალა პატივცემული ახმედ ეფენდი და სკოლამაც შესწყვიტა თავისი არსებობა“ (31). სხვათა შორის ი. ჯაიანის ეს ცნობა ჯერჯერობით ერთადერთია, რომელშიც ნათლად გამოსჭვივის სწავლა-განათლებისადმი ახმედ ხალვაშის დიდი ზრუნვა.

ი. ჯაიანის განმანათლებელ საქმიანობას, სხვათა შორის, ეხება ზ. ჭიჭინაძე. 1894 წლის 7 ივნისს თავის მოხსენებაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი, აჭარაში სკოლების გახსნისა და ქართული წიგნების გავრცელების შესახებ იგი შემდეგს წერს:

„ზეგნის დაბა ხულოდან ითხოვს რამდენიმე ცალ „დედაენას“ აქაური სამმართველოს მოხელე ემილ რობაქიძე, რომელიც ქართ-

ველ მაპმადიანთ შვილებს ქართულ ანბანს ასწავლის. ასევე ქართულ ანბანს ასწავლის ბორჩხაში ივანე ჯაიანი, ხუთიოდე საბავშვო წიგნიც იმისთვის იქნება საჭირო.

ხსენებული პირები თავის დროს საზოგადოებას წერილსაც მოსწერენ და მადლობას გადაუხდიან.

ზ. ჭიჭინაძე".

/(საისტორიო მოამბე, № 38, თბილისი, 1978, გვ. 88-89).

* * *

საოცრად ღრმა დაკვირვებას იჩენს ი. ჯაიანი საშიში დაავადებების მიმართ, ზოგი მათგანის გავრცელებას იგი სამართლიანად უკავშირებს ამინდის ცვლილებას, დიდ სიცხეებს, სიცივეს, ქვებისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს და ა. შ. მისი განსაკუთრებული შეშფოთება გამოუწვევია ქოლერას, რომლის შემოტანას ამ მხარეში ყუბანელი ჯარისკაცების მოსვლას უკავშირებს. დაავადება განსაკუთრებით მამაკაცებში გავრცელებულა. „თქვენს მტერს იმისთანა „ბელა" მკითხველო, როგორიც ამათში დაატრიალა ხოლერამა. დღეში რამდენისამე კაცის სიკვდილის მოწმე ვიყავით სოფლებში თუ ბათუმ-ართვინის გზაზედ, ვინც კი იმათის ბარგის ამომტანი მენავენი იყვნენ ბათომიდგან ართვინს, სოფ. კატაფხის მცხოვრებნი, მათ შორის ხუთი კაცი, სამი დღის განმავლობაში გამოასალმა სენმა ამ დუნიას" (3).

მოსახლეობა დაავადების გავრცელებას ართვინის ყურძენსა და მჭადს მიაწერდა თურმე. ი. ჯაიანი ამ მცდარი აზრის წინააღმდეგაც გამოდის. „შარშანდლამდის არ ჰხოცავდა აქაურებს ართვინის ნაქები ყურძენი და მჭადი და რაღა მაშინ დახოცა, ან არა და ცხელის წყლით მოზელილ და გახურებულ კეცზე გამომცხვარ მჭადსაც გადაურჩა ბაცილები?" (3), — სამართლიანად შენიშნავდა იგი.

მცდარი აზრი ყოფილა გავრცელებული თამბაქოს მავნეობაზეც. ამ ერთადერთი ყველაზე შემოსავლიანი დარგის საწინააღმდეგოდ ართვინში ჯარის ასეულის უფროსს გაუვრცელებია ხმა, თითქოს მისი სუნის გამო ჯარისკაცებს სურდო ექნებათო და აუკრძალავს სამხედრო ნაწილების ახლომახლო თამბაქოს დარგვა. ამ სა-

კითხზე მოსახლეობამ თხოვნით მიმართა აქ ჩამოსულ კორპუსის მეთაურს ი. გ. ამილახვარს, მას ექიმიც ახლდა, რომელსაც დაუდასტურებია, რომ, მართალია, თამბაქოს მოწევა მავნეა, მაგრამ მისი სუნი რომ სურდოს იწვევდეს. ეს არცერთ წიგნში არ წამიკითხიაო. ამის შემდეგ უფროსს მიუცია თამბაქოს დარგვის ნება.

ქოლერის ეპიდემია ჯერ არც კი იყო ჩამქრალი, რომ ჭოროხის ხეობაში ინფლუენცია გაჩენილა, რომელიც უმეტესად მოხუცებულებსა და ბავშვებს დაერია. ამ დროისათვის მთელს ხეობაში არ ყოფილა არცერთი ექიმი და ფერშალი, მოსახლეობამ არც კი იცოდა, თუ არსებობდნენ ასეთი მშველელნი, ამიტომ ჩვეულებრივი იყო ყოველი საჭიროების დროს ხოჯა-მოლები მოეწვიათ, რომლებიც ძირითადად ოსმალეთიდან იყვნენ გადმოსული. მათ მიმართ უსწავლელ მოსახლეობას დიდი რწმენა ჰქონდა, მათში ხედავდნენ ერთადერთ იმედს. ცხადია, იმათი ლოცვა-კურთხევით ავადმყოფი ვერ მოიკეთებდა, მაგრამ „მკურნალი“ საფასურს მაინც იღებდა. თუ ბუნება უშველიდა და მორჩებოდა, „მოლა კარგ ფასს იღებს და ხმაც იმისთანა ექნება სოფელში, რომ თუ ვინმეს თავი ასტკივდა, მოლას ხელის გულზედ დაისმენ და ისე სასოებით დაჰყავთ ერთის ავადმყოფიდგან მეორესთან, სოფლიდგან სოფელში... წარმოიდგინეთ მერე თეთრჩალმიანი და პატარა წვერა თუ ვინმე გადმოვიდა აქეთ ოსმალოდგან, ჩვენთვის ყველა ხოჯა და ეფენდი ჰხდება.... ავი და კარგი იმათ ხელშია და როგორც იმათი სურვილი და ნებაა, ისე წალმა-უკუღმა ატრიალებენ ფუხრის ბედ-ილბალს“ (17).

ი. ჯაიანი შემდგომშიც კვლავ და კვლავ მიუთითებდა მოსახლეობის უნდობლობას ექიმებისა და ფერშლების მიმართ. ამას თავისი საფუძველიც ჰქონდა. 1895 წლის ზამთარში ყვავილის ასაცრელად ფერშლები ამოსულან. თითო ბავშვის აცრაზე თითო აბაზს ახდევინებდნენ, მაგრამ ეს ვაი-მკურნალები ისე გაიტაცა ფულმა, რომ როცა ყვავილის მასალა შემოაკლდათ, ბავშვებს ტყუილად ფხაჭნიდნენ და აბაზს მაინც იჯიბავდნენ. ასეთ პირობებში არცაა გასაკვირი, რომ ჭოროხის ხეობის მოსახლეობას მასობრივად მოედო ყვავილი და ყელჭირვება. „დევსკელის ხეობაში სამი სამამასახლისოა და ოჯახს ვერ იპოვით იმისთანას, სადაც 1-3 ბაღანა არ დაჰკლებოდეს ყვავილით თუ კისერითო“ (30), გულისტკივილით დასძენ-

და ი. ჯაიანი და მოითხოვდა მუხთარისაგან, რომ ასეთი დაავადების გამოჩენისთანავე დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის საექიმო დახმარებაზე.

ქალთა საკითხი

ი. ჯაიანის თვალს არ გამოპარვია, რომ ხვნა-თესვა და პირნახულის მოყვანა ქალების საქმედ ითვლება. ქალის როლი ჭოროხის ხეობაში ძალზე დიდი იყო.

ამასთან ერთად ი. ჯაიანი აღნიშნავს ქალის უუფლებობას, მისდამი ბატონკაცურ დამოკიდებულებას. ამას ხელს უწყობდა მამაკაცთა გარე სამუშაოები და საშოვარზე შორს წასვლა. თუმცა ავტორი ამ მოვლენას სამართლიანად მიაწერს ზოგი მამაკაცის სიზარმაცეს, ყავახანებში და აზარტულ თამაშებში დროის კარგვას.

ქალი ოჯახში ყველაფერი იყო, ყანა-ბოსტნის მომვლელიც, პირუტყვის შემნახველიც, ქმარ-შვილის დამპურებელიც, შვილების მშობელიც და აღმზრდელიც. თუ სახლში არავინ ჰყავდა, აკვანიც ყანაში მიჰქონდა. ი. ჯაიანი ასეთ საინტერესო შემთხვევას აგვიწერს: „ბევრგან შესვდებით რომ აკვანი ხეზეც აქვს ჩამოკიდული, არაფერმა უკბინოს ბაღანასაო და თვითონ კი იქვე ახლო მუშაობს, რომ თუ ვინიცობაა ბავშვი ატირდეს, თავის დროზე მიაწოდოს ძუძუ“ (22).

ავტორი ყურადღებას ამახვილებდა პოლიგამიაზეც და თვლიდა, რომ ჭოროხის ხეობაში ორცოლიანობა იშვიათია და იმ შემთხვევაშია შესაძლო, თუ ქალი ძალზე მოხუცი, საპყარი ან უშვილოა. ი. ჯაიანი ამ მდგომარეობას ქალთა ხშირ დაავადებასაც მიაწერს. ავადმყოფი დედაკაცი თვითონვე თხოვდა ქმარს, რომ მეორე ცოლი მოეყვანა, რათა სახლ-კარი და მინდორ-ბოსტანი, სტუმარი და მოსულ-წასული უყურადღებოდ არ დარჩენილიყო. თუმცა, როგორც იგი შენიშნავს, „ძალიან იშვიათია, რომ მეორე ცოლმა სახლს მშვიდობიანობა და ბედნიერება მოუტანოს — პირიქით, სახლ-კარსაც აურდაურევს და ოჯახშიაც სიძულვილს ჩამოაგდებს“ (8).

ქალის მიმართ მბრძანებლურ დამოკიდებულებასთან ერთად მამაკაცი ყოველთვის იყო მისი დამცველი, ნამდვილი რაინდი, ადათწესების შემნახველი. ი. ჯაიანი აღწერს ერთ ასეთ შემთხვევას, რო-



სოფელი ბორჩხა, 1897 წ.

ცა მარაღიდის უფროსის შენობის წინ სოფელ ხებას მცხოვრებმა დასვრა თავისივე მეზობელი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა გასათხოვარ ქალს მანდილი მოჰხადა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ქალს სხვა ცოლად აღარ შეირთავდა.

თავის ადრინდელ წერილში ი. ჯაიანი აღნიშნავს, რომ ბორჩხელებს ქორწილი იაფი უჯდებათო და ამით ხსნის, რომ ოჯახებში ნოგიერობას ოჯროებიც კი გააჩნიათო, რადგან სარჯები ცოტა მოსდითო (4). როგორც მისი მომდევნო წერილით ვგებულობთ, ცოლის შერთვა არცთუ ისე იაფი ჯდებოდა. ივანე ჯაიანს დეტალურად აქვს აღწერილი სარჯები, რაც ქალიშვილის გამგზავრებასთან და რძლის მოყვანასთან არის დაკავშირებული. უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა რძლის მომყვანი. რადგანაც სასიძოს მხრივ სარჯები 15-20 ცხრამანეთიან ლირას აღწევდა. სწორედ ამ ხარჯებს ერიდებოდნენ ბიჭები და ხშირად საცოლეს იტაცებდნენ, რასაც ხშირად ახლდა მკვლელობა და სისხლისღვრა. ზოგჯერ ერთი ქალის მოტაცებას 2-3 და მეტი კაცის სიცოცხლე შეუწირავს.

როგორც ვხედავთ, ქალის მოტაცებას ი. ჯაიანი ძირითადად სარჯების თავიდან აცილებას მიაწერს, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ქალის მოტაცება მრავალი სხვა საბაბითაც იყო გამოწვეული.

1894 წლის სექტემბერში ი. ჯაიანი მ. და პ. მახარაძეებს დაუპატიჟებიათ სოფელ ბახვში რელიგიურ დღესასწაულზე. სტუმარი დეტალურად აღწერს ამ დღეს, გარდა ამისა ეხება ქალთა შრომას და აკარებს გურული და აჭარელი ქალების შრომის და დასვნების პირობებს. ავტორის თქმით, განსხვავება ამ ორ მხარის შორის ის არის, რომ გურიაში მამაკაცებს უფრო მეტი შრომა უწევთ, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა „შეკვეთილისა და ქობულეთის ზღვის პირები გავსებულია ზღვაში მობანავე ქალებით, რომელთაც ორი და ზოგს სამი ქორფა ბაღნებიც-კი დაუტოვებიათ ქმრებისათვის და ვითომ ავადმყოფები დროებას ატარებენ ზღვის ნაპირასო“ (25).

ი. ჯაიანი ეხება აგრეთვე ბახმაროში სააგარაკოდ ამოსულებს, იალაღებზე მომუშავე ქალებს. რომლებიც თვეობით რჩებოდნენ, პირუტყვსაც უვლიდნენ, რძის პროდუქტებსაც ამზადებდნენ და ოჯახისათვის დოვლათს ქმნიდნენ და სურვილს გამოთქვამდა, რათა სხვა ქართველ „ქალებსაც მიებაძოთ აჭარელი ქალებისა-

თვის და ამით ოდნავ მაინც დახმარებოდნენ თავიანთ ქმრებს, რომელთაც ათასნაირს გარდასახადსა და გაჭირვებისაგან თავი მაღლა ვეღარ აუწევიათ. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ საქმეს ერთმა მოჰკიდოს ხელი და მერე სხვებიც იმას მიჰბაძავენ, ისევე, როგორც ბანაობა მიჰბაძეს" (25).

მატერიალური კულტურის ძეგლები

ი. ჯაიანი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სამხრეთ-საქართველოს მრავლად არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი. ის შეძლებისდაგვარად აღწერს ჯერ კიდევ შემორჩენილ ეკლესია-მონასტრებს და ციხე-სიმაგრეებს, როგორც ერის წარსულის მრავლისმეტყველ კერებს.

როგორც ცნობილია, აჭარა-შავშეთის მატერიალური ძეგლებისადმი დიდ ინტერესს იჩენდა რუსეთის საარქეოლოგო საზოგადოებაც. ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს აქ ჩამოვიდა ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, ერთი წლის შემდეგ ცნობილი ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე გ. ყაზბეგი და სხვები. მათ თავიანთი მოგზაურობის ანგარიშები წარუდგინეს საიმპერატორო აკადემიას და წიგნებიც გამოაქვეყნეს. რომლებიც დღესაც ითვლება ენციკლოპედიურ გამოცემად.

1888 წელს ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს ამ მხარეების დასათვალიერებლად ჩამოსულა გრაფინია პ. ს. უვაროვა. ადრე გამოქვეყნებულ შრომებში ცნობილი იყო, რომ გრაფინიას თან ახლდნენ ქალები, მათი ურთიერთობა არ იყო გარკვეული, ი. ჯაიანის წერილით კი ირკვევა, რომ უვაროვას ახლდნენ შვილები, დაი და დისწული. მართალია მათი სახელები არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ მისი არქეოლოგიური მოგზაურობა ერთგვარ საოჯახო ექსკურსიასაც წარმოადგენდა. ი. ჯაიანს ზუსტად აქვს დასახელებული პუნქტები, სადაც იყო გრაფინია და რა მნიშვნელოვანი ძეგლები მოინახულა: „ამას წინად აქ მობრძანდა მოსკოვიდგან თავმჯდომარე მოსკოვის საიმპერატორო და საარხეოლოგიო კომისიისა გრაფის ქვრივი უვაროვისა თავისი შვილებითურთ, დითა და დისწულით და დაიარა მთელი აჭარის ძველი მონასტრები. უვაროვისა და იმასთან მყოფნი ავიდნენ ერთს ნასაყდრალზე, რომელიც არის აგარის-

საზოგადოებაში და სახელად უძახიან საციხურს, აქ უვაროვისამ მოათრევინა ის ნასაყდრალი და იპოვა მარმარილოს ქვაზე რამდენისამე წმინდანის სურათი. ამას გარდა კიდევ გამოჩნდა ბევრი რკინები და ხატის ნატეხებიც. შესანიშნავი თლილი ქვები ნატეხებით, მაგრამ ამ ქვებს თითოს ხუთს ფუთიდგან ათ-თორმეტ ფუთამდის გამოდიოდა; ასე, რომ ასოც ფუთამდის იყო ყველა ქვები წონით, ყველა ეს ქვები, ხატები და ნაპოვნი ნივთები ბათუმში ჩაიტანეს" (...).

გრაფინია უვაროვას ამ მოგზაურობას სხვა ავტორებიც ეხებიან, მაგრამ ისინი ეყრდნობიან სხვების გადმოცემებს, ი. ჯაიანი კი ეტყობა ამ ამბების თვითმხილველია, ამიტომ მისი ცნობა სარწმუნოა და მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ვხედავთ, უვაროვამ ბევრი საინტერესო ნივთი და ძეგლის ნარჩენები გაზიდა აჭარიდან. სამწუხაროდ, დღემდე არავინ იცის ამ განძის ადგილსამყოფელი და არც არავინ დაინტერესებულა მათი მონახულებით. მათი გამოვლინება, აღწერა და დღის სინათლეზე გამოტანა მეტად საშური საქმეა, რადგანაც შესაძლოა გაირკვეს ბევრი საინტერესო საკითხი სამხრეთ საქართველოს უძველესი ისტორიიდან.

ი. ჯაიანს არცთუ ისე უსაფუძვლოდ მიაჩნია, რომ ძველ სამცხე-საათაბაგოში არსად არ არის ქრისტიანობის იმდენი ნაშთი, რამდენიც სოფელ ბორჩხას ახლო-მახლოო. ამ დროისათვის ამ ლამაზ სოფელში ყოფილა ორი ციხე და სამი ნასაყდრალი, აგრეთვე მრავალი ჭური, სადაც ორი კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა, დარჩენილა ბევრი ვაზის ძირები და სხვ.

მატერიალური კულტურის ძეგლთა გადარჩენას ი. ჯაიანი ძირითადად მოსახლეობას მიაწერს, რომელსაც მისი ხელყოფა დიდ ცოდვად მიაჩნდა. იგი წერს: „ამ მხარეში თუ სადმე ხელუხლებლად დარჩენილან საყდრები, ეს იმას ნიშნავს, რომ მაჰმადიანთ საყდრების დანგრევა ცოდვად მიაჩნდათ, ხალხში კიდევ დარჩენილიყო შიში ეკლესიისა" (36). ბევრი ძეგლი განადგურებულა ოსმალთა დამკვიდრების პირველ წლებში, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც თლილი ქვებით იყო ნაშენი, რადგანაც მას იყენებდნენ ჯამე-მედრესეების ასაშენებლად, თურქი მოხელეები ამ მასალით სახლებსაც იშენებდნენ.

განსაკუთრებით კარგად შემონახულა ეკლესია სოფელ პეტ-

რულში, რომელიც ბორჩხიდან ორი საათის სავალზეა. აქ ხელუხლებლად დარჩენილა წმინდანთა ნახატებიც. დაუპირებიათ ამ ეკლესიის დანგრევაც, მაგრამ, იგი ქალებს გადაურჩენიათ. ბოლო წლებში ამ მხარეში მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას დიდ ყურადღებას უთმობდა ახმედ ხალვაში. პეტრულის ეკლესიაზე მან მთლიანად ღობე შემოავლებინა, ყარაულიც მიუჩინა, რომელსაც ჯამაგირსაც უხდიდა ამ ეკლესიის დაცვისათვის.

მნახველს აკვირვებდა ტბეთის სახელგანთქმული ტაძარი. იქაურ ასი წლის მოხუცს სულეიმან ომეროღლის ი. ჯაიანისათვის უამბნია, როგორ აპირებდნენ ამ ტაძარზე მინარეთის მიშენებას, როგორ ჩამოცვენილა 7 კაცი კედლებიდან და დამსხვრეულან. ამის შემდეგ ხელი აუღიათ ამ განზრახვაზე, თუმცა მინარეთის მიშენების კვალი მაინც დარჩენილა (36).

* * *

ივანე ჯაიანი ბორჩხაში 3-4 წელს მსახურობდა, მაგრამ ეს მცირე დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იქაურობა გაეთავისებინა, მშობლიურად გაეხადა, იქაურთა სატკივარი გაეთავისებინა. ამაში ი. ჯაიანის წერილებითაც ვრწმუნდებით. მართალია ზოგი რამ ამ ნაწერებში თანამედროვე მკითხველის გაგებით სადაოა, მაგრამ მასში ძირითადად სწორად არის ასახული იმდროინდელი სამხრეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრება, პოლიტიკური ვითარება, ამიტომ, ვფიქრობთ, როგორც ამ წერილებს, ასევე მისი ავტორის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას მკითხველი სათანადო ინტერესით გაეცნობა.

წერილები შავშეთიდან

1. „დროება“, № 83, 1881 წ., 23 აპრილი

ბათომი, 8 აპრილს. ამას წინათ, ოც მარტს, ჩვენ გიახელით ტყეების რევიზორთან სახვანთქრო ტყეების სანახავათ, კინტრიშის მაზრაში.

მივედით და ვნახეთ, რომ მიმავალ მეჰაჯირებს მოუკიდნიათ ცეცხლი სახვანთქრო და სასოფლო ტყეებისათვის და გადაუწვავთ; კიდევ რამოდენიმე ათი და თხუთმეტი ფირალის თავშესაფარი. ხეები კი დარჩენილან იქა აქ...

ოცდაოთხს მარტს ჩვენ მივდიოდით ჩოლოქის პირათ და ვნახეთ გაღმა გურიის მხარეს რამოდენიმე მუშა ხალხი, — ყანას მუშაობდნენ.

იმ მუშებისათვის სადილი მინაქონა ერთს გურულს, ოზურგეთის უეზდის სოფლის ლეხურელს მცხოვრებს სალიქვაძეს.

ჩოლოქის ახლო თურმე იმათს შეხვედრა რამოდენიმე დაიარალებული თათრები, ესე იგი ფირალები, რომელთაც ბოტაცს ის სადილიანათ.

სადილის მოლოდინე ხალხმა სადილობამდის იყურეს, მაგრამ სადილი არ მოუვიდათ; იმათგან ერთი წავიდა ამბის შესატყობათ, რატომ ამდენ ხანს სადილი არ მოგვივიდაო.

ცოტა რომ წაიწია შეიტყო, რომ მესადილე გლეხი ფირალებს მოუტაცნიათ. იმან მაშინვე შეატყობია თავის ამხანაგებს და წავიდნენ გურიაში ნათესავების შესატყობინებლათ; იქიდგან წამოვიდნენ სამოცამდის გურულები, ეძიეს და I-ს აპრილს ნახეს ერთი სახსარ-სახსარ დაჭრილი კაცი. ზოგიერთი ნაჭერი წყალში გადაეყარათ, ზოგი კი ვერ იპოვეს. ამბობენ, რომ ამ გურულის მოტაცების მიზეზი ის ყოფილა, რომ შარშან ვიღაცა გურულს თათარი მოუკლავს და ეს იმისი მაგიერი არისო.

როგორც ამბობენ, სადაც ის მკვდარი ნახეს, ის ტყე კინტრიშის

უჩასტკას ეკუთვნისო, მაგრამ ბ. მაზრის უფროსს თავი არ შეუწუ-ხებია[1] და არ წასულა სანახავათ, არამც თუ მეცადინეობა გაეწია იმათი დაჭერისო!

ზემოხსენებული ტყეებიდამ დავბრუნდით და ჩამოვედით ჩ-ში[2] —1-ს აპრილს და დავდექით მურადბეგ თავდგირიძის[3] ნაქონ სახლ-ში, რომელიც ამ დროებით უყიდნია იქაურ მაზრის უფროსს; ამ სახლის ქვემო ოთახში ოთხი ტუსაღი იყო, რომელთაც გარედამ ექვსი-შვიდი სალდათები იცავდნენ. ამათგანი ერთი სალდათი გა-რეთ დადიოდა და უყურებდა ტუსაღებს. სამს აპრილს, ღამის სამ საათზე შეიქნა თოფების სროლა და სალდათის ყვირილი. მაგრამ ისეთი სროლა კი იყო, რომ კაცს ეგონებოდა ისთევე ომს დავესწა-რითო. ამ დროს [illegible] ფეხზე ღა გავიხედეთ ფანჯრიდგან, ვნახეთ, რომ სალდათი მიწაზე გდია და ღრიალით იკლებს იქაუ-რობას.

ცოტა რო შეწყდა თოფის სროლა, ჩამოვედით ძირს, მაგრამ დაჩარჩენი სალდათები კიდევ არ იყვნენ გარეთ გამოსული, რადგან კარებში დაუშინეს თოფები და გამოსვლის გზა არ ქონდათ.

მემრე სალდათები გამოვიდნენ და შექნეს თოფების სროლა ჰაერში, რომ მოშველებოდნენ. ამ დროს მოვიდა [illegible] ერთიც ორმოცი ყაზახები თავისი კამანდირით და, რასაკვირველია, ჩვენი ზაფთიებიც.

ძირს დაგორებულმა სალდათმა დაიძახა მომკლა მეგონა მ... ძა-ღლმა. ამ დროს გავიხედეთ, მოვიდა ბ. მაზრის ნაჩალნიკი ღა პირ-ველთავე იკითხა ტუსაღები ყველა თუ არიანო! — ერთმა ტუსაღთა-განმა უპასუხა ხასან დერვიშ-ოღლი არ არის ბატონოვო! შექნეს ამაზე ერთი ყვირილი, მაგრამ რაღა დროს იყო. მაშინ ათი ვერსტი გზაც ექნებოდა გავლილი. როგორც მერე გავიგეთ ზემოხსენებული ტუსაღი ფანჯრიდამ იყო გამძვრალი.

დერვიშ-ოღლი სხვათა შორის ტამოჟნის ცხენების მოპარვაშია ბრალდებული. როდესაც ეს დერვიშ-ოღლი დაიჭირეს, იმის გამო-შობის თაობაზე ძალიან მონდომებული იყვნენ ქობულეთელები, მაგრამ ნაჩალნიკმა არ გაუშვა ის თანდებობის ქვეშ. მაშინ დერვიშ-ოღლის ძმამ მაინც საშველი არ ქონებიაო და დაეცა ათი კაცით და —თავისი ძმაც გაუშვა და ერთი სალდათიც დაჭრა.

მეორე დღეს, ოთხ· აპრილს დაეცნენ დერვიშ-ოღლის სახლს განთიადისას, მაგრამ იქ ის ვერ იპოვეს.

თავ. ი. ხ. ჯ ა ი ა ნ ი.

2. „ივერია", № 198, 1888 წ., 16 სექტემბერი

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ხულა (ზემო აჭარა) — თუმცა დამიგვიანდა ამ ამბების მოწერა, მაგრამ მაინც მოგწერთ. წრეევანდელმა ზაფხულმა უწვიმოდ ჩაიარა; გოლვისაგან კინაღამ მშიერები დაერჩით, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯერ-ჯერობით კიდევ არ ვემდურით ბედსა და ილბალს. თუ შიმშილობა შეგვაწუხებს, სამაგიეროდ იქნება ავაზაკობისაგან მაინც მოვისვენოთ. აქამდე მუდამ ავკაცობა იყო და ახლა-კი, ცოტა არ იყოს, იკლო. ამ ზაფხულს აქ მოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი[1] და სასტიკი ბრძანება გასცა, რომ ვინც საეჭვო კაცი იქნება და ვისზედაც კაცის კვლასა და ავ-კაცობაში ეჭვს მიიტანს ან ადგილობრივი ბოქაული, ან საზოგადოება, სასტიკად იქნება დასჯილიო. დავსჯი არა თუ საეჭვო კაცს, არამედ იმისს სახლი-კაცებსაც ხეირს არ დავაყრი, თუ რომ არ გამოაჩინეს ავაზაკი და ან თუ თითონ არ გამოცხადდა ბათუმში ავი კაციო. ასეთის ბრძანების გამო ხალხი შეშინდა, შეფიქრიანდა და აგერ მას აქეთ მყუდროება სუფევს, თუმცა ავაზაკობა და კაცის კვლა მაინც არ მოსპობილა სრულიად და ხან აქედამ გესმით უსიამოვნო ამბავი, ხან იქიდამ.

აგერ თხუთმეტის დღის განმავლობაში ორი აჭარელი კაცი და ერთიც ეჯემი მოჰკლეს ქვაბლიანის ხეობაში, ახალციხის მაზრაში. ერთი იყო მებაღედ და თურმე საცოდავს რამდენიმე ასი მანეთი ჰქონოდა ჯიბეში და ამ ფულების გამო მიხტომიან ბაღში და გამოუსალმებიათ ამ დუნიისათვის. მეორეც იყო ქურთი ხასან. ამ ერთის წლის წინათ ეს ქურთი შევიდა ლესნიჩთან აბეშჩიკად და

ყოველ დღე დადიოდა სახელმწიფო ტყეებში, რომ ხეები არავის მოეჭრა უსასყიდლოდ და ლესნიჩის ნება-დაურთველად, აგერ მეოცე დღეა, რაც ეს კაცი დაკარგულია და თუმცა თავ-გადაგლეჯილები დარბიან ამ საცოდავის ძმები და დაეძებენ, მაგრამ ჯერ-ჯეროობით ვერც მკვდარი ჰნახეს და ვერც ცოცხალი. ვინ იცის რომელ ტყესა და კლდეში ჰკიდია ეს საცოდავი! ამბობენ, რომ ეს ოზეფურის დღისა სინდისიანად ასრულებდა თავის მოვალეობასაო. რადგან ამისთანა თავისის საქმის მუყაითი და ბეჯითად ამსრულებელი კაცი იყო, აქაურს მცხოვრებლებს ხელს არ აძლევდა და ამის გამო მოიშორეს თავიდან უსიამოვნო სტუმარიო.

მესამეც ყოფილა ვიღაც ეჯემი, რომელიც ყელ-გამოჭრილი იპოვეს. ეს ეჯემი წინად მუშაობდა ქვედა აჭარაში და ოქრომჭედლობასაცა სწევდა. ერთმა იმისმა ამხანაგმა მითხრა, რომ ის კაცი ჩემი ნაცნობი იყო და ქვაბლიანში წავიდა სამუშაოდაო. თუმცა ფულები არა ჰქონდა, მაგრამ ძვირფასს ქვებს-კი ატარებდა თანაო. როგორც ალმასი, აგრეთვე იაგუნდი და ფირუზი ექნებოდა ორასსამასის მანათისაო. ეტყობა იმ საცოდავს ამ ძვირფასმა ქვებმა მოუღო ბოლო, რადგან შეამჩნევდა ვინმე და მერე რაღას დაჰზოგავდა ავაზაკი.

აი ასეთს ყოფაში ვართ აქა. ახალი ამბავი რომ ჰკითხოთ ვისმეს, რა იცი, იმას გეტყვიან, რომ ქვაბლიანში კაცი მოუკლავთო, ქვაბლიანში კაცი გაუცარცვავთო.

აჭარლებს აუსრულდათ ამდენის ბნის გულის წადილი: ბათუმიდგან ახალციხემდის ინჟინერებმა დაიწყეს ეტლებით სიარული. ღღეს ამ გზებზე მოესმათ აჭარლებს ეტლზე გამობმულის ზარების ხმა და ამ ამბავმა ყველა ფეხზე დააყენა, ქალი და კაცი. ვინც კი ამ გზებზე სახლობენ, სულ ამაზე ლაპარაკობენ. დიდის ამბითა და აღტაცებით შესცქეროდენ ქალები და ბაღნები ამ უნახავს სანახავს. მართლაც-და სასიხარულო ამბავია. არავინ არ იყო ისეთს სატანჯველს მიცემული უგზოობის გამო, როგორც ეს ზემო აჭარა. აქამდის ერთის დღის სავლელი გზა ოთხი-ხუთი დღე უნდა ევლოთ და ერთი-ათად მეტი ხარჯით უჯდებოდათ. უფრო მომეტებულს გაჭირვებაში იყვნენ ისინი, ვინც ბათუმიდან ახალციხემდის ეზიდებოდა ახალციხის ვაჭრების საქონელს.

მაშინდელი გაჭირვებაც აი რა იყო: გადმოვიდოდნენ ახალცი-

ხის ვაჭრები შვიდ-რვა კაცამდის აჭარაში და აქ დაიქერდნენ ორ-მოც-სამოცს ცხენს ტვირთისთვის და წაიყვანდნენ ბათუმში. აკრ-დებდნენ აჭარლების ცხენებს საქონელს, ფუთს ასე აბაზიდგან ექვს შაურამდე. ამ ფასად უნდა აეტანათ ბათუმიდან ახალციხეს. მაგრამ ისიც უნდა იქონიოთ სახეში, რომ ბედი და იღბალი იმისი იმუშა-ვებდა, ვისაც მოჰყვებოდა ცხენი შინა. ვინც მშვიდობითა და ცხე-ნით მობრუნდებოდა შინ, იმას, როგორც თავისი სახლობა, აგრეთ-ვე მეზობლებიც ულოცავდნენ უზიანოდ სახლში მობრუნებას, მაგ-რამ საუბედუროდ, ამისთანა იღბლიანიც ძრიელ ნაკლებად გამოე-რეოდა. ზოგჯერ იმისთანა შემთხვევაც ყოფილა, რომ პატრონს ცხენი გზიდგან გადავარდნია კლდეში და იმისი ძვლებიც ეეღარ უპოვნია, ცხენიც დაღუპულა და ტვირთიცა. ამ სახით ეთხოვებო-და აჭარელი თავის ცოლ-შვილის მარჩენალს ცხენს და ცარიელ-ტარიელი უნდა მობრუნებულიყო შინისაკენ. ამისთანა ზარალის გამო ვარდებოდა ვალსა და ვახშში და უნდოდა თუ არ უნდოდა ქურდობისა და ავ-კაცობისათვის უნდა მიეყო სელი, რომ როგორ-მე გამოეკვებნა თავისი ცოლ-შვილი. ახლა რაკი გზა გაიმართა, სულ სხვა არის. ღმერთმა უშველოთო, ამბობენ ეხლა, რომ ამისთანა გზა გაგვიკეთეს და გამოგვიხსნეს საცოდავობისაგანო. იმ დროს უფ-რო ცოტას ვკიდებდით ცხენს ტვირთსა, უფრო ცოტა ქირასაც მეტს გვაძლევენ და დღე ღამე ჩვენთვის გზა გახსნილიაო. ზოგმა დრო-გებიც იყიდა და ორმოცი ორმოცდაათი ფუთი ადვილად ჩააქვს აქედგან ბათუმს 82 ვერსის მანძილზედ და ფუთში ორ ბაზსა და ათს შაურს იღებს.

ამას წინად აქ მობრძანდა მოსკოვიდგან თავ-მჯდომარე მოსკო-ვის საიმპერატორო და საარხეოლოგიო კომისიისა გრაფის ქვრივი უვაროვისა თავისი შვილ-ვაჟითურთ, დითა და დის-წულით და დიდ-რა მთელი აჭარის ძველი მონასტრები. უვაროვისა და იმასთან მყო-ფნი ავიდნენ ერთს ნასაყდრალზე, რომელიც არის ავარის საზოგა-დოებაში და სახელად უძახიან საციხურს; აქ უვაროვისამ მოათხ-რევინა ის ნასაყდრალი და იპოვა მარმარილოს ქვაზე რამდენისადმე წმინდანის სურათი. ამას გარდა კიდევ გამოჩნდა ბევრი რკინები და ხატის ნატეხებიც[5]. გარდა ამისა გამოჩნდა შესანიშნავი თლილი ქვები ნატეხებით, მაგრამ ამ ქვებს თითოს ხუთს ფუთიდგან ათ-თორმეტ ფუთამდის გამოდიოდა, ასე რომ, ას ოც ფუთამდის იყო

ყველა ქვები წონით. ყველა ეს ქვები, ხატები და ნაპოვნი ნივთები ბათუმში ჩაიტანეს.

ი. ჯაიანი

3. „ივერია“, № 117, 1893 წ., 0 ივნისი

სოფ. ბორჩხა (ბათუმის ოლქი)

24 მაისი — შარშანდელმა ზაფხულმა ჩვენში ჩინებულად და „საღლამად“ ჩაიარა, თუმცა აგერ-აგერ იყო ცხრო (ქართველი მაჰმადიანები აგრე ეძახიან ციებას), მაგრამ ზაფხულის რაზი (კმაყოფილ[illegible]) ვიყავით. ნოემბრის დამდეგმა-კი ამ შშვიდობიანს ზაფხულს უცბად უკუღმა მოუტრიალა ბედიღბალი. მიზეზი იყო „ოლერა“. ეს ოლერა მოგვიტანეს ახალმა ჯარისკაცებმა ყუბანიდგან, რომელნიც დადგნენ ართვინს. აქაურნი მცხოვრებნი უოლეროთაც არ იყვნ[illegible]ნ მ[illegible]თი რაზი, და ეს უბედური სენიც ზედმეტად მოგვიძღვნეს იმათ ბათომელსა და ართვინის ოლქში მცხოვრებთ. ბევრ ქალს მოაძებნინა სხვა ქმარი და ახალი ტანისამოსიცა, რადგან აქაურებში ხოლერით უფრო მამა-კაცები იხოცებოდნენ, ვიღრე დედაკაცები. ამ ჯარის-კაცთ მოყვანა ართვინს და მეორე დღეს რამდენისამე „ყაზახის“ ავად-გახდომა ხოლერით ერთი იყო. იმათგან გადაედო სხვებს და თქვენს მტერს იმისთანა „ბელა“ მკითხველო, როგორიც ამათში დაატრიალა ხოლერამა. დღეში რამდენისამე კაცი სიკვდილის მოწამე ვიყავით, თუ სოფლებში და თუ ბათომ-ართვინის გზაზედ. ვინც-კი იმითის ბარგის ამომტანი მენავენი იყვნენ ბათომიდგან ართვინს, სოფ. კატაფხის მცხოვრებნი, მათ შორის ხუთი კაცი სამი დღის განმავლობაში გამოასალმა სენმა ამ დუნიას. ერთ კაცს ოთხს შვილსა და ორს ცოლში ერთი სული აღარ შერჩა.

ბევრს არ სჯეროდა, თუ ეს ხალხი ხოლერით იხოცებოდნენ, და გაიძახოდნენ, ართვინის ყურძენსა და მჭადს უწყენია და იმით არიან მკვდრებიო.

მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ შარშანდლამდის არა ჰხო-

ცავდა აქაურებს ართვინის ნაქები ყურძენი და მჭადი და რაღა მაშინ დახოცა. ან არა და ცხელის წყლით მოზელილ და გახურებულ კეცზე გამომცხვარ მჭადსაც გადაურჩა ბაცილები? აქაურ ყურძენსა და მჭადს რომ ეგრე ეხოცნა ხალხი, აქამდის, მგონი ამ ქვეყანაში ერთი მაჰმადიანი აღარ- დარჩებოდა წამლად.

საზოგადოდ, აქაურობაში ძალიან იკლო ყურძნის მოსავალმა. სიმინდს ხომ ძალიან ცოტას სთესენ. ასე რომ თითქმის სამი-ოთხი თვის სარჩო არავის მოუვა. მიზეზი ამისა ის კი არაა, რომ დათესონ და არ მოუვიდეთ, არა, უფრო თუთუნის მოყვანას ეტანებიან აქაურები, მომეტებულად ართვინის ოლქში მცხოვრებნი: და მართალი უნდა ვსთქვათ, მარტო ამ ოლქიდგან შარშან გაუტანიათ ოცდაათი ათას ფუთამდის თუთუნი რუსეთის ფაბრიკანტებს. როგორც ამბობენ, კარგის ჯიშის თუთუნიც მოჰყავთ. თუმცა ძალიან იაფად ისყიდება, მაგრამ მაინც ერთად ერთი სახსარი ეგ არის აქაურებისათვის. ამიტომ აქ ძალიან ძვირობს სიმინდი, თითქმის ოყა — 10-12 კაპიკად იყიდება და იმასაც ვეღარ ვშოულობთ ხანდისხან. კიდევ ღმერთმა უშველოთ კახაბრის მცხოვრებთ, აქაურებს, კახაბერი რომ ახლო არა ჰქონდეთ და იქ ბევრი სიმინდი არ მოდიოდეს, არ ვიცით, რა გვეშველებოდა. ამათ კიდევ არაფერი უპირთ, ამიტომ რომ თუთუნიდგან აღებული ფული მაინცა აქვთ, ხოლო ვისაც ეს თუთუნის ფული არა აქვს და არც სიმინდი მოუვიდა, იმისი საქმეა გაჭირვებული.

შარშან შავშეთ-იმერხევის საბოქაულოში (ართვინის ოლქში) ძლიერ მცირე იყო ჭირნახულის მოსავალი; თუთუნი იქ სულ არ მოდის თითქმის, მაგრამ იქაურმა ადმინისტრაციამ თავის დროზე შეატყობინა თურმე სადაც ჯერ იყო და ხაზინიდგან ორასი თუმანი უსესხებიათ რამდენსამე წლით იმათთვის, ვინც უფრო გაჭირვებულია სარჩოს უქონლობით. ძალიან კაი საქმეა, სწორედ! ცოტათი მაინც სულს მოუწყობს ეს ფული ამ დამშეულთ, სანამდის ახალი ჭირნახული მოასწრებდეთ ფუხრებს (ღარიბებს).

ზემოდაც მოგახსენეთ, აქაურების ერთად-ერთი სარჩო თუთუნია-მეთქი. აქაური კაცი უთუთუნოდ ვერ გასძლებს ისე, როგორც თევზი უწყლოთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ბორჩხაში ერთი „სოტნა“ პლასტუნების პოლკისა სდგას და ზაფხულობით, რასაკვირვე-

ლია, ბანაკად გადიან სასოფლო ადგილებში. ამ სამის წლის წინად თურმე ამ „სოტნის“ უფროსი გაუჯავრდა აქაურს მცხოვრებთ და, სადაც საზაფხულოდ იდგა ჯარი, იმის ახლო-მახლო თუთუნის დათესის ნება არ მიეცა, და ამ სოფლის სარჩო-საბადებლიდგან ააღებინა ხელი ფუხარს. თურმე ექიმებმაც დასტური დასცეს სოტნის უფროსს ხათრიზა და ექიმების კომისიამ ნება არ მისცა თუთუნის დათესისა, რადგან თუთუნის სუნის გამო ჯარისკაცებს მუდამ სურდო ექნებათო. სიმინდიც ველარ დასთესეს, რადგან ყაზასები ჯერ დამწიფებას არ აცლიდნენ, რომ შეუწვავ-მოუხარშავს „კოტოშებს“ აძღებოდნენ თურმე, ფუხარას მარტო ჩალა-ღა მიჰქონდათ შინ.

13 ს. ამ მაისს მოხედა ამ საბრალო ხალხს ღმერთმა და აქვე მობრძანდა კორპუსის კომანდირი თ-დი ი. ამილახვარი“ თავისი ამალითა და დივიზიის გენერალითა. ვიღაც ღალოცვილმა გააბედვინა საჩივარის მირთმევა თ. ამილახვართან ამის გამო და როცა ყველანი თავ-მოყრილნი იყვნენ დასახვედრად მისს ბრწყინვალებისა, გადასწყვიტეს ვიჩივლოთ, იქნება რამე გვეშველოსო. მობრძანდა მათი ბრწყინვალება, მიესალმა ყველას, გამოჰკითხა ბევრს მათგანს სახელი და გვარი და დიდად სასიამოვნოდ დაურჩა, რომ გაიგონა მათგან ძველებური ქართული გვარები, რომელიც ყველა თავდებოდა „ძე“-თი. შემდეგ გამოვიდა აქაური მუხთარი (მამასახლისი) და მოახსენა ის გაჭირვება ხალხისა, რაც ზემოდ მოგახსენეთ. ძალიან გააკვირვა მათი ბრწყინვალება ამისთანა განკარგულებამ და გადაუთარგმნა დივიზიის ექიმს იმათი საჩივარი. ბოლოს ჰკითხა, მართლა სწყენს ჯარისკაცებს თუთუნის სუნიო? იმანაც მოახსენა: არამც თუ საწყენია, სასარგებლოც არის ჯარისათვის თუთუნის სუნიო, მეტადრე ახლა უფრო სასარგებლოა, რადგან დღეს თუ ხვალ ხოლერას მოველითო. ექიმმა მოახსენა თ. ამილახვარს, რომ მე არ ვიცი რომელ წიგნიდგან ამოიკითხეს ექიმებმა, რომ ვითომ თუთუნის სუნი ჯარისათვის საწყენი არისო. ართვინში რომ მივალთ, გამოვკითხავ ექიმებს, თუ საიდგან იპოვნეს ამ კანონის წიგნიო. მაშინ უბრძანა კომანდირმა სოფლელებს, დარგით თუთუნი და, თუ დაგიშალონ, მე შემატყობინეთო. მეორე დღეს ფუხრებმა მოხნულ და დამზადებულ მიწაზე დარგეს თუთუნის ნერგი და ორმოც მოსახლე კაცის ცოლ-შვილი მათის ბრწყინვალებისათვის დღე და ღამ

მლოცველია. ახლა აქაურები ამას გაიძახიან, ღმერთო, შენ გაუმარ-ჯვე ჩვენთვის გულშემატკივარსაო!

თ. ივანე ჯაიანი.

4. „ივერია", № 142, 1898 წ., 7 ივლისი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბორჩხა (ბათუმის ოლქი), 8 თიბათვე. სოფ. ბორჩხაში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს წლევანდელმა მდ. ჭოროხის ადიდებამ ძლიერ დიდი ზარალი მისცა. მარტის პირველიდგან დაწყებული მაისიც გათავდა და აი ჯერ კიდევ არ შეუძლიათ ნავის ტარება და მუშაობა ჭოროხზე, ზოგიერთ ნაქებ მენავეების გარდა, ისიც დიდის შიშითა და სიბრთხილით. თუმცა წასულ წლებშიაც ყოფილა წყალდიდობა, მაგრამ ამდენ ხანს არ გაუწევია. როდესაც წყალდიდობა არ არის, მაშინ ბორჩხელი და ზოგიერთი ჭოროხისპირ მცხოვრები მხოლოდ ნავოსნობით შოულობს სარჩოს. ამით ისტუმრებს სახელმწიფო გადასახადს, მოყვარეს, მტერსა და ნაცნობს. წელს ეს შემოსავალი აღარა ჰქონია და მამაკაცები მარტო ძილში ატარებენ დღეღამეს, ვიდრე წყალი არ იკლებს.

თუმცა აქაურებს აქვთ საყოფი სახნავ-სათესი მამული, მაგრამ ხვნა-თესვას და ჭირნახულის მოყვანას აქაური კაცი არ მოსდევს, რადგანაც ეს ადათით ქალების მოვალეობაა. ბორჩხის მცხოვრებთ კიდევ აქვსთ ერთი საშუალება სარჩოს მოპოვებისა: ესენი აკეთებენ ზაფხულობით თიხის დოქებს და ს. დ. ს. ჭურჭელს, რომლისგანაც კაი ფულებს ღებულობენ. ამ ჭურჭლებით ერთი ნავი რომ გაამსოს და ჩაიტანოს ბათუმში, ორმოცდაათ მანეთიდან სამოცდახუთ მანათამდის გაისყიდება. თუმცა ეს სასარგებლო საქმეა, მაგრამ სხვა სოფლებმა ჭოროხის ხეობაში ამ ნაირი ხელობა არ იციან და არც საჭურჭლე თიხა აქვთ. სხვები მარტო ნავით მოგებულ ფულით ჰკვებავენ ცოლშვილს. ამის გამო ბორჩხელები სხვა სოფლელებზე უფრო მდიდრად ითვლებიან ამ ხეობაში.

მართლადაც ბორჩხაში იმისთანა არავინ იქნება, რომ ორმოც-

დაათიდგან სამას-ოთხასამდე ოქრო არ ჰქონდეს (ცხრა მანათიანი ლირა).

საზოგადოდ რო ვსთქვათ, აკაურებს არც იმდენი გადასახადი აწევთ, რამდენიც თქვენებურ გლეხს. ამას გარდა ქორწილს თუ აქაური კაცი იქმს, არც ღვინოში ეხარჯება ფარა, და არც „ოტკაში". თუ მექორწინემ თითო ფინჯანი წერბეთი და ულაქრო ყაია მიართვა, ესეც დიდი ღვთისწყალობაა (ეს ფინჯანიც იმხელა იციან, რომ თქვენებურ თერძებს უფრო დიდი სათითე აქვს თითზე წამოცმული კერვის დროს). თუ კაი ძალი ფლავი, პური და თაფლი ექნა, მაშინ სტუმარიც მადლობელი მიდის სახლში და მასპინძელიც ადკილად რჩება.

თუ მოკვდა ვინმე, თითქმის არც მაშინ ეხარჯებათ რამე. მკვდარს მეზობლები მოუვლიან, დაუძახებლად მოვა სოჯაც, გაჰბანს მიცვალებულს და მალე, სამი-ოთხი საათის განშავლობაში სიკვდილის შემდეგ, მიაბარებს მიწას. ერთ მანათს ტანია დასაბანს სოჯა აიღებს; ერთ მანათის მიტკალი ეყოფა და, თუ ორ მანათამდე გროშობით ძლიერ ფუხარას დაურიგდა, მკვდარიც მოსვენებს და ცოცხალიც კმაყოფილია. მეზობელს არც საკმელი უნდა შენი, არც სასმელი და არც მადლობა.

თქვენში კი ამ ფულით მარტო დიაკვანს ვერ გაისტუმრებთ. მეზობელი თუ კარგად არ გამოძღა და არ დათვრა მკვდრის დამარხვაში, არც-კი მოეხმარება და ყველგან იმას იტყვის: — ვერაფერი ჭირისუფალი ჰყავდაო, ღვინო არ უვარგოდა და საკმელიც ხომ ლუკმად არავის გაუხდაო...

ი. ჯაიანი

5. „ივერია", 155, 1898 წ., 22 ივლისი, სოფ. ბორჩხა

(ბათუმის ოლქი)

14 მკათათვე

მოგეცათ ლხენა, რომ თუ ასე კარგად და ჯან-საღად გასტანა წრეევანდელმა ზაფხულმა, ჩვენს ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს. მად-

ლობა ღმერთს, მისის წყალობით ჯერჯერობით მშვენიერს მოსა-
ალს ვუყურებთ. პური და ქერი ხომ ძალიან კაკლიანი გამოგვი-
ოიდა, თუმცა ბლომად არ სთესენ აქაურები, მაგრამ მაინც რაც
არის, დედამიწამ ღირსეულად დაუფასა მუშა-ფუხარას თავისი ჯა-
ფა. თუთუნიც ხომ არის და არის, თავის დროზე წვიმაც აქვს და
ნამიცა. ასე რომ ჯერ ბუნება ძალიან უწყობს ხელსა. ასე და ამნაი-
რად. იმედი გვაქვს ფლავიც გვექნას საყოფი და ფხალიცა. ხილიც
ბევრი გვაქვს, ყურძენს ძალიან ბლომად ასხია, თუ რამე ფათერაკ-
მა არ მოუღო ბოლო. წრეულ ბევრს ვიმღერებთ „გელიერუს
იანა, იანა გელინი გეთურიერუხ სანა“ (მოვდივართ წვით და დაგ-
ვით, რძალი მოგვყავს შენთანა); იმედია, ბევრი ვიძახოთ ამისთანა
ლექსები. შირა და ბექმეზი (მაჭარი და იმიდგან ნადუღი ტკბილი)
ხომ კაი ძალი გვექნება, აბა სხვა რა არის ადამიანისათვის საჭირო
და საგინებო ამ წუთის დუნიაზე.

ერთი ჩვენი სადარდელი გზა იყო ბათუმ-ართვინისა და ისიც
ასე გაგვიწმინდეს და გაგვიფაქიზეს, რომ სულ ლაპლაპი გააქვს;
თუ გინდათ კვერცხი აგოროთ, არაფერს მოედება, ისე დაგვილსა
და გასპეტაკებულს ინახავენ. არ ვიცით-კია, ვის დავუმადლოთ ეს
სისუფთავე გზებისა. ერთის სიტყვით, ბათუმიდგან სოფ. სინკოტამ-
დის (65 ვერსია ბათუმიდგან) ოთხ ცხენ შებმული ეტლები ბრაგა-
ბრუგით დარიხინებენ თავისუფლად. ამ გზის წყალობით, ვის ნახ-
ვის ღირსნი არ შევიქენით წელს, ვინ არ იყო ამ გზებზე: კორ-
პუსის კამანდირი თავ. ამილახვარი[7], ქუთაისის სამხედრო გუბერ-
ნატორი[8] და გზების მინისტრისაგან დანიშნული საგანგებო საქმე-
თა მინდობილების მოხელე პეტერბურგიდგან. ვინ უფრო ღირსია,
მადლობა შევსწიროთ, აღარ ვიცით. ასე და ამ გვარად, დღეს დავ-
სეირნობთ ამ მშვენიერს გზაზე დღე და ღამ, როგორც ლამაზად
მორთულ და მოწყობილ სასახლის იატაკზე.

თუმცა ამ გზამ ერთი კაცი შეიწირა, მაგრამ ამისთანა საქმე
უფრო მეტსაც შეიწირავს ხოლმე და აქ არა გვეთქმის-რა მით უმე-
ტეს, რომ თვით უბედურია მიზეზი თავის დაღუპვისა. ამას წინად
ამ გზაზე ორი ძმაკაცი მუშაობდა. ერთი ძმა ჰორობზე ჩავიდა

წყლის დასალევად და ამოსატანად. აღარ გამოჩნდა ეს კაცი და ძმას და ამხანაგებს გაუწყდათ ლოდინის ილაჯი. მერე სთქვეს, წავიდეთ, ვნახოთ, ხომ არა დაემართა რაო. წავიდნენ, ეძებეს, უყვირეს და კაცი არსად ჰპოვეს. ბევრი უყურეს კიდედამ გაღმა-გამოღმა, მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრეს ვერც მკვდარს და ვერც ცოცხალს. მაშინკი ღარწმუნდნენ, რომ ის უნდა წყალში ჩავარდნილიყო. კიდეც აგრე გამოდგა. ძმა დაჰყვა წყალს და ბორჩხს ახლო იპოვნა თავისი ძმა დამრჩვალი.

იქნება ახსოვდეთ კიდეც „ივერიის" მკითხველთ ჩემი მცირე წერილი, რომელშიაც იყო მოხსენებული, რომ აქაურ ქართველ მაპმადიანებს ნახევარი ოჯახობა და ხისმი (?) ოსმალოში ჰყავთ მეთქი. ზოგს ისე ახლოს ჰყავს ოჯახობა, რომ ერთ დღეს გადასვლა-გადმოსვლასაც ადვილად მოახერხებს, პირდაპირ რომ წავიდეს. მაგრამ ამ სიამოვნებას ესენი მოკლებულნი იყვნენ დღემდის, ლაზისტანის კორდონზე მარტო ორ ალაგას შაეძლოთ გადასვლა და გადმოსვლა, ისიც ბილეთით, სამი დღის ვადით, რომელსაც აძლევს ფოსტის უფროსი, რადგან ზაფხულობით აქაურები ერთმანეთს ეხმარებიან ყანის მუშაობის დროს. ეს ფოსტები გახლავთ ერთი ლიმანისა (ზღვის პირზე, ხოფის მახლობლად) და მეორეც ორჯოხში (ართვინის ოლქშია, ართვინის ზევით ოცის ვერსის მანძილზე), ასე რომ ასი ვერსის გზაა ერთ ფოსტიდგან მეორემდის, რომ უნდოდეს აქაურ მცხოვრებს თავის ხისმის (ნათესავის) ნახვა, ან ერთ ფოსტაზე უნდა გაიაროს ან მეორეზე, ორი დღის სავალზე ეს ძნელია, რასაკვირველია და რას არას სჩადიოდნენ აქაური მცხოვრებნი, რადგან თავის სოფლიდგან სამ-ოთხ საათის მანძილზე ეგულება თავისი ნათესავი, ის ჩუმად გადმოვიდოდა და გაიპარეპოდა. ამას მარტო კაცები ჩადიოდნენ, თორემ ქალ-ბალანას რა ვადაიყვანდა მთატუნეზე, როგორც აქ არის ახლა, ნება მიუციათ, რომ ამ ფოსტის შუა ხუთ ფოსტაზე კიდევ ჰქონდეთ გადასვლა-გადმოსვლის ნება. ახლა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ ფოსტებიდგან იმისთანას ამოირჩევს, სადაც ბევრი მცხოვრებია გადაღმა-გადმოღმა მხარეს, გაუადვილებს ერთმანეთში მისვლა-მოსვლას და ამით მოსპობს გადაპარვა-გადმოპარვას ყაჩაღივით.

ნამდვილ წყაროდგან გვესმის, რომ ამ ხეობაში უნდა გადმოასახლონ არდაგანის ოლქიდან რამდენიმე მოსახლე მალაკნები და

დაასახლონ ს. დ. ს. სოფლებში მაჰმადიანებთან ერთად. როგორ იცხოვრებენ ესენი ერთად არეულ-დარეული, მალაკანი და მუსულმანი. აქაური ქალი მეზობელსაც ემალება, თორემ მალაკნის გვერდზე რაფერ უნდა იმუშაოს ყანა-ბოსტანში მუსულმანის ქალმა. არც იმათი კანონი აძლევთ ნებას და არც ადათია, რომ უცხო კაცებთან იმუშავოს მუსულმანის ქალებმა და უცქირონ ერთმანეთს თვალში. აბა ამას რომელი მაჰმადიანი აიტანს და მოითმენს. არა მგონია, რომ შეიძლებოდეს იმათი ერთად ცხოვრება. იმ მალაკნებიდგან სამი კაცი ადგილის დათვალიერების შემდეგ ვნახე და ვკითხე, როგორ მოგეწონა ადგილები მეთქი. იმათ მიპასუხეს, რომ ძალიან კარგი ადგილებია, მაგრამ გზა არ არისო. მე ვუთხარი:

— როგორ უნდა იცხოვროთ მუსულმანებთან ერთად, ისინი თქვენ ვერ გაგიტანენ, თქვენ იმათა, და ყოველ დღე ჩხუბი და დავიდარაბა არ მოგაკლდებათ-მეთქი.

იმათ მითხრეს:

— ჩვენ იმათ არ ვეჩხუბებითო, ჩვენ გაგვიჭირდება სანამდის ღორებს გავიჩენდეთ, თორემ შემდეგ ისინი გაიქცევიან ოსმალეთში, და მერე ვის უნდა ვეჩხუბოთ, დავრჩებით მარტონიო.

— დიაღ, ეს ნამდვილი და პატიოსანი აზრია-მეთქი, თქვენ რად უნდა იწუხოთ თავი, როდესაც თქვენ მაგიერ საქმეს ღორებიც შეიძლებენ.

ეს რომ გაიგეს აქაურ ფუხრებმა, ბ-ნს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს[9] მოახსენეს, დაგვიხსენ იმათის ხელიდგან, იმათთან ერთად ჩვენი ყურანი და ადათი ნებას არ გვაძლევს, რომ ვიცხოვროთ. ჩვენი ქალი-ბაღანა იმათ ვერ გამოუჩნდება, ყანა-ბაღჩაში ჩვენ ცოლშვილმა თუ ვერ იმუშავა, ისე თავს ვერ ვირჩენთო. გვიშველე, გვიწყალობე, არ გადმოასახლო ჩვენდა დასაღუპავადო. ამ თხოვნას ბ-ნი გუბერნატორი შაიწყნარებს თუ არა, ჯერ არ ვიცით, მაგრამ მგონი არ უნდა იქმნას ამათი თხოვნა შეწყნარებული. თუმცა ძალიან საწყენი და სამწუხარო იქნება ყველა აქა მცხოვრებ მაჰმადიანებისათვის უცხო ტომთა გადმოსახლება. თუ, მართლაცდა, მალაკნებს აუსრულდათ წადილი, მაშინ მურღულის ხეობაში ერთ მუსულმანს ვერ ვიშოვით წამლად, ერთ მშვენიერ ღამეს ყველა გადაიბარგება ოსმალეთში და იქიდგან შავი დღე დაადგებათ ღორებსა და მათ პატრონებს ისეთ დღეს დააყენებენ, რომ გასაქცე-

ვი გზაც ვერ იპოვოს. აბა ვინ მოუთმენს იმას, რომ მამულ-დედულიდგან ხელი დააბანინოს ვინმემ და ოსმალეთში შიმშილის კერძი გაჰხადოს ამდენ ფუხრების ქალი-ბაღანა!

ივ. ჯაიანი.

6. „ივერია", № 164, 1893 წ., 8 აგვისტო

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბორჩხა (ბათუმის ოლქი), 28 მკათათვე. ეხსომებათ „ივერიის" მკითხველთ, წინანდელი ჩემი წერილის შესახებ იმისა, რომ მურღულის ხეობაში (ართვინის ოლქში) მალაკნები უნდა დაასახლონ. ამ ხეობაში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებმა თუმცა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახსენეს და შესტირეს აქ მობრძანების დროს, არ გადმოასახლონ მალაკნებიო, მაგრამ, როგორც ახლა საქმით მტკიცდება, ეს თხოვნა-ვედრება არ იქმნა შეწყნარებული. ამის გამო იქმნა გამოგზავნილი ამ ხეობაში თვითონ ოლქის უფროსი თ. მ. ერისთავი [10] და თ. ი. აბაშიძე [11] (ართვინის უფროსი). ამათ უნდა დაეცლევინებინათ ორი აქაური სოფელი მალაკნებისათვის და ადგილობრივი მცხოვრებნი კი— შეეერთებინათ სხვა სოფლელებთან. ესენი კიდეც ჩამოვიდნენ ოც ამ თვეს მურღულის ხეობაში სოფ. არხვას, აქ უნდა გაეთიათ ღამე მემედაღასთან და მეორე დღეს წასულიყვნენ იმ სოფელში, საიდგანაც უნდა გადაესახლებინათ ადგილობრივი მცხოვრებნი. მემედ-აღას უდგია ორ-სართულიანი სახლი და რა თქმა უნდა, ზემო სართულში მიიღო საპატიო და ძვირფასი სტუმრები. სტუმრებმა მიირთვეს ვახშამი და მოისვენეს. ნაშუაღამევს თ. ერისთავს უნდოდა ქვემო სართულში ჩასვლა და ბიჭების გამოღვიძება, გასაგზავნად სოფელში სამსახურისა გამო. ამ დროს ზემო სართულიდგან ჩაუტყდა პირველი კიბის ფიცარი და ჩავარდა ძირს. დაეცა იმ ადგილს, სადაც ტალახის

ასაშორებლად ქვებია დაგებული, თითქმის ექვსის არშინის სიმაღლიდგან ძირს ქვაზე დაცემის ხმამ ფეხზე დააყენა მთელი სახლი. რასაკვირველია, მაშინვე გამოცვივდნენ გარედ და დიდის გაფრთხილებით ამოიყვანეს ზედა სართულში, სადაც დღესაც წევს ავადმყოფი, თუმცა ბევრს ეცადნენ სალაჯით ჩამოეყვანათ ჭოროხის პირამდის და იქიდგან ართვინს წაეყვანათ ნავით, მაგრამ ჯერ ვერ დასძრეს ადგილიდან, რადგან ძალიან ნატკენი ჰქონდა წელი და ხელ-პირი, მოტეხით-კი არაფერი აქვს მოტეხილი.

იმ თთვის 15-ს, ქ. ართვინის მახლობლად, სოფ. სკემას (ორი ვერსტის მანძილზეა ართვინიდგან) ვიღაცეებს თურმე ოცი ცხენი მოყავდათ დატვირთული ევროპიულ საქონლით. ეს ამბავი ვიღაცამ შეატყობინა მილიციის ჯარის კაცთა კამანდერს, კაპიტანს თ. ფ. მიქელაძეს [12]. თ. მიქელაძემ წაიყვანა ათიოდე ბიჭი და წავიდა გზების დასაკავებლად. კონდრაბანდის პატრონებმა ბევრ ხანს არ აცდევინეს. ღამის ორ საათზედ კონდრაბანდის მიმჭერებმა მოჰკრეს თვალი დარაჯს. კანვოებმაც დაინახეს ერთის ვერსის მანძილზე ორი დატვირთული ცხენი. რასაკვირველია, გაექანნენ იქითკენ, მაგრამ კონტრაბანდის პატრონებმა დაუშინეს თოფი.

მილიციონერებმაც იგივე პასუხი აგეს, და თითქმის 15 წამს გასტანა ორთავე მხრიდგან სროლამ. შეატყვეს კონდრაბანდის პატრონებმა, რომ კონდრაბანდის გადარჩენა მოუხერხებელი იყო, ცხენებიდგან გადაადგეს კონდრაბანდა და თვითონ თავს უშველეს. გლახა გზისა და სიბნელისა გამო გამოკიდება იმათი არ შეიძლებოდა. ახლა, როგორც ვიცით, ექვსი კაცი მოჰყვებოდა თურმე ამ კონდრაბანდას და ორიც ცხენების პატრონები. იმ კონდრაბანდის გამოსატანი სამოცდა-ცხრა მანათიანი ლირა მიუციათ და დამოჟნას ექვსას მანეთად დაუფასებია ეს გამოპარებული საქონელი. ამ ფასის კონდრაბანდი არავის დაუჭერია ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში, თუმცა ამ ხელობას ბევრი პატივსა სცემს და ემსახურება გადაღმა მხარში.

თ. ი. ჯაიანი

სოფ. ბორჩხა (ბათუმის ოლქი)

6. მარიამობისთვე

— თქვენ მტერს გაუჭირდა ისე საქმე, როგორც ჩვენ გაგვიჭირდა ამ ორის თთვის უწვიმობის გამო. მთელ ამ ზაფხულს ნაშრომი და ნაოფლარი კაცისა და ქალ-ბაღნისა გადაგვიწვა გვალვამ. საზოგადოდ ჭოროხის ხეობა იმისთანა ქვა-კლდიანი ადგილებია, რომ თუ კვირაში თუ ერთჯერ მაინც არ მოვიდა წვიმა, აქაურ ადგილს ცის ნამი არ უნახავს და ამის გამო არ იციან, როგორ გამოკვებონ ქალ-ბაღანა მომავალში. ოთხ-ფეხ საქონლის შეხედვამ ხომ გული შეუწუხა ადამიანს. ზამთარში უფრო მსუქნები იყვნენ, ვიდრე ეხლა. გახმა ბალახი და ლამის შიმშილით დაიხოცნენ, ხე-ტყე ისე გახმა, რომ ცეცხლი წაეკიდოს ნავთივით მოედება.

ამას წინათ ოთინკოს აბანოსთან (კარჩხალის მთის ახლოა), ტყეს ცეცხლი წაეკიდა და დიდის ვაი-ვაგლახით გააქრობინა სოფელს იქაურმა ბოქაულმა. კიდევ კარგი რომ ვინც იხმარა ჭკუა, პური და ქერი დათესა, იმან მოიგო. პურისა და ქერის დროს სამყოფი წვიმა მოდიოდა და. კიდეც კაი კაკლიანი გამოდგა. მაგრამ სამწუხაროდ, ეს პური და ქერი ძალიან ცოტა ჰქონდათ დათესილი, რადგანაც ამათი სარჩო ერთად ერთი სიმინდია, უფრო სიმინდის თესვას მისდევს აქაური ფუხარა. თუ სიმინდი არ მოუვიდოდა, თუთუნი მაინც ექმნებოდა სამყოფი და ამით მაინც იბრუნებდა სულს. ახლაკი რამდენ ადამიანის ტირილის მოწმენი ვართ და შიმშილით დახოცვის ნიმუშიც თვალ-წინ გვიდგას.

სხვა დროს ამ თთვეში ზოგიერთ ალაგას მოსატეხი იქმნებოდა ხოლმე სიმინდი, დღეს-კი ნახევარ არშინის სიმაღლეც არა აქვს. თუთუნსაც სიმინდზე უფრო გლახა დრო დაუდგა. კვლავ ამ დროს თითო-მოსახლეს ოც ფუთიდგან ორმოცამდის ექმნებოდა მოტეხილი და გაშრობილი კიდეც, ეხლა კი აქაურობაში წაბლის ფოთლის ტოლას ვერსად ვერ ნახავთ და რაც დღე და ღამე მიდის, იმდენად უფრო იწვის სიცხისა და ცხელის ქარისაგან. მადლობა ღმერთს, შიმშილით ამ დუნიაზედ არავინ დახოცილა და ჩვენც იმედი გვაქვს

არ მოვკვდებით. მაგრამ ჩვენი სადარდელი საქონლის გამოსაკვებია, ჩალა და „ნაქურჩალა“ თუ აღარ იქნება, რით უნდა გავცეთ პასუხი. სიმინდის შოვნის იმედი კიდევ გვაქვს ბათუმიდამ. კახაბერში, როგორც ამბობენ, წვიმებიც არის და მოსავალსაც კაი პირი უჩანს, იქ თუ იქნა სიმინდი, ამოტანაც იქიდგან არ არის ძნელი. მაგრამ აბა იქიდგან ჩალა როგორ ამოვიტანოთ საქონლისათვის, რომ მეხუთედი არ-ამოგვყვება შინამდის, რადგანაც ამ სიშორეზე ჩალის ზიდვა მოუხერხებელია. სოფ. მარადიდის ქვევით ბათუმამდის თითქმის ყოველ კვირა წვიმა მოდის და ჩვენ-კი ასე ვართ წვიმის ნატრული. ეხლა რომ იწვიმოს კიდეც, მაინც ჩვენ გაჭირვებას არას უშველის, ისეა სიმინდი და თუთუნი გადამწვარი, რომ არაფერი წვიმა ამას ვერ მოაბრუნებს. მოხუცებულები ამბობენ, ამისთანა ყურაღის (გვალვა) ჩვენ არ მოვსწრებიეართ და უსათუოდ მიეუახლოვდით ამ დუნიის „ახირსაო“.

ხეობის მკვიდრთა სარჩო და საკვები ნავით მოგებული ორი გროში იყო. ისინიც ამ დროებით თითქმის უსაქმოდ აღამებენ, რადგან ჭოროხი იმ ზომამდის დაპატარავდა გვალვის გამო, რომ ძალიან გასაჭირია დატვირთულ ნავის ტარება ბათუმიდგან ართვინამდის. იმდენად დაპატარავდა წყალი, ამბობენ, ხელის წისქვილს ვერ მოაბრუნებსო, და აბა მენავეებმა როგორ ამუშაონ ნავი. მენავეები გრძელ თოკს აბმენ ნავსა, შეებმება ხუთი კაცი და ისე იწევენ თავაღმა დატვირთულ ნავს, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე დატვირთული ნავი ქვას ედება. ახლა იფიქრეთ, ვინ იქნება იმისთანა ღარიბი და ღატაკი, რომ ამ ნაირად ატაროს ნავი ოთხმოცდა-ათ ვერსის მანძილზე თავაღმა. წყალ-პატარაობის გამო ართვინიდგანაც ძალიან საშიში შეიქნა ნავით სიარული ბათუმამდის, რადგან ზევიდგან ქვევით ცოტა ჩქარა მოდის, ამ დროს ადვილად შეიძლება ან სადმე კიდეც ნიაჯახოს და ან არა და ქვას დაახლის. ვისაც ცურვის იმედი არა აქვს. ისინი თითქმის ვერა ბედავდნენ ნავში ჯდომას და წასვლას ბათუმამდის.

სამი დღის წინად მურღულის ხეობაში ვიყავი, სახელდობრ სოფ. ტრაპენსა და არხვას, რომელიც მურღულის ხეობაში ნაქებია თუთუნით. მაგრამ როგორც სხვაგან, აგრეთვე იქაც ძალიან დაუზიანებია თუთუნი გვალვას, ასე რომ იმის მეათე ნაწილიც არ მოუვათ, რაც შარშან და შარშან წინ მოსდიოდათ. რადგან მურღულის

ხეობის გამო წამომცდა სიტყვა, არ იქნება ურიგო ერთი ორი სიტყვაც კიდევ მოვახსენო იმ ხეობის შესახებ „ივერიის“ მკითხველთ.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით 24 ივლისს ამოვიდა მურღულის ხეობაში ბ-ნი ბათუმის ტყეთა ზედამხედველი ა. ლ. აბაზაძე [13], რომელსაც ჰქონდა მინდობილი ჩაებარებინა ადმინისტრაციისაგან ამ ხეობის ადგილ-მამული და ტყე. იმ დროს აქ ბრძანდებოდა თვით თავ. მ. ერისთავი (ოლქის უფროსი), ავადმყოფი და აგრეთვე ართვინის განყოფილების უფროსი თ. ი. კ. აბაშიძე. ხუთი-ექვსის დღის განმავლობაში ჩამოიარეს მთელი ხეობის სოფლები და დაათვალიერეს სახნავ-სათესი ადგილები და ტყეები. ამ თვის პირველს გაათავეს ჩაბარება. ახლა, როგორც გავიგეთ ნამდვილ წყაროდან, ბ-ნ აბაზაძემ უნდა დაურიგოს, უმაღლეს განკარგულების ძალით, აქაურ ფუხრებს მოსახლეზე თორმეტი დესეტინა სახნავ-სათესი, დესეტინანახევარი სახლ-კარის ადგილი, სამი დესეტინაც ტყე. როგორც აღმოჩნდა „ხართაში“ (კარტაში), თუ უმაღლეს განკარგულების ძალით დაურიგდა ფუხარას სახნავ-სათესი ადგილები, მაშინ იმათაც არ ეყოფათ, ვინც აქ დარჩენილან და არ გადასახლებულან ოსმალეთში. ახლა ამ ფუხრებს იმედი აქვსთ ბ-ნ აბაზაძისა, რომ არ დააკლებს იმ ზომას და დაურიგებს, რაც კი კანონმა არგუნა ამათ. მაშინ რასაკვირველია, თუ რამე გადარჩა, დაურიგებს იმათ, ვინც უფრო გაჭირვებულია, მალაკნები თუ სხვები. თუმცა მურღულის ხეობას აქვს ჭოროხიდგან საზღვრამდე 15 ვერსის სიგრძე და სიგანით კი ორი ვერსის მეტი არ იქნება გაღმა-გამოღმა მხარეს, მაგრამ როგორც ხართიდგანა სჩანს, ნახევარზე მეტი კლდე და ქვიანი ადგილებია, სადაც არაფერი დათესილა თავის დღეში და არც ეხლა დაითესება. სადაც კი ტყეებია, იმის გაკაფვის ნებას უსათუოდ მთავრობა არ მისცემს და, მაშასადამე, ის ადგილები უნდა დაურიგდეს ფუხარას, რომელიც დღემდის იხვნოდა და ითესებოდა.

თ. ი. ჯ ა ი ა ნ ი.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

სოფ. ბორჩხა

— ორ ცოლიანი ქართველი მაჰმადიანი აქ ძალიან იშვიათია. თუ ვისმეს ორ ცოლიანს ჰნახავთ, იმას უსათუოდ ან მოხუცი ცოლი, ან საპყარი (კუტი), ან არა და უშვილო იქმნება. ეს სამი მიზეზი თუ არ არის, მეორე ცოლს ვერ შეირთავს, ან პირველი ცოლის ხათრით, ან იმის ნათესავების ხათრით და მორიდებით, ან კიდევ ქალის „ხისიმის“ შიშით. უფრო საყურადღებოა, რომ ჭოროხის ხეობაში, ქვედა და ზედა აჭარას, ათში ერთ სახლს ვერ ნახავთ, რომ სამი-ოთხის წლის გათხოვილი ახალგაზრდა ქალი კუტი არ იყოს. ამის მიზეზის გარჩევას და გამოკვლევას ამ დროებით არ გამოვუდგებით. ხოლო ვიტყვით, რომ ვისაც ამ ქვეყანაში ცოტა ხნობით მაინც არის უცხოვრია და დაჰკვირვებია აქაურ ქალისა და კაცის ყოფა-ცხოვრებას, ის ადვილად მიხვდება, რის გამო კუტდებიან აქაური ქალები. ზოგიერთი ქალი, როცა დაკუტდება, მაშინ სთხოვს თავის ქმარს, მეორედ „დასახლდეს“, რადგანაც საჭიროა სახლ-კარის და მინდორ-ბოსტნის შემუშავება, რაც ქალის ვალია და ადათი, ოჯახის პატრონი დიდის სიამოვნებით ასრულებს თავის ავადმყოფ ცოლის თხოვნას და იმისი დედ-მამის თანხმობით სცდილობს მეორედ დასახლებას. მაგრამ ძალიან იშვიათია, რომ მეორე ცოლმა სახლს მშვიდობიანობა და ბედნიერება მოუტანოს. პირიქით, სახლ-კარსაც აურდაურევს და ოჯახშიაც სიძულვილს ჩამოაგდებს. სულ უბრალო რამეზედ ისეთი ალიაქოთი ასტყდება ხოლმე, რომ ყველანი თავ-ბედს იწყევლიან. ამას წინად მე თვითონ ვიყავ ამისთანა ამბის მნახველი. ერთს ოჯახს ვეწვიე უცხო სოფელში. ოჯახის პატრონი ჯერ შერბათითა და ყავით გამიმასპინძლდა, შუაღამე გადასული იყო და მოსვენება ვსთხოვე, რადგანაც ძალიან დაღალული ვიყავი.

—ცოტა „ხეფსი“ მიირთვით და ისე მოისვენეთო. გავიდა ვახშმის შემოსატანად, მაგრამ ისევ მალე შემობრუნდა გაფითრებული.

— რა ღაგმართია-მეთქი, ვკითხე.

— გიაურ-ოღლებს, ჩემს ცოლებს ვახშმის გაკეთებაზე მოსვლიათ ჩხუბი და ერთმანეთისათვის თავ-პირი დაუმტვრევიათ მუგუზლითა. საუბედურო ორი ცოლი მყავს: პირველი საპყარი იყო და ამის გამო მეორედ დავსახლდი. საპყარი ქალი აბანოსე წავიყვანე და ერთის კვირის ბანაობის შემდეგ მორჩა. ჩამოვიყვანე შინ თუ არა, მას აქეთ ისა და მეორე ცოლი დღე და ღამ ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში არიან. ამაღამ უმცროსის რიგი იყო თურმე მჭადის გამოცხობა და უფროსმა ჩასვა კეცში. მერმე მოაგონდა, რომ მისი რიგი არ იყო, აუღია ცომიანი კეცი და დაუმტვრევია. ამაზედ მოსვლიათ ჩხუბი და ერთმანეთისთვის თავ-პირი დაუმტვრევიათ და ასლა ორივენი უგონოდ ჰყრიან მუთვახში (სამზარეულო). აგერ მეზობლის ქალებს გავაღვიძებ და ისინი გაგვიკეთებენ ვახშამს.

მე ვახშამს არ მოვუცადე და, როგორც იყო, დავიყოლიე ორი ცოლის ქმარი წასულიყო და თავის ცოლებისთვის დაეხედნა. ამისთანა შემთხვევა ძალიან ადვილი მოსალოდნელია. ორ-ცოლიანს ცალ-ცალკე ჰყავს ცოლები დასახლებული და, მოგეხსენებაო, ორი ოჯახის შენახვა რა ძნელია და დამღუპველი. არც თუ ამნაირს ცხოვრებას მოსდევს რაიმე სიამოვნება.

ი. ჯაიანი.

9. „ივერია“, № 196, 1893 წ., 14 სექტემბერი

სოფ. ბორჩხა

— უნდა მოგახსენოთ, რომ დიღს საშვალებას და შეღავათს აძლევს აქაურ ქართველ მაჰმადიანებს ოთინეოს ჩერმუქი (აბანო). საიდგან გინდათ, რომ აქ არ მოდიოდნენ ავადმყოფები, კაცი თუ ქალი, მაგრამ მომეტებით ქალები. ეს აბანო ძალიან უხდება მომეტებულად კუტებს და ქარებიან ავადმყოფებს. მაგრამ სამწუხაროდ გზა არა აქვს და მძიმე ავადმყოფისთვის საძნელოა მისვლა, მაგრამ წრეულს მაინც ათასობით იყვნენ ავადმყოფები, რადგანაც გაიგეს ცოტათი შეაკეთეს გზებიო.

თუმცა ადგილობრივმა უფროსმა, თავ. ლეონიძემ [14], ცოტათი შეაკეთებინა ეს საპირო გზა, მაგრამ ამისთანა პატარა შეკეთებით და ყურის თხოვებით ვერ ვიხსნით, არა თუ ავადმყოფთ, კარგად მყოფებსაც, გასაპირის მგზავრობისაგან. აბა ვინ იტყვის უარს იქ წასელაზე, ხეირიანი გზა რომ იყოს. მშვენიერი ჰაერი, ნაძვის და კატრის ხეებით შემოკრული და მასთან დევეს ღელისპირს აბანო (ეს ღელეც სავსეა კალმახით), მეორეც კარჩხალის მთაც ახლოა, სადაც დიდი იალაღებია. აქა ჰყავთ ზაფხულობით საქონელი. რა გინდათ აქ ვერ იშოვოთ იაფად: ცხვარი, ერბო, რძე, მაწონი და ყველი. ქათმებიც მოჰყავთ სოფლიდგან (სოფელიც ახლოა), მხოლოდ გზა კაი გააკეთონ, რომ საშიში არ იყოს კლდეზე გადაჩეხისა: მაშინ ყველა წავა სიამოვნებით ბათუმიდგან, რომელიც ორმოცდათექვსმეტ ვერსზე ძლივს იქნება. მეორე აუცილებელი საპიროებაა, აბანოსთან რამდენიმე ხეირიანი ოთახი გააკეთებინონ, რომ მომსვლელებს ჰქონდეთ თავ-შესაფარი. მადლობა ღმერთს, ტყე არ არის საძებნელი, ყურის ძირშია იქავე; ერთი ხე რომ მოაპრეკინოთ, ორ ოთახს მშვენიერს გააკეთებინებთ და ყავარიც იმ ხიდგან გამოვა იმის დასახურად. ყველაფერი ადვილია, თუ მსურველი და გულშემატკივარი ვინმე გამოგვიჩნდა ამ სასარგებლო და საპირო საქმისათვის. უფრო ამით არის ეს აბანო საყურადღებო, რომ იგი თამარ დედოფლის დროის გამოჩენილი და თითქმის მისი ხელით ნაშრომი და ნაამაგევია. ხოლო დრო და ჟამმა მოუღო ბოლო ამ სასარგებლოს და სახსოვარს ნაშთს. ამაზე უკეთესი და გამოსადეგი ამ ქვეყანას არა მოიპოვება-რა. აქამდის ახსოვთ აქაურ ქართველ მაჰმადიანებს ამ აბანოს ისტორია.

თამარ დედოფალს ამ ოთინიკოს ახლოს სადღაც სასახლე ჰქონია (სამწუხაროდ, დღეს კი არა სჩანს-რა იმისი. ეტყობა ნანგრევი თუ სადმე არის, იმ უზარ-მაზარ ტყეში უნდა იყოს დაფარული, რომელიც დღეს არის ოთინიკოს ახლო-მახლო), ერთ ზამთარს აქ დარჩენილა საცხოვრებლად. სასახლეში ჰყოლია ბევრი გოგარჩინი (ტრედი). ერთ დღეს უნახავს, ერთი ტრედი ავად ყოფ. უბრძანებია თამარს, სახლში არ მოკვდეს, სადმე წაიყვანეთ და გაუშვითო. მოსამსახურეებსაც ბრძანებისდაგვარად წაუყვანიათ და სახლის ეზოს გარეთ (იმ წელს საკენ ნახევარი თოვლიც ყოფილა) გაუშვიათ. გაიარა სამმა დღემ, ეს ტრედი დაბრუნებულა მორჩენილი, მაგრამ

დასველებული. დაუნახავს ეს თამარ-დედოფალს და ძალიან გაჰ-კვირვებია. უბრძანებია, აქ სადღაც. აბანოს წყალი უნდა იყოსო. გაუგზავნია რამდენიმე კაცი სხვა და სხვა მხარეს მოსაძებნად და მართლადაც უნახავთ დღეს რომ აბანოა იმ ადგილას თოვლი მთლად გამდნარი იყო და ცხელი წყალიც გამოჩუხჩუხებდა. რასაკვირველია, როგორც ნახეს ისე მოახსენეს თამარს და ძალიან ეამა იმ წყლის ნახვა და მნახველებსაც დიდი საჩუქარი უბოძა. გაზაფხული დადგა თუ არა, შეუდგა იქ აუზის კეთებას და გააკეთებინა ის აუზი, რომელსაც დღეს ვხედავთ. იმისთანა სასარგებლო აბანო შეიქნა მართლაც, რომ ყოველ ზაფხულობით რამოდენიმე ათასი ავადმყოფი მოდიოდა ყოველ მხრიდგან. როდესაც ეს ქვეყანა ძალით გაამაჰმადიანეს, იმის შემდეგაც ერთხანს კიდევ დადიოდნენ თურმე ავადმყოფები, როგორც წინად. მაგრამ ამოდენა ხალხის ს. დ. ს. ქვეყნებიდან სიარული ვერ აიტანეს მოლახოჯებმა, რადგან ეშინოდათ ახალ გამაჰმადიანებულ ქალებს დაუწყებენ ცქერას, რაიცა მათის კანონით არ შეიძლებოდა: მემრე კიდევ ეშინოდათ, რომ იმათი შეხედვით ისევ არ მიეღოთ ქრისტიანობა. ამის გამო უბრძანეს ხოჯებმა ხალხს, ამოეყარათ ამ აბანოს აუზი. ფუხარაც იმათ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ და ამოყარეს კიდეც. იქიდგან მოკიდებული 1880 წლამდის ისე იყო ამოყორვილი მაგრამ, როდესაც აქ დაინიშნა უფროსად ახმედ-ეფენდი ხალვაში [15], რადგან იცოდა ამ აბანოს ისტორია, ისევ ამოაწმენდინა. გაიგეს თუ არა, ოთინიკოს აბანო ისევ გააკეთესო, ისევ დაიწყო ხალხმა სიარული ყოველ მხრიდან და მას აქედ, ყოველ ზაფხულობით ჯინჭველასავით ესეევიან ბოლმე ხალხი. მაგრამ უგზობის გამო იმდენი ვერ მოდიან, რამდენიც არიან მსურველნი ამ სასარგებლო აბანოში ბანაობისა. თუ ამ საქმეს მოთავე და გამძღოლი ვინმე გამოუჩნდება და მიბაძავს ახმედ-ეფენდი ხალვაშს, ხალხი დიდი სიამოვნებით მიეხმარება ამ ძვირფასს ნაშთს, რომ მოუბრუნოს ისევ ბედი თამარ დედოფლის დროისა.

ი. ჯაიანი.

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა, 24-ს სექტემბერს. საზოგადოდ ბათუმისა და არ-თვინის ოლქის მცხოვრებთ, ქართველ მაჰმადიანებს, ჩვეულებადა აქვთ, ვისაც კი თხა-ცხვარი ჰყავთ, ზამთრისთვის იმათ გამოსაკვებად დაიმზადონ ნეკერი (მუხის შტოები ფოთლებიანად). თუ გინდ ბევრი თივა-ჩალაც ჰქონდეთ, მაინც ნეკერი თუ არ დაიმზადეს, არ შეიძლება, რადგან აქ დიდი ზამთარი იცის. ზამთარში ამ ფოთლებიან მუხის შტოებს ალბობენ ცხელ წყალში და ისე აჭმევენ საქონელს. შემოდგომა დადგებათუ არა, მაშინვე შეუდგებიან ნეკერის ჭრას. ვისაც ბევრი საქონელი ჰყავს, „ნადსაც“ მოიხმარს, მაგრამ აქ იშვიათია ისეთი შეძლებული კაცი, რომ დიდი საქონელი ჰყავდეს და „ნადის“ მოხმარება იყოს მისთვის საჭირო. მუხის ხეები სოფლელთ გაყოფილი და დაჩემებული აქვთ თავ-თავისთვის, ისე როგორც ხეხილი. ერთს არ შეუძლია მეორის მუხას ახლოს ხელი, თუ გინდ იმას არა ჰყავდეს საქონელი, სანამდის ნამდვილ პატრონისაგან ნებას არ აიღებს. ვისაც რომ საქონელი ცოტა ჰყავს და საჭირე ხე ბევრი აქვს, ის ჰყიდის იმაზე, ვისაც უფრო სჭირია, ასე რომ ათ მაურიდგან მანათამდისაც შეიძლება გაიყიდოს ერთის მუხის ნეკერი, თუ ხე დიდია; მომეტებული ფასი მაშინ აქვს, როცა სამყოფი თივა და ჩალა არ მოვა. მუხის შტოებიც სამ წელიწადში ერთხელ „ირცხლება“, რადგან ერთსა და ორ წელს იმდენად ვერ გაიზრდება შტოები, რომ მოჭრად ეღიროს. აქაურნი ძალიან შეშინებულნი არიან, ვაი თუ მცველებმა დაგვიშალონ ფოთოლის მოჭრა და მაშინ ცხოვრება გაგვიჭირდება, რადგან უიმისოდ საქონლის გამოკვება მოუხერხებელი არისო. საქონლის გამოსაკვებად ეს ფოთოლი აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ არა თუ ძროხა-ხარისა, ცხენისათვისაც კი. წელს მეტადრე ამ ფოთლის იმედი აქვთ, რადგან სიმინდი ისე დაწვა გვალვამ, რომ იმისი ღერო ნახევარ არშინს არ ასცდენია. დიდი ღვთის წყალობა იქნება, რომ ათს მოსახლეში ერთს მოუვიდეს ორის თვის სამყოფი ჩალა. ნეკერსა სჭრის. კარგია კიდევ, რომ რაღაც იღბალია, დარიც ხელს უწყობს და თუ მთელმა ზაფხულმა უწვიმოდ გაიარა, შემოდგომამც იმას მიჰბაძა. არა თუ მუხის ფოთოლს, ანწლსაც კი სჭრიან ძირში და მოაქვთ

სახლში გასახმობად: თუ ძალიან გაგვიჭირდა, ამასაც ვაკმევთ საქონელსაო.

ერთ სოფელში ამას წინად კაი ლაზათიანი ჩხუბიც მოსვლოდათ ნეკერის დამზადების დროს. ცილობა მოსვლოდათ ერთ მუხის გამო: ერთს ეთქვა — ჩემიაო, მეორესაც — ასევე და კარქად მოეტაცებინა ერთმანეთი, კიდევ კარგი, რომ იქვე ახლოს მუხთარი (მამასახლისი) ყოფილიყო და ჩქარა მიჰშველებოდა, თორემ თქვენი მტერი სიკვდილით დაბოლავდებოდა იმათი ჩხუბი მუხის ფოთლის გამო.

საქონლის გამოსაკვები რომ არა აქვთ სამყოფი, საქონელი გაიაფდა. 8 და 10 მანათად კაი ძროხა იყიდება, და ხარიც თოთხმეტ-თხუთმეტ მანათად. ფუხარას ურჩევნია ისევ ამ თავითვე მოიშოროს საქონელი, რომლის გამოკვება არ შეუძლიან, ვინემ ზამთარში იმის საცოდაობას უყუროს. იქნება უკმელობის გამო დაეხოცოს კიდეც.

შადლობა ღმერთს, ამას ფიცი არ სჭირია, ყველა თვალით ხედავს, რა საცოდაობა მოელით აქაურ მცხოვრებთ მოუსავლობის გამო. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მათვის ვინმემ იზრუნოს თავის დროზედ და აღმოუჩინოს ენერგიული შემწეობა, რომ რადგან კახეთში ღა ბათუმის ახლო-მახლოში კარგს მოსავალს მოელიან, იქიდგან ჭირნახული არ გაზიდონ ოსმალეთში და ამით აქაურ ხალხს ჭირნახული არ გაუწყვიტონ. თუ თავის დროზე იქმნა ესაფერი ღონისძიება მიღებული, მაშინ აქაურ მცხოვრებთ ეყოფათ, იქ რომ სიმინდი მოვა, და მამასისხლად შორს სადმე არ დასჭირდებათ სყიდვა. ამისთანა ღონისძიების მიღება ამ თავითვე იმიტომ არის საჭირო, რომ, ამბობენ, ოსმალეთშიაც ძალიან დაუზიანებია ჭირნახული გვალვას. თუ ეს ხმა გამართლდა, მაშინ თქვენი მტერი, აქაურ მაწანწალებს ვერ გადავურჩებით.

[ი. ჯ ა ი ა ნ ი]

11. „ივერია“, № 218, 1898 წ., 12 ოქტომბერი

სოფ. ბორჩხა. 8 ოქტომბერი. წელს ეტყობა, როგორც ადამიანს, აგრეთვე საქონელსაც არ უწერია ჭირნახულით გაძღომა. ჩვენ

გვალვას ვემდუროდით და ზენა ქარმა უარესი დღე დაგვაყენა: ამოვარდა 2 ღვინობისთვეს და დილიდგან დაწყებული საღამომდის ისე საშინლადა ჰქროდა, რომ სახლის კრამიტები პანტასავით ჩამოჰყარა. გვალვისაგან გამხმარი ხეები დაამტვრია. სახლები თუმცა დასცალეს, მაგრამ წაქცევით არ წაუქცევია და უბედურებაც არაფერი მომხდარა, მხოლოდ ქალ-ბაღანამ დილიდგან საღამომდის მინდვრად გაატარა, რადგან სახლში შესვლა საშიში იყო. როგორც გვესმის სოფ. მარადიდიდგან დაწყებული ბათუმამდის სიმინდები სულ მიწაზე დააწვინა, ფოთოლი სულ ჩაცმოაცალა და აქაურებს ჩალის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს იმედიც გაუცუდდათ.

როგორც იყო გაათავეს ჭირნახულის მოზიდვა, მაგრამ რა ჭირნახულისა! სიმინდის ტარო არავის უნახავს, ჩალისთვის არ მოუცია-ლებია და ან რა მოსაცილებელი იყო, როდესაც ტარო კაკალზედ დიდი არ არის. სასიმინდეს კარი არავის გაუღია. რითი ირჩინოს ფუხარამ თავი და ცოლ-შვილი — ვერ მოუფიქრიათ და ძნელი მოსაფიქრებელიც არის. აქაც არ იქნება მგონი ურიგო სახელდობრიკ დავასახელო ის სოფლები, სადაც ერთი ორის თთვის სარჩოც არ ნოუვიდა. ამ სოფლების სახელს იმიტომ ვასახელებ, რომ თვალით ჩინახავს მუშაობაც, მოსავალიც: კინცხურეთი, კელასკური, არავეთი. სამეხრაო, ბორჩხა, ცოცხობა, ჭკადუეთი, არჩვეთი, კოსტანეთი, დაკვარა, პანჭურეთი, მამანათი, დუზქოი, მაკრეთი, ბაშქოი, ბანავნა, შვახევია, ვალაშენი, სანათისი, პეტრული, დევსკელი, კვინტაული, ბაგინი, ადაგული, (ეს სოფლები, რიცხვით 24, არის ბათუმის ოლქში, გონიის საბოქაულოა); ახალდაბა, ირსა, ბეშაული, კვარესანი, სინკოტი, ვაზრია, ვარჯგანი, ომანა, ურძუმა, ხატილა, ქარტლა. ავანა, თხილაური, ორჯი, დამპალა, ტრაპენი, არხვა, ჟვანი და გეული (19 სოფელი ართვინის ოლქისა) და სხვაც კიდევ ბევრი [16].

ამ სოფლებში სხვა დროს თუთუნიც მოდიოდა გვარიანი, რომელიც ერთად-ერთ ცხოვრების წყაროს შეადგენდა. წელს თუთუნსაც იმისთანა დღე დაადგა, როგორც სიმინდს, თუ არ უარესი. წრეულს არამც თუ გასასყიდი, თავისი სამყოფიც არავის მოსვლია. მერე იქაური ქართველი მაჰმადიანები ძალიან ეწევიან თუთუნს, ათის წლის ბავშვითგან დაწყებული, ყველა ეწევა, მაგრამ მოწევაც არის და მოწევაც. დილით საღამომდე ლოგინშიაც-კი თუთუნს უნდა აბოლებდეს აქაური კაცი, თორემ დასაძრახისი შეიქმნება.

სულ ნაკლებ რომ ვიანგარიშოთ, აქაურ კაცს დღეში 1/4 გირვანქა თუთუნი არა ჰყოფნის.

მარტო აქაურობაში მეგონა ცუდი მოსავალი და თურმე ოსმალეთში უფრო სიმშილი ყოფილა, მომეტებულად ბურსაში, სადაც უფრო მეტი აჯარლები არიან გადასახლებული. დღე არ იქნება, რომ იქიდან მომსვლელი ხუთი-ექვსი კაცი არ მოადგეს აქაურ მცხოვრებს კარზე, პურის, სიმინდის, კაკლის და ლობიოს სათხოვნელად. იმათ ნახევარს, ვინც-კი აქედგან წასულა, არც სახლი არ მოეპოვება და არც მიწა-წყალი, რომ იმუშაოს და ქალ-ბაღანა გამოკვებოს. ღამით ისინი ჯამეებში ატარებენ და დღისით კი მოედებიან სოფელს ლუკმა პურის სათხოვნელად ბოშებსავით. ქალებს ხომ მანდილიც არ შერჩენიათ, რომ პირზე ჩამოიფარონ. ბევრს უნდა თურმე სამშობლოში — აჭარაში დაბრუნება, მაგრამ ვინ გაგზავნიანებს, ან არა და იმ სიშორიდან როგორ წამოიყვანოს შიშველი ქალ-ბაღანა.

მე ვნახე ერთი იმ მათხოვართაგანი, მაგრამ ჩაცმულობით იმას ვერ შეატყობდით, რომ ბურსიდგან იყო თითო-ოროლა ოყა სიმინდის მოსათხოვად მოსული. ეცვა გვარიან სუფთად და ახალი სალო (პალტო) და თავზედ ეხურა ახალ მოდის ფესი, თითქმის ნახევარი არშინის სიმაღლე, (თუ გინახამთ, ბათუმში და ტრაპიზონში ჰხურამთ წინა კაცებს ყავახანებში იმისთანა ფესები). ვჰკითხე იმას ბურსის ამბავი, რადგან ბევრი ნაცნობები მეგულებოდა აჭარლები, თუ როგორ არიან და რავა სცხოვრობდნენ. იმან მითხრა ძალიან გლახად ცხოვრობენო, რადგან მიწა არა აქვსთ სამუშაო და ეკონომიის დასადგმელიო. იმდენი ფულები ვის აქვს, რომ იქაურის მიწის სყიდვა შეიძლოსო. მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ ამ ამბავს თავის დღეში არ გეტყვის აგრე, თუ ვინმე მისი ნაცნობი და ხელმი უყურებს და ესმის. ახლა უნდა გაიგოთ, რას ლაპარაკობს თავის ნათესავთან და მეზობლებთან, სოფელში სიარულის დროს სათხოვრად. ის აუწერს ბურსაში მუჰაჯირების ყოფა-ცხოვრებას, ვითომ ამ დუნიაზე მარტო ბურსა იყო ჯევნეთი (სამოთხე) და სამოთხესავით იყო იქ საცხოვრებელი. მართლაც ბევრ მიყრუებულ სოფელს აჯერებს და სჯერათ კიდეც იმის ნათქვამი და გული უვარდებათ ამის შემდეგ აქ ცხოვრებისთვის, ნებით იქნება თუ ძალით, დღისით იქნება თუ ღამით, ყველა იქითკენ აპირებს წასვლას ამის-

თანა ქადაგების შემდეგ. იმათის ქადაგების შემდეგ ხოჯა მოლე-ბიც, იქიდგან გადმოსულები, რომლებიც დგანან აქაურ მეჩეთებში, ალოცებენ ხალხსა. იმათ მისცეს ნება ჯაეში ქადაგების დროს. მემრე თქვენ რაც გინდათ ეჩიჩინოთ, აბა რას დაიჯერებს თქვენს ლაპარაკს, ხოჯის ჩაგონების შემდეგ. ესეც-კი უნდა ვსთქვა, რომ ზოგი ოსმალეთიდგან მათხოვრად ნამოსული მართლა გაჭირვებული არ არის.

მე ბევრი მინახავს ქვედა და ზედა აჭარაში და აქაც, ამისთანა მათხოვრებს ორას ფუთამდის რომ მოუკრებია პური, სიმინდი, ლობიო და სხვა, ჩაეტანოს ბათუმში, გაეყიდოს, ათი-თხუთმეტი ცხრამანეთიანი ლირა ჩაედოს ჯიბეში და ისე წაბრძანებულიყოს ოსმალეთში. ძალიან კაი ტვთის წყალობაა სწორედ: ორი-სამი თვე კაი სჭამოს, კაი სვას და ამდენი ოქროებიც ჩაიყაროს ჯიბეში და მადლობის მაგიერ აქაურ მცხოვრებს გული აუყაროს აქაურობა-ზედ და ოსმალეთისკენ მიეწეოდეს. არ იქნება ურიგო და უკანონო, რომ ყურადღება მიაქციონ ამისთანა მათხოვრებს. მართალია მათხოვარი რომ კარზე მიადგება ადამიანს, რაც უნდა კაი ჩაცმული იყოს, მაინც უნდა მიაწოდოს რამე, მაგრამ იმისთანა მათხოვარა, რომელიც ხალხს გულს უყრის აქაურობაზედ და იქ შიმშილის მსხვერპლად უნდა გახადოს, ხოჯა-მოლების დახმარებით, არ იქმ-ნება ურიგო სამუდამოდ აილაგმოს.

ამას წინად ბათუმიდგან მივდიოდი, კახაბრის მინდორში რომ მოვედი, იქ ორმოც მოსახლემდის შემხვდა. კაცი ცოლ-შვილით და ბარგი-ბარხანით ოსმალეთში მიმავალი. ვნახე, ზოგს ცხენზე აეკი-და ბარგი და ზოგსაც ზურგზედ, როგორც კაცებს, აგრეთვე ქალებს, ბათუმში ეჩქარებოდათ, „პარახოდს“ მივასწროთო. რადგან იმათში ზოგიერთი ნაცნობი გამოდგა ჩემი, დამიწყეს თვალ-ცრემლიანმა ლოცვა და გამოთხოვება. მართალი მოგახსენოთ იმათმა ტირილმა მეც თვალში ცრემლი მომგვარა. ზოგიერთი ქალების ტირილი-ქვი-თინიც მესმოდა, რომლებიც ჩვენთან ახლოს იდგნენ ჩადრში გამო-ხვეულები. მე ვკითხე, რად მიხვალთ ოსმალეთში მეთქი. იმათ მი-პასუხეს: რა ვქნათ ბატონო, იქითგან ხისიმები მოვიდნენ და გვა-ქეს იქ ყოფნაო: ხოჯა-მოლებმაც გვირჩიეს, და ჩვენც მივალთო. მერე ვკითხე, თუ რამდენი ფულები ჰქონდა თითოს იმათგანს. იმათ მიპასუხეს, ათითგან ოც-და-ათ ოქრომდე ექნება თითო მოსახლესო.

ბევრი ეურჩიე დარჩენილიყვნენ თავის მიწა-წყალზე, მაგრამ არ დაიშალეს.

[ივ. ჯ ა ი ა ნ ი].

12. „ივერია“, № 1, 1894 წ., 1 იანვარი

ჭოროხის ხეობა

ამას წინად წასულა ბათუმში ერთი მოხუცებული კაცი 75 წლისა და თან წაუღია 25 ლირაც. იქ ეგულებოდა თურმე დაპატიმრებული თავისი შვილი, რომელიც დაკარგულა, ერთს თვეს უძებნიათ ნათესავებს ყველგან და ვერც ცოცხალი, და ვერც მკვდარი ვერ უპოვნიათ. მოხუცი დაბრუნებულა ბათუმიდგან: თან გამოჰყოლიან ორნი ართვინის ბოქაულთან დესეტნიკებად ნამყოფნი. მოხუცი სახლში აღარ დაბრუნებულა. ამბობენ, რომ ის დესეტნიკებმა მოჰკლესო. ეს მით უფრო საფიქრებელი არის, რომ ერთი მათგანი შეიპყრეს, ხოლო მეორეს გაქცევა მოუსწვრია.

20 დეკემბერს სოფ. მარადიდის უფროსის სასამართლოს წინ დასჭრა ხანჯლით სოფ. ხიბას მცხოვრებმა ჰაჯი-აღა სოფიოღლიმ თავისივე მეზობელი მემედ-თაფარ-ოღლი. დამნაშავემ გაქცევა მოინდომა, მაგრამ შეიპყრეს და სამართალში მისცეს. მეზობლებს, როგორც ამბობენ, უსიამოვნება მოუვიდათ ყმაწვილ გასათხოვარ ქალის გამო, რომელსაც დამჭრელმა მანდილი მოჰხადა, რის გამოც, ჩვეულებისამებრ, ის ქალი სხვას ვეღარ მისთხოვდებოდა.

22 დეკემბერს ერთი ნავი დაიღუპა ჭოროხში. ნავი თურმე ძლიერ იყო დატვირთული, თოკი-კი დამპალი ჰქონდა, ვერ გაუძლო, როცა ნავს პირ-აღმა ეწეოდნენ, გაწყდა, ნავი გაჰქანდა უკან და დაეჯახა კლდეს. ნახევარი საქონელისა სულ დაიკარგა, ნახევარი კი, როგორც იყო, ამოიღეს წყლიდამ, ასე 500 მანეთისა. თითო ნავი ერთს გზაში 50 მანეთამდე ფულს იღებს, ნავი 100—120 მან. ჰღირს და თოკი — კი 1 მან და 50 კაპ. რა იქნება რომ მენავეთ დაავალებდნენ, თვეში ერთხელ ახალ-ახალი თოკი იყიდონ ხოლმე,

თორემ ასეთს უადგილო ეკონომიას მეტად დიდი ზარალი სდევს თანა და ბევრს წუთისოფელსაც ასალმებს.

ი. ჯაიანი

სოფ. ბორჩხა.

13. „ივერია“, № 4, 1894 წ., 6 იანვარი

აგერ რამდენი ხანია რაც ეს ქვეყანა რუსეთს შეუერთდა და აქამდე აზრად არავის მოსდის თავიდგან ააშოროს ფუხარას ის საზიანო და თავ-ზარ დამცემი ადათი, რომლის წყალობით ბევრი ესალმება წუთისოფელს. აქაურ მაჰმადიანებში ბედნიერ კაცს იმას ეძახიან, ვისაც ორი და სამი ქალი-შვილი ჰყავს გასათხოვარი, რადგან თითო ქალში სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, 15-20 ცხრა მანეთიანი ლირას მოელის სასიძოსაგან. თუმცა ეს ადათი ოსმალოს დროსაც იყო, მაგრამ მაშინ რომ კარგს შეძლებულ კაცს სამიდგან ხუთ ოქრომდის მიეცა ქალის დედ-მამისათვის, დიდი წყალობა იქნებოდა. ამ ფულით დედ-მამა უკეთებდა ქალს ჯეიზს (მზითვს) და ატანდა თან. თუ აქაურმა კაცმა ფული არ აიღო სასიძოსაგან, იმის ქალს რამე წუნი უნდა ჰქონდეს. რომ უსასყიდლოდ გაათხოვა და ამგვარად მოიშორა თავიდგან. ამ ოცის ოქროთი რომ თავდებოდეს საქმე, თქვენი ჭირი წაუღია, ვინ ინაღვლებდა, მაგრამ აი კიდევ რაში უნდა დახარჯოს სიძემ ფული ამ თერთმეტისა და ოცის ოქროს გადახდის შემდეგ. როდესაც ახთის (გვირგვინის) შესკვნამდის მიაწევს საქმე, შაქარი და ან ტაფლი უნდა იყიდოს და ამას ორი ოქრო მაინც უნდა, რომ შერბეთი დაალევინოს დამსწრეს. მერე დედოფლისა და ნეფის ნათესავები მიდიან მაღაზიაში და უნდა იყიდონ პატარძლისათვის ორი ხელი ტანისამოსი. ერთი აბრეშუმისა და მეორე-კი ჩითისა, ეს ტანისამოსიც ჯდება 10-15 ლირა. არც ამით თავდება საქმე; ამას გარდა ერთი ოცდახუთი მანეთიანი ოქროს ბეჭედი უნდა იყიდონ პატარძლისთვის.

თორმეტიდგან თექვსმეტამდის პატარა ორმანეთიანი ღამაზი გულზე დასაკიდით, რომელიც აუცილებელი საჭიროა დედოფლისათვის, და ადათიც თხოულობს ამას. ამასთან რამდენიმე ვერცხლის

ბეკედიც არის საჭირო. მაგრამ ეს ბეკდები ძვირად არ ჯდება, რადგან იქაურობაში ნამდვილის ვერცხლისა არ იშოვებოდა, კალისაა ვერცხლის წყალში დაფერილი, რომელიც რამდენსამე ხნის ხმარების შემდეგ შავდება. ამისთანავე ერთი ჰამაელიც არის საჭირო, რომელიც თუთუნის ყუთსა ჰგავს და გულზე უნდა ეკიდოს ავისთვალის ასაშორებლად. ვინ იცის კიდევ, რამდენი აუარებელი ხარჯია.

ამდენი ხარჯის აშორების გამო აქაურობაში გავრცელებულია ქალების მოტაცება, რომელიც ძალიან ხშირად თავდება ორისა და სამის კაცის სიკვდილით. მერეც ბოლო არ ეღება სისხლის ძიებას. ამასწინადაც იყო „ივერიაში“ წერილი დაბეკდილი სოფ. ოღრიალიდგან. რომ აქ სამი კაცი მოიკლა ქალის მოტაცების დროსაო, და აწიც რამდენი იქმნება მოკლული ამის გამო, ვინ უწყის.

ვინ უწყის, ძალიან სამადლობელი საქმე იქმნება, რომ გამოჩნდებოდეს ვინმე და ამ ფრიად მავნებელს ადათს ბოლოს მოუღებდეს.

ი. ჯ. [ივანე ჯაიანი].

14. „ივერია“, № 10, 1894 წ., 14 იანვარი

ჭოროხის ხეობა — 7 იანვარს კარგა დიდი თოვლი მოვიდა ჩვენსკენ. თითქმის ორმტკაველზე დაჰფარა დედამიწა და ამის გამო მოვსწყდით ქვეყნიერებას. გუშინ გავისტუმრეთ ფოსტა ბათუმს „ტროიკით“ და არ ვიცით, როგორ ჩავა, ან იქიდან როგორ დაბრუნდება. აღარ მუშაობენ მენავენი, აღარც ფურგონები და დროგები დადიან, რომელთაც მოჰქონდათ ყოველ-გვარი ჭირნახული და საკვები საქონელისა საწყალისა და ღარიბი ხალხისათვის.

ჭირნახულის ნაკლებობა-კი აქეთ საკმაოდ საგრძნობელია. ხალხსაც აკლია საკვები და საქონელსაც. ვიდრე თბილი დღეები იყო, საქონელი იოლად მიდიოდა, რადგან ტყეში ნეკერსა ჰხრავდა და ცოტას რასმე სწიწკნიდა აქა-იქ. ახლა-კი ტყეში ვეღარ გადის და ჩალა და ნაქურჩალა უნდა ეძლიოს სახლში, მაგრამ ესეები მეტის-

მეტად ძვირიც არის და ძნელი საშოვარიც. ერთი ბეწკა კონა ჩალისა ჰლირს 5-10 კაპ. ფუთი 3 მანეთად მოვა. თუთუნსაც მეტი ფასი აღარა აქვს აქაურ ჩარჩების გადამკიდე. არ უჯობდა მაშ ხალხს, რომ ასე ნამეტნავად თუთუნის თესვას არ მისდევდნენ და სიმინდის მოყვანასაც ჯეროვანის ბეჯითობით უგდებდეს ყურს, რომ ზამთრობით საქონლის საცოდაობით არ იწვოდეს.

ვინ იტყვის, რომ თუთუნის მოყვანა კარგი საქმე არ იყოს. მერე იმისთანა თუთუნისა, რომელიც, როგორც მაგალითად აქაური, მეტად კარგი ღირსებისა, მაკრამ როცა ამისთანა მოსავალი მოგვყავს, მისი გასაღებაც უნდა რიგიანად მოეწყოს. ეხლა-კი რას ვხედავთ. თუთუნის მისაღების საქმე მთლად ჩარჩების ხელშია და ისინიც ისე ატრიალებენ საქმეს, როგორც მათ გაეხარდებათ. ორნაერად აჭრობენ ხალხს ტყავს. ვინ არის პატრონი, რომ მოაწყოს თუთუნის აღების საქმე რიგიანად და მით დიდი სარგებლობა მისცეს ხალხს. ეს საკანი ისეთია, რომ ჰლირს ანაზედ დაფიქრდნენ აქეთის მხრის ნასწავლნი და თავიანთ ქვეყნის გულშემატკივარნი ქართველნი კაცნი.

ი. ჯ ა ი ა ნ ი.

15. „ივერია", № 18, 1894 წ., 19 იანვარი

— ჰორროხის ხეობა — 13 იანვარი. ამ თვის 10 კინაღამ დიდი უბედურება მოჰხდა ჰორროხის უხეირო მენავეების წყალობით. აი საქმე როგორ ყოფილა: ართვინიდგან მომავალი ნავი ბათომისკენ, ბორჩხასა და ქ. ართვინს შუა, დაეჯახა კლდეს და დაიმსხვრა. 34 კაცი და 60 ფუთამდის საქონელი სულ წყალში ჩაცვივდნენ, მაგრამ რადგან ნავი კიდეზედ ახლო იყო და წყალიც პატარა, კაცებმა ერთმანეთი გამოიყვანეს ნაპირს. ამნაერად არავინ დამჩვალა, ხოლო ბევრს მათგანს დაუშავდა თავი, ზოგს კიდევ — ხელი და ფეხი, საქონელი კი ნახევარზედ მეტი თითქმის დაიღუპა, რადგან ამ ჟამად ჰორროხი ყინვებისა და სიცივის გამო ძრიელ პატარაა, ამიტომ ძალიან გამოცდილი და მარჯვე კაცებია საჭირო, რომ ამისთანა ხიფათს ააშორონ მგზავრები. მენავეები-კი, თუ მოიხელებენ და

იშოვნიან წასაყვანად ხალხს, ასი კაციც რომ იყოს, ყველას ნავში ჩასვამენ, ბევრი ფული ავიღოთო, რადგან ართვინიდგან კაპანდა-დამდის კაცის თავზე თითო მანათია ფასად დადებული, იმას-კი აღარ დაგიდევენ, შშვიდობით გამგზავრებენ თუ არა. იმ ნავში ერთი ვიღაც ფოტოგრაფი მჯდარა, რომელიც ეს ორი თვეა თურმე ბათომიდგან წამოსულა ართვინის ოლქში, და რაც რამ უმუშავნია ამ ხნის განმავლობაში სულ ერთიანად გაპფუჭებია. ფოტოგრაფს 600 მანეთის ზარალი მოსვლია და შიში და ცივ წყალში ტოპვა კიდევ სხვაა. სახსოვრად ამ უბედურებისა, გვიამბო ფოტოგრაფმა, ჩვენის მდგომარეობის სურათიც გადავიღე, როგორც იყო, მაგრამ როგორი გამოვა არ ვიცი. თუმცა სასამართლომ დიდი ხანია აუკრძალა ზოგიერთებს ნავის ტარება, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან. თითქმის ყოველ კვირას ჰხდება ამისთანა უბედური შემთხვევა და ბევრს ასალმებს ამ წუთის სოფელს.

მენავეებს დავალებული აქვთ, თუ რა დროს რამდენი კაცი ჩაისვან ნავში: და თუ კაცი არ იქნება, რამდენი ფეთი ტვირთიც უნდა წაიღონ, მაგრამ არ ასრულებენ.

ი. ჯაიანი.

სოფ. ბორჩხა

16. „ივერია“, № 82, 1894 წ., 11 თებერვალი

ჭოროხის ხეობა — მკითხველმა საზოგადოებამ იცის როგორი მთა-გორიანი და ქვა-კლდიანია ეს ჩვენი მხარე, ე. ი. ჭოროხის ხეობა, მთლად ართვინის ოლქი და ზედა და ქვედა აჭარა. აქაურობაში ჰთესავენ პურს, სიმინდსა და ზოგან ქერსაც, მაგრამ რად გინდათ? აქაური ნიადაგი, თუ კვირაში ერთხელ მაინც კარგის, ლაზათიანის წვიმით არ გაძღა, ყველა ეს ნამუშევარი ისე დაიხრუკება სიცხისაგან, როგორც აბედი, რასაკვირველია, ქვიანის ნიადაგის წყალობით. ხანდისხან იმისთანა ზაფხული დადგება ხოლმე, რომ, არამც თუ კვირაში ერთხელ, თვესა და ორ თვეშიც ერთხელ თუ ეღირსა აქაურ ნიადაგს წვიმა, დიდი ღვთისშობლობაა. მაგალითად, შარშანდელ ზაფხულში სამმა თვემ ისე გაიარა, რომ მიწას ნამიც არ ღირ-

სებია. ძალიან ბედნიერი და ნაყოფიერი ზაფხული ის იქნება ფუხრისათვის, როდესაც ათში ერთს მაინც არ ექნება ჭირნახული საყიდელი. თითქმის მთლად ართვინის ოლქს, ზედა და ქვედა აჭარას საუფროსოში მცხოვრებთ, სამი-ოთხი თვის ნამუშევარი არ მოუვათ და დანარჩენ დროს ნასყიდის ჭირნახულით უნდა კვებონ ცოლ-შვილი.

მცხოვრებთა რიცხვი სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ 80.000 სულზე მეტია, და ეს ამოდენა ხალხი ნასყიდის სარჩოთი გამოდის ოლად თითქმის შვიდ-რვა თვეს. კაი მოგცეთ ღმერთმა, კაი იყვეს, რომ ყველას დასჭირდება ჭირნახული თუ არა, ამ აუცილებელ ყოვლად საჭირო საგნისათვის შეემთხვა ჯიბეში ფული, მაგრამ მაგრიც ის არის, რომ ხუთში ერთს არ მოეპოვება ეს წყეული ძვირფასი ნივთი და იძულებულია სესხს და მინეთს მიჰმართოს. ზედა და ქვედა აჭარლებს კიდევ არა უშავთ-რა, რადგან იმათზე ახლოა კახაბერი, სადაც ძალიან ბლომად მოდის სიმინდი; მოდის მხოლოდ მაშინ, თუ წვიმიანი ზაფხული არ დაუდგა, რადგან სწყენს კახაბრის ნესტიანსა და ჭაობიან მიწას წვიმა. ამ სახით კახაბრელებან აჭარლებს კიდევ ადვილად შეუძლიათ სიმინდის ყიდვა, თუ ორიოდე გროში აბადიათ. ერთ დღეს ჩავა და მეორე დღეს მოასწრობს „კაკლის" მიტანას დამშეულ ცოლ-შვილისათვის. მაგრამ ართვინის ოლქისთვის კახაბერი ძრიელ შორს არის და დიდ ეზიეთს (ჯაფას) სწევს ფუხარა, ვიდრე ჩავიდოდეს და ამოვიდოდეს ხუთი-ექვსის დღის სავალ მანძილზედ. მომეტებულად უფრო ისინი არიან გაჭირვებაში, ვისაც თავისი ცხენი და ჯორი არა ჰყავთ; ხოლო ამისთანები რამდენი არიან, ამას ვინ მოსთვლის, ისინი ზურგით ეზიდებიან სარჩოს. ესეა თუ ისე, კიდევ კარგია, რომ ჯერ-ჯერობით კახაბერში შოულობენ სიმინდს საყიდლად. კახაბერს ჩასვლა იმდენად არ უჭირთ, რადგან მიჩვეულნი არიან იქ ჩასვლა-აქოსვლას. მაგრამ, სამწუხაროდ, ხუთი-ექვსი წელიწადი არ გავა, რომ იქაც მოისპოს ეს ერთად ერთი ფუხრის იმედი, რადგან კახაბრის მიწა თითქმის ნახევარზე მეტი ზღვაში ჩაიტანა ჭოროხმა. მე რომ კახაბერი მინახავს ამ ოთხი-სუთის წლის წინად, დღეს თითქმის მესამედი ნაწილი წაღებული აქვს ჭოროხს, და აწიც უნდა ვიფიქროთ, კიდევ ხუთი-ექვსი წელიწადი არ დასჭირდება ჭოროხს, რომ მთლად კახაბრის საყანეები ბათუმამდის ჩარეცხოს. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ

ბათუმის ახალ და მშვენიერ შენობათაც არ ელის კაი დღე და. იმათაც გამოუთხრის ძირს, თუ თავის დროზე არ იღონებენ რასმე, ვისიც ჯერ არს. შეუბრალებელი ჭოროხის ნინააღმდეგ. ჯერ-კი კახაბრის მკვიდრნი ამ საქმეს გულგრილად უცქერიან, თუმცა კარგად ჰხედავენ, რომ ყოველ ზაფხულობით, როდესაც ლანქერის წყალი მოდის მთებიდგან, თითო ვერსი საყანე მიაქვს თან.

ბათუმიდგან კახაბრის მინდორზე გზა-ტკეცილი მიდის არტაანსა და ახალციხის მხარეს. ინჟენერმა შეჰნიშნა, რომ გზა უნდა წამართვას ჭოროხმაო და ერთ ალაგს შარშან ყორე გაუკეთა კაპანდიდგან გზის დასაფარავად, მაგრამ იმ ერთმა ყორემ მაინც ვერ დაიხსნა გზა ჭოროხის ხელიდგან და ნახევარ ვერსის მანძილზედ კიდევ წაიღო გზა. ამ ერთს ყორესთან ჭოროხის ნაპირას კიდევ რომ გააკეთონ 25-30-მდის, მაშინ იქნება გადაურჩეს ჭოროხის ზვირთებს კახაბრის საყანეები და აგრეთვე ბათუმიცა. თქვენი მტერია, თუ ასე თავის ნებაზე მიუშვეს ჭოროხი: დიდ ზარალს მისცემს ამ ქვეყანას, კახაბრელებისათვის ხომ დაღუპვა იქნება, რადგან 100,000 ფუთ სიმინდზე ბეტს ჰყიდიან წელიწადში და ფუთი 50 კგ. რომ ვიანგარიშოთ, მაშინაც 50 ათას მანათს შეადგენს, რაიცა კაი დასაკლისია.

ი. ჯაიანი.

სოფ. ბორჩხა

17. „ივერია", № 51, 1894 წ., 9 მარტი

ჭოროხის ხეობა, 25 თებერვალი. არ იქნა და არ გვეღირსა ჯერ კიდევ თბილი დღეები. თუმცა სადაც არის ეს თვეც თავდება და იმედიცა გვქონდა ამ თვეში მაინც არის დადგებოდა ცოტა სითბო, როგორც წარსულ წლებში, მაგრამ ეს იმედიც გაგვიქარწყლდა. სხვა დროს თებერვლის დამლევს, ძალიან სითბო იცოდა და საქონელსაც ღღისით მაინც შაეძლო ცოტა რამ მოეხრა ტყეში, მაგრამ ჯერ კიდევ დიდის სიცივის გამო საქონელს გარეთ ვეღარ უშვებენ და შინ საჭმელი არა აქვს, რის გამოც დიდს გაჭირვებაშ- არიან ჩავარ-

დნილნი აქაურები. საქონლის საკვების უქონლობის გამო ბევრი კიდევაც გამოესალმა ერთადერთს სანუგეშო ძროხას, რომელიც პირს უხსნილებდა ქალ-ბაღანას ერბო-ყველითა და რძით.

თითქმის დღე არ გაივლის, რომ თოვლი და წვიმა არ იყოს და ცივი ქარი არ ქროდეს, ბათუმ ართვინის გზაზედ იმისთანა ტალახებია, რომ კაი ცხენი უნდა, რომ უხიფათოთ გაატაროს, მერე ისიც თუ დატვირთულია. ამისთანა ტალახების წყალობით, წარსულს კვირაში იმის მაგივრად, რომ ფოსტა ბათუმიდგან გამოსული დილის 6 საათზე, საღამოს 6 საათზე ბორჩხაში მოსულიყო, 11 საათზედ ძლივს მოაღწია იქა და ისიც დიდის ვაივაგლახით. ფოსტის ცხენების იჯარადარს, იმისთანა ცხენებიც არა ჰყავს, როგორიც შეჰფერის და არის საჭირო ამისთანა გზებისათვის, თუმცა ქირას ძალიან დიდს იღებს. მერე ამისთანა ტალახიან გზაზედ ცხრასა და ათს ფუთს ჰკიდებენ ერთს ცხენზედ, რომელსაც ძალიან უჭირდება მისთანა გზაზე ისეთის ტვირთის თავისუფლად ტარება 95 ვერსტის მანძილზე. სწორედ დიდი საცოდაობაა და შესაბრალისი ის ცხენი, რომელიც ამ ტვირთის ქვეშ იმყოფებოდა. მგონია კანონით აკრძალულია 6 ფუთზედ მეტი აჰკიდონ ცხენს ტვირთი, მაგრამ ამ კანონს ჯერ აქეთკენ ყურს არავინ უგდებს. მერე ფოსტის ტარება ღამით ამ გზებზე მოუხერხებელია და საშიში, რადგან აჭარის წყლიდგან დაწყებული ბორჩხამდის გზა თითქმის სულ ჭოროხის პირად მოდის, ერთი ფეხი რომ გადაუცდეს ცხენს გზიდგან, მაშინვე ფოსტა ცხენითურთ ჭოროხში ამოყოფს თავს.

ამ ზამთარში და ამ ბოლო-დროსაც აქ ძალიან გავრცელებულია სურდო, ხველა და ინფლუენცია, რომელიც უმეტესად ბავშვებსა და მოხუცებულებს ასალმებს ამ დუნიას. ინფლუენციას აქაურები „ჰავაჩალღუნს" ეძახიან. სახლი არ მოიპოვება, რომ ამ ჰავაჩალღუნით სამი და ოთხი არ იწვეს ავადმყოფი. ამათთვის არც ექიმია და არც ფერშალი. ესენიც რომ ახლოს იყოს, მაინც იქაური ქართველი მაჰმადიანი იმათ არ მიჰმართავს, რადგან ეშინიათ იმათის წამლისა და იმათს მთვალეობას ხოჯა მოლები ასრულებენ. ესენი გაიძახიან, თუ დღე დალეული აქვს, ვერც ექიმი უშველის და ვერცა იმათი წამლებიო. რაც უნდა შეძლებული კაცი იყოს და მძიმე ავადმყოფი ჰყავდეს, ის ექიმთან არ მივა და თავის დარდს არ ეტყვის. სამის დღის სავალზედ წავა და მონახავს სახელგანთქმულს მოლას, რომელიც ბლომად მოიპოვება ოსმალოდგან გადმოსულთა

შორის. მოიყვანენ მოლას, მოუსვამენ ავადმყოფს გვერდზედ და უნდა უკითხონ სხვადასხვა ლოცვები, რაც უფრო სასარგებლოა ავადმყოფისათვის, და სანამდის ავად არის, არ შორდება, თუმცა რომ იმის კითხვის და შემწეობით მოიკეთა ავადმყოფმა, მოლა კარგ ფასს იღებს და ხმაც იმისთანა ექნება სოფელში, რომ თუ ვინმეს თავი ასტკივდა, მოლას ხელის გულზედ დაისმენ და ისე სასოებით დაჰყავთ ერთის ავადმყოფიდგან მეორესთან, სოფლიდგან სოფელში.

ვინიცობაა ვერ დაიხსნა ამ სახელგანთქმულ მოლას ლოცვებმა სიკვდილის ხელიდგან ავადმყოფი, ის მაინც თავის ჯაფის ფასს მიიღებს. წარმოიდგინეთ მერე თეთრჩალმიანი და პატარა წვერა თუ ვინმე გადმოვიდა აქეთ ოსმალოდგან, ჩვენთვის ყველა ხოჯა და ეფენდი ჰხდება. და მთელი სოფელი პატივსა სცემს. ავი და კარგი იმათ ხელშია და როგორც იმათი სურვილი და ნებაა, ისე წაღმა-უკუღმა ატრიალებენ ფუხრის ბედ-იღბალს.

მკითხავი-მარჩიელები არ იციან და არც ენდობიან იმათს მკითხაობას, რადგან ეს ხელობაც მოლების ხელშია.

[ი. ჯ ა ი ა ნ ი]

18. „ივერია“, № 84, 1894 წ., 23 აპრილი

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა) 10 აპრილს. პათუმ-ართვინის გზატკეცილი არას დროს არა ყოფილა საქები და სადიდებელი, მაგრამ ამ ბოლოს დროს მთლად ბოლო მოეღო ამის კეთილ დღეობას. სხვა დროს აქ ზამთრობით ჩამოზვავებულ ქვა მიწას მაინც გაწმენდგასუფთავებდნენ, დღეს-კი ამის თავ-შემატკივარი და ყურის მგდებელი ჯერ-ჯერობით არ გამოგვიჩნდა ვინმე მადლიანი. რასაკვირველია, როგორც მეეტლეები, აგრეთვე ცხენოსნებიც დიდს წვალებაში არიან ჩავარდნილნი კისრამდე ტალახის ზელით და გზაც ისე დავიწროვდა, რომ უბრალო სოფლის გზას დაემსგავსა. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, როგორცა ჩანს, რომ ძველი ინჟინერი პ.[17] გადა-

იყვანეს ბათუმ-ახალციხის გზაზედ და იმის მოადგილედ დანიშნული ინჟინერი ს[18]-ვი, რომელიც აქამდის დაღესტანში ჰმსახურებდა, თუმცა დიდიხანია ელიან, ჯერაც არ მოსულა და ჩვენ-კი ჩვენი დაგვემართა. ამისთანა უსეირო გზის წყალობით, არ ვიცით, როდის ვეღირსებით გზის გასწორებას. ყველას დიდი იმედი აქვს ბ-ნის ს-ვისა, რომ გზასაც თავისს რიგზედ შეინახავს და სოფლურისათვისაც სასარგებლო კაცი იქნება. ამას მიტომ ვამბობთ რომ, ძალიანი შეშინებულია აქაური ფუხარა უწინდელის იჯარადრებისაგან, რადგან თითქმის ოსმალოდგან იყვნენ გადმოყვანილნი, აქაურ ეცხოვრებს გააკეთებინებდნენ ხოლმე გზას და, ფულის მისაღებად ბათუმში რომ ჩავიდოდნენ, იქ მიიღებდნენ ხვედრ ფულებს, რამტონსამე ათასს მანეთს და გასწეედნენ ოსმალოში. აქაური ფუხარა-კი სახა მშრალი უყურებდა იჯარადარს, როდის ამოვა და ფულებს მოგვიტანსო, მაგრამ ნამუშევარიც ეკარგებოდა და რამდენსამე [illegible] ზედ ადებდა. იმის ლოდინში. ამისთანა [illegible] წყალობით ბევრი ქალ-ბაღანა დარჩა ატირებული, მაგრამ გამოძიების, საჩივრის შემდეგ ის გამოდიოდა, რომ ინჟინერიც მართალი იყო და იჯარადარიც. ასე რომ ბოლოს მარტო საწყალი ხალხი რჩებოდა დამნაშავე და დაზიანებული. აწ იმედი აქვთ, რომ როდესაც ინჟინერსა აქვს გზის გაკეთება მინდობილი, ის ჩვენებურსავე იჯარადარს აიყვანს, უფრო სანდოს და საიმედოს, რათა ფუხარამაც მისივე ხელმწიფის ქვეშევრდომთან იქონიოს საქმე და .იმისი მონახვაც ადვილად შეეძლოს, თუ ვინიცობაა რიგიანად არ გაუსწორდება მუშა ხალხს. მოგეხსენებათ, რა ძნელია საწყალი ხალხისათვის მისი გამძარცვავი იჯარადარის მოძებნა ოსმალეთში. აქაურ ხალხთან თუ პირნათლად მოიქცევა ინჟინერი, მაშინ ეჭვი არ არის, რომ ის გზასაც კარგად შეინახავს, სოფლელებიც მადლობელი ეყოლება და უსათუოდ მისთვისაც არ უნდა იქნას საზიანო, როდესაც ფუხარას თავს შეაყვარებს თავის სიმართლით.

ჰორობმაც ჩვეულებრივ დაიწყო ადიდება. ძალიან გაძნელდა გალმა-გამოღმა ნავის გაყვანა, მენავეებმაც დაანებეს თავი ბათუმ-ართვინის შუა სიარულს. როგორც ამბობენ, წელს დიდი თოვლი ყოფილა მთებზედა, მაშ ჰოროხიც ჯერ კიდევ ბევრს მოიმატებს. ამას წინადაც გვქონდა „ივერიაში“ ნათქვამი, რომ კახაბერის ნაქებს საყანეებს ვერ მოელის კაი დღე და თანდათან მიაქვს ჰოროხს

და შეაქვს ზღვაში. დღეს ჭოროხი შეუერთდა მეჯინის ღელეს, რომელიც ბათუმიდგან ორის ვერსის მანძილზეა და ჭოროხიდგან კი შვიდისა. ამ შვიდს ვერსის საყანეებსა ნახევარზედ მეტს ჭოროხი დაპატრონებია და მირეცხს და მიაქვს თან ეს საქები საყანეები. რომ არც წაიღოს, მაინც სადაც ახლა ჭოროხი მირბის, იქ ამ ზაფხულში ვეღარას დასთესავენ, დიდს ზარალს მისცემს ამ კარგ მიწის პატრონებს და აგრეთვე ახლო მახლო უხეირო მიწის მქონებელთ, რომელთაც სამი ოთხის თვის სარჩო არ მოსდით თავისი მიწიდგან და მაინც იმის მეტი სხვა არა გააჩნიარა.

ინჟინერს კიდეც დაუწყია ჭოროხის საწინააღმდეგო ყორეებისთვის ქვების ზიდვა. მაგრამ ამ წელს მაინც ვერას უშველიან და რამდენიმე ვერსს კიდევ ხელიდგან გამოგვაცლის ამ ძვირფასს საყანეესას. წლეულს მადლობა ღმერთს, კიდეე გაუძლებთ ამისს ზარალს, თუ-კი შემდეგისთვის მაინც არას გააკეთებენ რამე საიმედოს. თუ საიმედო ყორეები ჭოროხის ნაპირებზედ რამდენსამე ადგილ[illegible] [illegible]ეაკეთეს, მანინ რიგიერიც კასბარ[illegible]ს, აგრეთვე ბათუმსაც არ მოელის კი[illegible] დღე. თუ ამ დროებით ბათუმამდე ორის ვერსის მანძილზედ მოვიდა ჭოროხი, მომავალში იმედია თვით ქალაქსაც ესტუმრება ეს არასასიამოვნო სტუმარი.

ივ. ჯაიანი

19. „ივერია", № 106, 1894 წ., 21 მაისი

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა), 9 მაისი. თქვენი მტერია, ჩვენ შეგვაწუხა ამდენის ხნის უწვიმობამ. თითქმის მთელმა აპრილმა ისე გაიარა; რომ სულ სიციცვეები იყო. ეს მაისიც აგერ ნახევრდება და ერთის წვეთის წვეთი წვიმით არ დასველებულა აქაური ქვიანი მიწა. ვისაც პური და ქერი ჰქონდა დათესილი, უწვიმობისაგან გადიწვა. სიმინდიც ვისაც დაუთესია გამხმარ მიწაზე, ისიც ზოგან არც-კი ამოსულა და, რაც ამოვიდა, ისიც არ ხეირობს და იწვის.

მაინც აქაურებს არასდროს არ ჰქონიათ ი

საბოქაულოს ტყის მცველი ჩაიბარებსო, მაგრამ აქამდის მარტო ხმა იყო და სხვა არაფერი. ახლა-კი, ამ რამდენისამე დღის წინად, გამართლდა და ადგილობრივი ბოქაულიც, თითქმის შვიდი სამუხთაროს მუხთარი და წინა კაცები მიეგებნენ ამათ. სოფლელებს ძალიან ეშინოდათ ტყის მცველისა: ის რომ ჩაიბარებს, ტყეს ისე აღარ მოგვახმარს, როგორადაც დღემდის გვიხმარიაო; მაგრამ ჩაბარების შემდეგ სულ სხვა აზრზე დადგნენ ფუხრები. ტყის მცველმა ბ-ნმა აბაზაძემ [19] უთხრა გრძნობით სავსე სიტყვა საზოგადოებას და აუხსნა, რომ თქვენის საჭიროებისათვის, ისევე იხმარებთ ტყეს, როგორც გიხმარიაო დღემდის და დამშლელი არავინ გეყოლებათო. ამ სიტყვამ ღიდად ასიამოვნა ფუხრები და ყველა კმაყოფილი დაბრუნდა თავის სახლში, იმ იმედით, რომ თავის საჭიროებისათვის რასაც-კი მოსჭრიან არაფერი ხარჯი არ გამოერთმევათ.

ივ. ჯაიანი.

20. „ივერია“, № 117, 1894 წ., 4 ივნისი

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა), 18 მაისი. გუშინ, 17 მაისს, ერთი საცოდაობა მოხდა ჩვენს ხეობაში. მოგეხსენებათ, რომ კაპანდიდიდგან დაწყებული თითქმის ქ. ართვინამდის ბათუმ-ართვინის გზა-ტკეცილი სულ ჭოროხის ნაპირ-ნაპირ მიდის. 17 ამ თვისას არდანუჩის საბოქაულოდგან (ართვინის ოლქშია) მიჰყვანდათ ორი ტუსაღი, მეორე სოტნის ჯარის კაცებს ბათუმის საპყრობილეში; ტუსაღები ცოლ-ქმარნი ყოფილიყვნენ, ქმარს ხელებსა და ფეხებზე ბორკილი ჰქონდა და ცოლი-კი თოკით იყო შებოჭილი. ცოლი უფრო ხნიერი იქნებოდა, ვიდრე ქმარი. ბორჩხის ქვემოდ ხუთის ვერსს მანძილზედ, სოფ. კელასკურთან რომ მისულან, იქ, საცა დიდი კლდეა, რომელსაც ქვეშ ჭოროხი ჩაურბის, ამ ცოლს ქმრისთვის უკრამს ხელი, გადაუგდია ჭოროხში და თითონაც გადაჰყოლია თან. ორივენი დაიღუპნენ. კაცი სულ ვეღარსად ვეღარა ჰნახეს: დედა-კაცი — კი, როგორც ამბობენ, მეორე თუ მესამე დღეს უნახავთ ზღვის პირას, ცოლ-ქმართ ჰბრალდებოდათ თურმე თავი-

ანთ სტუმრის დახრჩობა და მერე დაწვა ცეცხლში. როგორც სჩანს საქმიდგან, ეს მკვლელობა ჩაუდენიათ იმისთვის, რომ ბლომად თურმე აგულებდნენ სტუმარს ფულს. და, რადგან მეტად ღარიბნი ყოფილან, გაუბედნიათ ასეთი საშინელი საქმე და მით დაუგმიათ აქაური ადათი და მტკიცე ჩვეულება სტუმართ-მოყვარეობისა. საკურველია, რომ ამის იქით მაინც ბეჯითად ადევნონ თვალყური ყარაულებმა და გადაარჩინონ ხოლმე ასეთს საცოდაობას. აქაურნი მაინც ძრიელ უფრთხიან სამართლის ხელში ჩავარდნას და ბრალდებული მართალიც რომ იყოს, იმასა სცდილობს სულ, რომ როგორმე თავი დაახწიოს ციხესა და სამართალს.

აქაურობა რომ სულ დაიაროთ, იმისთანა მიყრუებულსა და [illegible] ხეობას ვერ ჰნახავთ. როგორიც არის ბეღლევნის ხეობა. ამ ხეობას მიტსახელად ყარა-ღერეს (შავი ხეობაო) ეძახიან. [illegible] დეკემბერში ეს ხეობა დიდის ვაი-ვაგლახით დაიარეს პეტერბურგიდან მოსულებმა ი. ი. ბოლატოვმა და მისმა ამხანაგებმა, რომელთაც აზრად ჰქონდათ მადანი რამ ეპოვნათ. მართლაც, ბევრგან აღმოჩნდა ვერცხლის, სპილენძისა და ტყვიის მადანი, მაგრამ იმ ხანად, რადგან დიდი თოვლი იდგა იმ ხეობაში, არ შეეძლოთ ადგილობრივ გამოკვლევა, თუ რამდენად კარგის ღირსებისა იყო ის მადნები. ახლა, ამ სამის დღის წინად, ეს ამხანაგობა კიდევ ჩამოვიდა და დაიარეს ბეღლევნის ხეობა. ერთს ადგილას, სოფ. სულჯუნასთან მთაზე, გამოაჩინეს ვერცხლისა და ტყვიის მადანი, რომელსაც ბევრი თურმე ურევია წმინდა ლითონი. მეორე მადანი სოფ. მაშქოითთან გამოჩნდა ღელე გაღმა-გამოღმა თითქმის სამი ვერსის სიგრძეზე. ეს მადანი ტყვიის მადანია და იმისთანა ღირსებისაა თურმე, რომ ქარხანაში გადამდნარი ეგონება კაცს. ამხანაგობა ცდილობს ეს ადგილები ჩაიბაროს და, თუ რაიმე მიზეზმა არ შეუშალა, ამ ერთის თვის განმავლობაში კიდევაც აპირებენ გზებისა და ქარხნების დაკეთებას. დღეს ისინი ბათუმში წავიდნენ ტყის მცველის ამოსაყვანად, რომელმაც უნდა მოუზომოს ის ადგილები, სადაც სჩანან ამისთანა ძვირფასი მადნები. სწორედ მოგახსენოთ, დიდს სარგებლობას მოუტანს აქაურებს ამ ადგილებში ქარხნებისა და გზების გაკეთება, რასაც რამდენიმე ათასი მუშა ხალხი მოუნდება და ყველა ცოტად თუ ბევრად, შეიძენს თავის ოფლით ორიოდე გროშს. ღმერთმა ჰქნას, ეს საქმე მალე განხორ-

ციელებულიყოს და ჩვენის სამშობლოს სიმდიდრით ჩვენსავე მოძმეს ესარგებლოს.

[ი. ჯაიანი]

21. „ივერია", № 131, 1894 წ., 22 ივნისი

სოფ. ბორჩხა — (ჭოროხის ხეობა) 10 ივნისი

მართალი უნდა მოგახსენოთ, ახლანდელი ქ. ართვინის მცხოვრები სომხობა ძლიერ აღვირაშეებულნი არიან. სწორედ იმათი ამ დროებითი თავგასულობა აწ განსვენებული თეიმურის წინდელ მთავრობას აგონებს ადამიანს, როდესაც კარგად ჩაუკვირდება კაცი ამათ ჩადენილ საქმეებს, მაგრამ იმათში მარტო ერთ შემთხვევაზე მოვიყვანთ მკითხველების საყურადღებოდ. ამათი თავგასულობა სწორედ იმას გავს, როგორც ზოგიერთი გვარის აჭარის ბეგები სჩადიოდნენ ოსმალოს დროს. იმ დროს, რაც უნდა განათლებული და გაგებული ყაიმაყამი და მუდირი (ოლქის უფროსი და ბოქაული) გამოეგზავნათ აჭარაში სტამბოლიდგან, ერთი თვეც არ სჭირდა აჭარის მთებს, რომ ცემა-ტყეპით არ გაეგდოთ აჭარიდგან. მიზეზი ამისა ის იყო, რომ იმისი ადგილი რომელსამე ადგილობრივ ბეგს დაეჭირა. მართლაც უნდოდა მთავრობას თუ არა, იმათი სურვილი უნდა აესრულებინათ, რადგან სხვა ქვეყნიდგან მოსულები აქ ვერ სძლებდნენ იმათი ხრიკების მეოხებით და იმათ აყენებდნენ ორივე ხელობის აღმასრულებლად. სწორედ ამისთანა თავისუფლება უნდოდათ ეხლაც არტვინელებს. ამას წინად, როდესაც ართვინის ბოქაულის მოადგილე ნ. ტერ-ანტონოვი (ახალციხელია)[20] ასრულებდა თავის მოვალეობას ქალაქში, ამ დროს მიუცვივდნენ იქაური მცხოვრები სამი კაცი, წააქციეს თურმე და იმდენი სცემეს, სანამდის თვით მცემლები არ მოიღალნენ. მიზეზი ამ ცემა-ტყეპისა ისა ყოფილა, რომ ძალიან გულდასმით და ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას, და რასაკვირველია, ასე სვინდისიანად თავის საქმის შესრულება ბოქაულისა ბევრს არ ეპიტნავებოდა და ამის გამო ბევრი მტერიც გამოუჩნდებოდა. თქვენი მტერია, თუ კაი სამსახურისათვის მოსამსახურეებს ამისთანა ჯილდო აძლიეს, არა

შგონია, რომ ვინმემ, ისე შეასრულოს თავისი მოვალეობა, როგორც კანონი თხოულობს და ამ შემთხვევაში ხომ მოსამსახურე თავის სამსახურს ვერ შეირჩენს დიდხანს. თუმცა ეს ამბავი ამ ერთი კვირის წინათ მოხდა, მაგრამ საბრალო ბოქაული დღესაც ქვეშაგებშია და თითქმის მორჩენის იმედიც არა აქვთო.

როგორც ვიცით, ეს შემთხვევა პირველი არ არის იმათგან, და მაშასადამე, აუცილებელი საჭიროა აილაგმოს ამისთანა არა სასიამოვნო ადათი, რომ მეორედ არ მოხდეს. ამ საქმისა გამო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა კიდევაც გამოჰგზავნა თავისი საგანგებო. საქმეთა მოხელე და ის იძიებს ამ საქმეს.

4 ამ თვეს, საღამოს 6 საათზედ, სოფ. ორჯსა და ავანას შუა ტყეში, სამწუხაროდ საზარელი მკვლელობა მოხდა. მოჰკლეს დამპლის საზოგადოების მუხთარი (მამასახლისი) გენჯაღა ბოლქვაძე, 75 წლის მოხუცებული კაცი. თუმცა ოსმალოს დროს და სიყმაწვილეში გენჯაღას ბევრი ავკაცობა ჰქონდა ჩადენილი და მტრებიც ბლომად ჰყოლია, მაგრამ ისინი აგერ ათი წელიწადია რაც გადასახლებულან ოსმალოში და ამნაირათ აქამდის მოიტანა თავისი სიცოცხლე. ახლა, როდესაც თითქმის ღრმა მოხუცებულობაში შეაღწია ფეხი, მუხთარად დანიშნეს. და მართალი მოგახსენოთ შესანიშნავად ასრულებდა თავის მოვალეობას. ყველას და ყოველთვის ფუხრებს იმას უქადაგებდა, რომ სინდისიერად და სიმართლით იშრომეთ, თქვენს დედულ-მამულს მოუარეთ, და ამისთანა ქვეყანას დუნიაზე ვერ ნახავთო. თუ თქვენს სიმართლით იშრომებთ ჩვენის ქვეყნისთანა ადგილს, მთელი ოსმალოს სახელმწიფო რომ დაიარონ, ვერა ჰნახავთო, ბევრს აშლევინებდა ბინის მოშლასა და ოსმალეთში გარდახვეწას. ამას გარდა გენჯაღას, როგორც თავისი უფროსები, აგრედვე სხვებიც ბევრი იცნობდა მართალ კაცად, სოფელი დიდს პატივსა სცემდა, რადგან ყველას მამასავით ექცეოდა, უიმისოდ მთელ მურღულის ხეობაში ვერას გააკეთებდნენ, სინამდის ის არ მიეცოდა და თავისი დარიგებით არ შეაგონებდა ორივე მხარეს.

ოთხს ამ თვეს 6 საათზედ ის წამოსულა ს. კარტლიდგან, სადაც ყოფილა სხვადასხვა საქმეების გასარიგებლად მიწვეული თავისი მეზობლებისაგან და ზემო დასახლებულს ადგილას რომ მოაღწია თავისი მხლებელი ჯარის კაცით, რომელიც ჰყავდა სასამართლოდგან დანიშნული, თოფი ორჯერ უსროლიათ, ერთი მოხვედრია

ზურგში და გაუხვრეტია საცოდავი, მაგრამ ჭრილობის მიღების შემდეგ კიდევ გაუქცევია ცხენი სამას ფეხის ნაბიჯზედ და იქ კი ჩამოვარდნილა ცხენიდგან. იმისმა ამხანაგმა ჯარის კაცმა ვერაფერი წინაალმდეგობა გაუწია ავაზაკებს, რადგან იმისთანა ადგილას იყვნენ ჩასაღრეგბულნი. 2 საათს ოთხმე კიდევ იცოცხლა და როგორც იყო მისმა დამ მოასწრო, სანამ კიდევ შეეძლო თავისუფლად ლაპარაკი. დას უთხრა თურმე, რომ სხვის ნურვის ცოდვა ნუ გინდათ, ჩემი მკვლელი მეევლუდა მემეტალა ბაირამ ოღლის შვილიაო და მეორეც იმათი ლაზიო. მართლაც სასტიკის გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი გაფირალდნენ და არც აპირებენ სასამართლოში მისვლას, თუ ამ თავიდან ავაზაკობის წინაალმდეგ შესაფერი ზომა არ იქნა მიღებული, მაშინ ეჭვი არ არის, ამით არ დაბოლოვდება სისხლის ღვრა ორსავე მხარეს. მთელი ხეობა სწუხს ამის სიკვდილის გამო.

ივ. ჯაიანი.

22. „ივერია", № 151, 1894 წ., 10 ივლისი

კორესპონდენცია

ს. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). 7 ივლისი. ჯერჯერობით სანატრელი დარები დგას ამ ხეობის მცხოვრებთათვის. მართალია მაისმა ცოტა არ იყოს შეგვაწუხა უწვიმობით, მაგრამ ივნისმა კი ისახელა თავი და ფუხარას წალმა მოუბრუნა ბედი, ივნისში კვირა არ გასულა ისე, რომ ორი დღე მაინც არ ყოფილიყო კაი ლაზათიანი წვიმა, და ეს ხომ აქაურის ნიადაგისთვის აუცილებელი საკირო იყო, რომ ჭირნახული არ გადაეწვა გვალვას, ივნისის წყალობით, ვისაც კი ჰქონდა პური და ქერი დათესილი, ძლიერ კაკლიანი გამოდგა, ოღონდ ის კია, რომ ცოტასა სთესავენ. სიმინდსაც ჯერ კარგი პირი უჩანს, თუ გვალვამ არ შეუშალა ხელი და დროზედ მოასწრო წვიმამ. ამისთანა დარების შემწეობით იმედი გვაქვს, რომ სხვა დროსავით იქნება არ დაგვჭირდეს წელს ცხენ-ჯორებით ორი-სამი დღის სიშორიდგან ნასყიდის ჭირნახულის ზიდვა, თუთუნის ნერგებიც ამისთანა წვიმიანი დარების შემწეობით კარგად ხეირობს.

თუთუნისთვის ისა სჯობს, რომ წვიმამ უხშიროს, კვირაში ერთ-ხელ მაინც არის საჭირო წვიმა, რომ იხაროს ნამუშევარმა, მერე ერთად-ერთი ფუხრის გაჭირვებისაგან გამომყვანი ეს თუთუნია და კარგს მდგომარეობაშიც იქნებოდა ფუხარა, მთლად რომ იმასა რჩებოდეს და მონაწილე არ ჰყავდეს ამ თუთუნისა და რიგიან ფასადაც გაჰყიდდეს. მონაწილეს იმიტომ ვამბობთ, რომ თითქმის ნახევარზედ მეტი ამ თუთუნის ფასი ოსმალეთში მიაქვთ, რადგან იმის მომყვანნი იქიდგან გადმოსული ლაზები არიან, რომელნიც სანახევროდ აკეთებენ თუთუნს. აქაურობაში ძალიან ძვირად შეხვდებით იმისთანა მოსახლეს, რომელსაც 2-5-მდე ამისთანა მუშა არ ჰყავდეს და ამათ, სინამდის თუთუნს მუშაობა უნდა. ნაყიდის ჭირნახულით არ ჰკვებავდეს, აქაურები მეტად ზარმაცნი არიან, ლაზები აკეთებენ თუთუნს და აქაურები-კი დილიდგან საღამომდის ხახამშრალები შეჰყურებენ იმათს მუშაობას და ფეხი-ფეხზედ გადადებული პაპიროსის წევაში აღამებენ უქმად. ხანდის-ხან ისეც მოხდება ხოლმე, რომ რაც ლაზებისთვის საჭმელი უჭმევიათ, იმის ნახევარ ფასსაც ვერ აიღებენ თუთუნის გაყიდვიდგან, რადგან ან გვალვა სწვავს და ან ჩარჩი ნახევარ ფასად აცლის ფუხარას ხელიდგან. დარმაც რომ ხელი შეუწყოს და ბლომად მოუვიდეთ თუთუნი, ფუხარას მაინც არა რჩება რა, ვაჭარნი მიმინოსავით შესცქერიან, როდის აქვს საწყალს კაცს გაჭირვებაო, რომ იაფად ჩაიგდონ ხელში ამისთანა ვაი-ვაგლახით მოწეული ჭირნახული. იმ მუქთა ულაპიებმა კარგად იციან, თუ რა დროს ადგას თუთუნის პატრონს კარზედ გაჭირვება და სწორედ იმ დროს წამალსავით მოასწრებს ხოლმე, რომ ასიამოვნოს და სიკეთე დასდოს ჭირნახულის ნახევარ ფასად ყიდვით.

ბერე კაცი რომ დაუკვირდეს ამ ლაზების საქმეს, იმათ ამ ქვეყნისათვის ზარალის მეტი არა მოაქვთ-რა. ისინი რაკი აქ ბინადარნი არ არიან, არავითარ ქურდობასა და ავაზაკობას არ ერიდებიან. მაგალითებრ, შარშან ერთმა ლაზმა მოჰკლა ერთი აჭარელი ჯარისკაცი მურღულში. მოკვლის შემდეგ ორ საათში ოსმალეთში ამოჰყო თავი და დღესაც გარბის. წელსაც მოჰკლეს მუხთარ ბოლქვაძე. მკვლელთა შორის ერთი ლაზიც ერია, რომელმაც პირველსავით ოსმალეთისაკენ გაუტია. დიდად სასარგებლო და სამადლო საქმე

იქნებოდა სალხინისათვის, რომ აწი ამ ლაზების წინააღმდეგ რაიმე ღონე ეღონათ და აელაგმათ იმათი ცუდი საქციელი.

ვგონებ არ იქნება უადგილო, რომ ორიოდე სიტყვა აქაურ ქალების შესახებაც ითქვას. როგორც ქალები არიან მეშვები, [illegible] რომ კაცები იყვნენ, მაშინ ამათს ბედს ძაღლიც ვერ დაჭყეფდა და ეშვი არ არის, რომ ლაზების მონახევრეობა და რჩენა არ დასჭირდებოდათ და ის ფული, რომელსაც ისინი ეზიდებიან ოსმალეთში, ამათ დარჩებოდათ. მგონი ისეთი გულქვა არავინ იქნება, რომ აქაური ქალების მუშაობა ჰნახოს და არ შეიბრალოს. საწყალი ბაღნიანი ქალი დილიდგან საღამომდის ერთის ოყიანის თოხით ყანას თოხნის და ხან-და-ხან ხარებსაც მისდევს და ჰხნავს ყანას. საღამოზედ შინ რო დაბრუნდება, თავის ქმარ-შვილს ვახშამი უნდა დაუმზადოს, ნავახშმევს მეორე დღისთვის საჭმელი უნდა გაიკეთოს, დილა ადრიან თავის საჭმელი და ბაღნიანი აკვანი თითქმის ერთი საათის სავალ კორტოხის მთაზედ აიტანოს და იქ უნდა აწოვოს ბავშვს ძუძუ. ბევრგან შეხვდებით, რომ აკვანი ხეზედ აქვს ჩამოკიდებული, არაფერმა უკბინოს ბაღანასაო და თვითონ კი იქვე ახლო მუშაობს, რომ თუ ვინიცობაა ბავშვი ატირდეს, თავის დროზედ მიაწოდოს ძუძუ. ისიც კაი ღვთის წყალობა იქნებოდა ქალისათვის, რომ აკვნის ატანა-ჩამოტანაში მაინც მოხმარებოდა ქმარი თავის ცოლს, მაგრამ კაცები ამ მხრივაც არა ჰშველიან და [illegible]-გან-საღამომდის ან ყავახანებში აღამებენ, თუ არის მახლობლად სადმე და ან ჯამის შადრევანში მოიყრიან ხოლმე ათობითა და ოცობით თავს და ჰლაქლაქებენ დაზარმაცებულები.

ივ. ჯაიანი.

28. „ივერია", № 159, 1894 წ., 27 ივლისი

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა), 21 ივლისი. მგონი თითქმის ისეთი კუთხე არ მოიპოვება საქართველოში, საიდამაც იმის ჩივილ-კვნესას არ იწერებოდნენ, რომ გამოგვხრა და გამოგვწუწნა ჩარჩ-წურბელების ვალმა და იმათ ფულების სარგებელ ჯარიმამაო, იმათის ფულის სარგებელს ვერ ასდის საწყალის ხალხის ნაშრომ-ნა-

ოფლარი, სულ მათ მიაქთ სარგებელში, რაც კი მოეპოვება მუშაკ-საო: ღვინო, პური, ქერი და სიმინდი და ათასი სხვა ნაშრომიო. რადგან არც ჩვენი ხეობა არის ამისთანა ბედ-იღბალს მოკლებული, ამისთვის მინდა ორიოდ სიტყვა აქაური ჩარჩების შესახებაც ვსთქვა. არ მინდოდა-კი ამის შესახებ ენა დამეძრა და მეთქვა აქაური ამბავი სხვა უცნობ ჩარჩების საყურადღებოდ, რათა იმათ არ ვეგონოთ ჩვენს ბერსახელზედ შადა და ოსიანიც არ მიმბაძე-ბოდნენ ამათ, მაგრამ უამისობაც ვერ მოხერხდა, რადგან ადამია-ნის გული ვერ ითმენს არა სთქვას-რა, როდესაც ამისთანა უღმერ-თოებს ჭიდავს ღუსაბრის ლატრონო თავზე იმათის ათასნაირის ხრიკების მეოხებით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჩვენი ხეობა ნამდვილი ემშილების ცხვრის ღუმა გახლავთ, მეტადრე იმათთვის, ვისაც ნამუსიდგან ხე-ლი აუღია, არ ეშინიან ღმერთისა და უსინდისოდ სთლის ფუხრის სიმდიდრეს, თავის გაუმაძღარ ჯიბისთვის. იმას არ ებრალება ფუხ-რის ქალ-ბაღანა და იმათ სარჩოს თავისკენ ეზიდება ღღისით და ღამით. ჩარჩს-წურბელას ძალიან იშვიათად შეხვდებით იმისთანას, რომ ასი თუმნიდგან სამასი თუმნამდის არ ემართოს საწყალი სოფლისა, რასაკვირველია, უსარგებლოდ და უსასყიდლოდ. ეს ვა-ლი გახლამთ ასი-ორასი მანათის თუთუნის ფასი რამდენიმე მო-სახლისა, რომელიც ისეც თითქმის ნახევარ ფასად გამოუტყუებია ფუხრისათვის და ამ ნახევარ ფასსაც როდის მიიღებს, ვინ იცის. თუ როდისმე აიღებს, მისცემს იმასაც ნაწილ-ნაწილად და ფულა-დაც არა, ამ ვალში მიუზომენ ზოგან ჩითს, იმასაც დაშპალს ერთი-ორად და სულიც რომ ამოსდიოდეს, ერთი გროშის აღება ფულად არ შაუძლიანთ. აქაურ ქართველ მაჰმადიანთა შორის ასში ერთმა არ იცის, თუ სარგებელი და ჯარიმა არ არის, რადგან შარიათის ძალით დიდ ცოდვათ მიაჩნიათ ჯაიზის (სარგებლის) გამორთმევა. მაშასადამე, ჩარჩიდგან ის რა სარგებელს აიღებს, როდესაც თავ-ნის აღებაც არ შეუძლიან გაჭირვების დროს და ამ ნაირად აქაური ფუხარა არის ჩარჩის ბადეში უღმერთოდ გაბმული და რა ფერად და როდის ეღირსება დახსნას, არავინ იცის.

ნუ გეგონებათ, რომ აქაურ ჩარჩებს ნდობის მოპოვებისთვის დიდი თანხა სჭირდებოდეთ, სულაც არა, იმისთვის სამყოფია ხუ-თი თუმნის საწვრილმანო იქონიოს და ერთი ორი თვე სოფლიდ-

გან სოფელში ატაროს, ამითი გაიცნობენ მთელს სოფელს და ჰხდებიან თუჯარი (ვაჭარი). ამ ხუთის თუმნის საქონელს ხუთჯერ მეტსაც მოაგებინებს ამ ცოტა ხნის განმავლობაში და სოფლელებთანაც დიდს ნდობას იკეთებს თავისის მოხერხებულის სიტყვა-პასუხით. აი ერთი ამისთანა მაწანწალა ჩარჩის ამბავი მინდა აქ მოგახსენოთ და თქვენ ადვილად დაინახავთ, რომ ამათთვის არც ხარ-კამბეჩია საჭირო და არც თოხ-ნიჩაბი, ისე კეთდებიან ფუხრის ხარ-კამბეჩით და იმათის ოფლით მოგებულის ჭირნახულით. სწორედ ამ ნაირად გაკეთებული მეზობელი მყავს, რომელსაც დღეს თითქმის ათი-ათასის მანეთის შეძლება აქვს და რასაკვირველია, პირველ თუჯარადაც ითვლება მთელს ჭოროხის ხეობაში.

ეს ჩემი ნაცნობი თუჯარი სწორედ მეოთხე წელიწადია, რაც ართვინიდან ჩამოვიდა, იყიდა აქ 15 მანათად ერთი ბეღელი და დადგა სამგზის შესაყართან. მოუმატა კარს სიჭარბე, შიგ დააწყო გოგირდის წუმწუმა და დათვის ქონის საპონი (ართვინელი სოფლები აკეთებენ) და ამითი გაპმართა კარგი მშვენიერი ეაკრობა. ამ ასთანა მაღაზიის წყალობ თ ერ თი წლის შემდეგ დაიწყო თუთუნის ყიდვა და ერთს წელიწადში კაი ათას ფუთზე მეტი დასტყუა ნასევარ ფასად საწყალ სოფლელებს და ისიც ნასევარი ვალად. ეს თუთუნი წაიღო რუსეთში და კაი რიგიან ფასად გაასაღა, მოზიდა იქიდგან ჩითი, ნარმა და ერთი-ორად მიუზომა საწყალ ხალხს, თუთუნის ფასში. თუმცა ფუხარამ ბევრი შესტირა და შესჩივლა, არ გვინდა ჩითი ნარმაო, მაგრამ ჩარჩი ეუბნება, ფულად ვერ გავყიდე და რაც მე ამიღია, ის თქვენც უნდა მიიღოთო. მეორე და მესამე წელსაც კიდევ დასტყუა ფუხარას თუთუნი და დღეს ამ ვაჭბატონს კაი თქვენი მოწონებული ოსსართულიანი ორი სახლი უდგა სოფ. ბორჩხას და ხუთას მანათამდის წლიურ ქირას იღებს. ამას გარდა, 189 მანათიან ლირად სახლ-კარი იყიდა ართვინში, იმ ბედნიერ ბეღლის მეგობერ. კაი ლაზათიანი ქვა აგურის მაღაზია გამოჭიმა და საქონლით გაამსო და სცხოვრობს მეფესავით. თუმცა ორას თუმანზედ მეტი სოფლელებისა ჰმართებს, მაგრამ ის გირაოდა აქვს, და არ აძლევს, რადგან ეშინიან, რომ მისცეს, მერე იმას არ მიჰყიდიან თუთუნს და ვინც რომ ახალ თუთუნს მიუწონავს იმას ძველს ვალში, ზოგს ფულს აძლევს და ზოგსაც ჩით-ნარმას. აი, ამნაირად საწყალი ხალხი ჰყავს თავისს ბაღეში გაბმული და ჯერ არავინ არა

სჩანს, რომ ფუხარა განათავისუფლოს იმისის ბადიდგან. უჩივლონ, ამისიც ეშინიანთ, უარს გვეტყვისო, რადგან არც სენეთი აქვთ და არც სეჯეთი, ურომლისოდაც ეხლანდელ დროში საჩივარი წყლის ნაყვა იქნება.

ივ. ჯაიანი.

24. „ივერია", № 170, 1904 წ., 21 აგვისტო

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). 11 აგვისტო. როგორც ამ ხეობისა, ზედა და ქვედა აჭარასა და ართვინის ოლქში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს, კაცმა რომ სთქვას, აქამდისაც არა ჰქონდათ გული აქ დარჩენისა და ცხოვრებისა სხვა-და-სხვა შიშისა გამო და ამ ბოლო დროს ხომ მთავრობის განკარგულებამ ბოლო მოუღო ამათ აქ დარჩენის იმედს. მიზეზი ამათის აქაურობაზე გულის აყრისა, როგორც ვატყობთ და გვესმის, ბათუმისა და ართვინის ოლქებში ტყის მცველების დანიშვნა უნდა იყოს, რომელსაც აგერ ორი თვეა, რაც ადგილობრივი ადმინისტრაცია აბარებს ტყესა და სხვა მამულებს. ამ რამდენისამე წლის წინად, მაშინ როდესაც მაჰმადიანებს სამხედრო ბეგარის ნაცვლად ფული შეაწერეს, ამათ ეგონათ, ცოტახანს უკან ფულს აღარ გამოგვართმევენო, ჯარის კაცებს გაიყვანენო. თუმცა ჯერაც არავის გაუყვანია აქედგან ვინმე ჯარში და არც საჭირო არის ამათი ჯარის კაცები, მაგრამ ესენი მაინც შეაშინა იმ დროებით. ახლა კი სჯერათ, რომ აქედან ჯარისკაცებს არ გაიყვანენ და ბევრმა-კი ამისი შიშით დასტოვა თავისი სამშობლო და გადაიხვეწა ოსმალეთში. ამ ნაირად სოფლელის დაფრთხობის მიზეზი, როგორც მოგეხსენებათ, ხოჯა-მოლები იყვნენ, ურომლისოდაც აქ არაფერი კეთდება და სოფლებში მათის ქადაგების წყალობით მართლაც ბევრმა ფუხარამ დაანება თავი თავისს დედულ-მამულს და გადასახლდა ოსმალეთში, სადაც თითქმის ნახევარი მათგანი შიმშილ სიცივემ იმსხვერპლა. უსათუოდ, თუ სადმე სამართალია, იმათი ცოდვა უნდა ეკითხოს ხოჯა-მო-

ლებს, რომელთა მეოხებით ამდენი ქალ-ბალანა გადაიკარგა ცავისის სამშობლო ქვეყნიდგან.

ახლა აქაურ ფუხრებს ეშინიანთ ტყის მცველებისა, ვაი თუ ისე ალარ მოგვცენ ნება ტყის ხმარებისა, როგორც გვიხმარია დღემდისო და ტყე კი ჩვენთვის თითქმის ზამთრობით საგებიც არის და სახურავიცო, რადგან აქეთკენ დიდი ზამთარი და ყინვები იცის. მართლაც, თუ ფუხარას მთელი ღამე ცეცხლი არ უნთია ბუხარში, მარტო ქვეშაგების ამარა ვერ დარჩება, რაც უნდა ბევრი ქვეშაგებიცა ჰქონდეს, თუმცა ბლომად ქვეშაგებიც არც ერთს არ მოეპოვება, რომ უცეცხლოდ იოლად წავიდეს. თუმცა ტყის მცველებიც, სადაც კი მიდიან სოფლებში, ყველას იმას უქადაგებენ, რომ თქვენ ნუ გეშინიანთ, თქვენთვის რაც-კი საჭირო არის, მთავრობისაგანაც ნაბრძანები გვაქვს. არ დაგიშალოსო ღა როგორც დღემდის ვიხმარიათ, ისე იხმარებთ ტყესაო, მაგრამ ტყის მცველები ვის დააჭერებენ, როდესაც ამ მოლა-ხოჯებს წინა კაცებიც მიემხრნენ ფუხარის საუბედუროდ. ეს ალა ეფენდები თითით უჩვენებენ ხოლმე არდაუნის ოლქში ერთი ჭვირთს ნეკერს ვერ მოსჭრის ფუხარა, სანამ საბელმწიფო ხარჯს არ გადაიხდისო და თქვენც ამისთანა დღე დაგადგებათო ხვალ და ზეგაო. აქაური წინა კაცები თუ მოინდომებენ. ამათ შეუძლიანთ საწყალი ხალხი გაარუმოო და შეაგონონ, რომ არსად არ იჩივლონ ამის გამო, რადგანაც ამისთანა უსახელო საჩივარს თითქმის ყურადღებას არავინ მიაქცევს. მაგრამ მაგარიც ის არის, და სამწუხაროც, რომ ესენი უფრო აქეზებენ ფუხარას და ეუბნებიან, ჩვენ მოგვეცით სამგზავრო ფული, წავალთ ქუთაისში, ტფილისში და იქიდგან მოვიტანთ ბრძანებას, რომ ტყის მცველები არ იყვენო. რასაკვირველია, საწყალი სოფლელებიც იმათ უჯერებენ და უარს ვერ ეტყვიან თავიანთ წინა კაცებს, მართალი ჰგონიათ იმათი დაპირება, კრეფენ მოსახლეზედ 40-50 მანათამდის საგზაო ფულს, ირჩევენ თავიანთ საზოგადოებაში ერთს წინა კაცს, აძლევენ ამ ფულს და ჰგზავნიან ქუთაის-ტფილისში. ისინიც სიამოვნებით იღებენ ამ კარგს და სასარგებლო მოვალეობას, დიდის სიხარულით დადიან ამ ქალაქებში სხვისის ნაშრომ-ნაოფლით და ორიოდე გროშიც ჯიბეში რჩებათ. გააკეთებენ რასმეს თუ არა ფუხრის სასარგებლოდ, ამისთვის ბევრად თავს არ იწუხებენ. როგორც გავიგეთ, რამდენსამე საზოგადოებას კიდეც შეუწევიათ საგზაო ფულე-

ბი და გაუგზავნიათ ვექილები უმაღლეს მთავრობასთან, ტყის მცვე-ლი არ გვინდაო. ბევრჯერ ყოფილა იმისთანა შემთხვევა აქაურობა-ში, რომ ამისთანა ვექილებს ბლომად აუღიათ ფუხრისაგან ფული, არაფერი გაუკეთებიათ და მერე ცემა-ტყეპით დამთავრებულა საქმე. საფიქრებელია, რომ იმისთანა არა სასიამოვნო ცემა-ტყეპის მოწმენ ახლაც გავხდებით, თუ რომ საწყალი ხალხი კიდევ მოატყეპეს.

უსათუოდ ამისთანა წინა-კაცების მოწყალებას უნდა მიეწეროს, რომ თითქმის დაცარიელებულია ეს ქვეყანა და მესამედი ნაწილი არ დარჩენილა იმისი, რაც ოსმალეთის დროს ყოფილა აქ. როდის იქნება ის ბედნიერი დღე ხალხისთვის, რომ ამისთანა ვექილებს თავიდგან მოიშორებდნენ. იქნება მაშინ დაწყნარდეს და გულ-და-დებით მოუაროს თავისს დედულ-მამულს.

საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვა ქალაქ ისმითის (ოსმალეთ-შია) შესახებაც ვსთქვათ. ეს ამბავი გვიამბო ამ ერთის კვირის წინათ იქიდგან მოსულმა, რომელიც გადასახლებულია აქედგან ამ ექვსის წლის წინად. გავიგე, რომ ისმითიდგან მოსულა ერთი მუჰა-ჯირი თავისის ხისიმებისა და მეზობლების სანახავად (უფრო თითო და ორ-ორი ოყა ჭირნახულის მოსაკრებად). გავგზავნე კაცი და მო-ვაყვანინე, რადგან მინდოდა ისმითის მუჰაჯირების ამბავი მეკითხნა, უფრო იმიტომ, რომ ვიცოდი ამ ჩვენის ხეობის მუჰაჯირები იქ იყვ-ნენ დასახლებულნი. სალამის მიცემისა და ართმევის შემდეგ, ჩემს სტუმარს მოართვეს ფინჯანით ყავა. ჩვეულებისამებრ უშაქროდ. ჯერ ვკითხე სტუმარს, სტამბოლის მიწის-ძვრისა და ზარალის ამბავი, მერე მოვყევით მუსაიფს მუჰაჯირების შესახებ. მითხრა, რომ მუ-ჰაჯირები ისმითში უფრო მდიდრად არიან, ვიდრე ღარიბადაო, მაგრამ იმის ლაპარაკიდან სჩანს, რომ მატყუებდა. მაგრამ სასია-მოვნოდ მხოლოდ ისღა მქონდა, იმისთანა წმინდა ქართულის ენით მელაპარაკებოდა ამ ამბავს, რომ ადამიანს გაკვირვებაში მოიყვან-და და ვერ შეამჩნევდით, თუ ისმითიდგან იყო მოსული. მერე ვკით-ხე რათ ეძახიან ისმითს მეტ სახელად გიაურ-ისმითს მეთქი. მიპა-სუხა, იმისთვის რომ აქედგან გადასული მუჰაჯირები იქ დასახლდ-ნენ და იმათი შინაური ენა ქართული იყო; ამის გამო იქაურმა თურქებმა ჩვენ ხალხს გიაური დაარქვესო, მას შემდეგ ისმითსაც დაერქვა მეტ სახელად გიაური-ისმითიო. თუმცა ჩვენებს იქაურ

თურქებთან ბევრჯერ ჰქონიათ ამის გამო ჩხუბი და ცემა-ტყეპა, მაგრამ მაინც ვერ შევიძელით იმათგან გიაურის ძახილის თავიდგან აშორებაო. ახლა ცოტა მოგვეჩვენენ, თორემ გზაზე ისე ვერ გავიგლიდით, რომ არ ეთქვათ თურქების ბაღნებს: გიაურები მოდიან, დაიმალეთო. დამაჯერა და დასაჯერებელიც არის, რომ რაც აქედგან გადასახლებულან მუჰაჯირები, მას აქეთა ისმითს დარქმევია მეტი სახელად გიაურ-ისმითი და ესენიც იმდენად მიჩვეულან, რომ ძალიან ხშირად შეხვდებით და გაიგონებთ გიაურ-ისმითის სახელს. აქედგან ადვილად მიხვდებით, საწყალი ხალხი რა საცოდაობაშია ჩავარდნილი, ამ აღა-ეფენდების გადამკიდე, რომელნიც იქ ურჩევენ გადასახლებას, სადაც თითქმის ნახევარი შიმშილით იხოცება და, ამას გარდა ყოველს ნაბიჯზედ გიაურებს ეძახიან.

ივ. ჯაიანი

25. „ივერია", № 219, 1894 წ., 15 ოქტომბერი

გურია და ზოგიერთი ძველი და ახალი ჩვეულება გურულებისა

სოფ. ბახვს არის ახლად დამთავრებული მშვენიერი და დიდი ეკლესია, ღვთისმშობლის სახელობაზე აგებული. ამ ეკლესიის დღეობა მოდის 8 სექტემბერს. ამ ეკლესიის აგებაში, როგორც სხვა მრავლად საქველ-მოქმედო საქმეში, დიდი ამაგი მიუძღვის ყოვლად სამღვდელო გაბრიელს, რადგანაც თვითონ ამ სოფლის შვილი ბრძანდება. ძნელად რომ საქართველოში ამისთანა ახალი ნაშენი ეკლესია მოიპოვებოდეს სადმე. თუმცა დღეობის წინა დღეებში წვიმიანი დარები იყო და ძალიან ცელი შეუშალა შორიდან მოსულელ მლოცველებს, მაინც რაკი იმ დღეს კაი დარი იყო, დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, ასე რომ ეკლესია და ეკლესიის ეზო სავსე იყო ხალხით. ამ ეკლესიის დღეობის წინა ღამეს იციან ღამის-თევა, დიდ-ძალი კაცი და ქალი იყრის თავს ღამის სათევლად ყოველი კუთხიდგან, მაგრამ, როგორც მითხრეს, ქალები თითქმის

ნახევარზედ მეტი ფეხშიშველები მოდიან 30-40 ვერსტის მანძილიდგან შესაწირავის მოსართმევად და სალოცავად. როგორც ეტყობა, ამ სიშორიდგან ფეხშიშველა ქალების მოსვლის მიზეზი უნდა იყვნენ მკითხავ-მარჩიელები, რომელნიც თურმე კარვად ბლომად მოიპოვებიან გურიაში და დიდი გავლენაცა აქვთ მდაბიო ხალხზედ; იმათის მეოსებით უნდა იყოს, რომ იმ სიშორიდგან თითქმის ფეხებ გასისხლიანებული მოდიან ღამის სათევად, რათა თავის წესი და რიგი შეასრულონ მარჩიელის დარიგებით.

როგორც ყველგან მიღებულია, მეტადრე ჩვენ დასავლეთ საქართველოში, ამ დღეობაზედ დიდი სტუმრობა და ხარჯი იციან ბახველებმა. იმათი ნათესავ ნაცნობები იმ დღეს ყოველ მხრიდგან იქ იყრიან თავს, რადგან იციან, რომ თუ იმ დღეს იქ არ დაესწრო, დაემდურება თავისი ნათესავი. რაც უნდა ღარიბი იყოს. მაინც ეს დღეობა ოციდგან დაწყებული ას მანათამდის უჯდება მოსახლეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე ამ დღეობას ვიყავი მიწვეული აზ. მ. და მისი ძმა პ. მახარაძეებისას, სადაც ას სულზე მეტი იქნებოდა დიდი თე პატარა და, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 150 მანეთზედ ძეტი ხარჯი მოუვიდოდა. იმ დღეს ხარჯსაც რომ თავი დავანებოთ, ამტენის სტუმრის სამსახურს დიდი ჯაფა და ტანჯვა უნდება.

მეორე დღეობაზედ-კი არა. უბრალო დროსაც რომ ესტუმროთ გურულს კაცს, თუ იმის სახლიდგან კარგა ლაზათიანად დაზარხოშებული არ გაისტუმრა, სახლის პატრონის გალანძღვად ითვლება. რადგან ეს დღეობა დიდს ზარალს აძლევს ბახველებს. მის გამო როგორც მითხრეს სარწმუნო კაცებმა, ქიქოძეებს [21] ამ დღეობის მოსპობა უნდოდათ, რომ სოფლელებისათვის აეშორებინათ ამდენი ხარჯი, მაგრამ ამ სოფლელთა რამდენისამე ყრილობის შემდეგ ეარი სთქვეს ამ დღეობის გაუქმებაზედ. მართლაც. დიდ სარგებლობას მოუტანდა თავიდგან აეშორებინათ ეს დღეობა, მაგრამ რადგანაც ყველა ამის თანახმა არ გახდა, ამის გამო თანდათან უმატა სტუმრობასაც და რასაკვირველია ხარჯსაც.

თითქმის მთელი ზაფხული შეკვეთილისა და ქობულეთის ზღვის პირები გავსებულია ზღვაში მობანავე ქალებით, რომელთაც ორი და ზოგს სამი ქორფა ბაღნებიც-კი დაუტოვებიათ ქმრებისათვის და ვითომ ავადმყოფები დროებას ატარებენ ზღვის ნაპირას. რაღაც ორი გროში აუღიათ აბრეშუმის ფასი და იმასაც ჰფლანგავენ და

მოდიან შინ ხელცარიელები. მართალია, ზოგიერთ ქალს ექიმები არც-კი უნახავთ და ერთი მეორის მიბაძვით, მოუხდებათ თუ აწყენთ, იმას აღარ კითხულობენ. გარდა იმისა, რომ ქობულეთში რკინის ვზითაც-კი ბევრნი მოდიან, იმისთანა დღე არ იქნება, რომ სამი და ოთხი ურემი სავსე ქალები არ ნახოთ როგორც აქ, ისე შეკვეთილში. თუმცა ზოგიერთნი სამის და ოთხის ბანაობის შემდეგ მართლაც კარგა ხდებიან, მაგრამ სირცხვილად მიაჩნიათ, რომ ერთი კვირა მაინც არ გაატარონ ბანაობასა და ცეკვა-თამაშში. ამისთანა ზაფხულის დღეებში, სადაც ერთი მუშა კაცი მანათი ლირს და რადგანაც მთელის წლის სარჩოა მოსაკრეფი, იქ ბაღნების მოვლას უნდება და ჭირნახული-კი ისე უპატრონოდ არის მიტოვებული და მომვლელი არა ჰყავს.

ამის გარდა, შარშან და წელსაც დიდი ძალი ხალხი მიდის „ბახმაროს“ მთაზედ, სადაც კარგა ბლომად გაუკეთებიათ საზაფხულო სადგომები. როგორც ამბობენ, ეს მთა ზღვაზედ უარესად არ უხდება ქალებს და ბევრს მათგანს ზღვისთვის თავი დაუნებებია და ახლა იქითკენ უფრო მიეშურებიან. საეკვო არ არის, რომ მთის ჰაერი უფრო ღონიერია და დიდათაც არგებს ადამიანს ზაფხულობით იქ ცხოვრება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ზღვაზედ უფრო მომეტებული საზიანო არ იქნას ლოღლელისათვის, იქ უქმად დიდი ღამის გატარება. მოგეცათ ლხენა ჩვენი ქალებიც რომ იმისთანა ჯაფას იკისრებდნენ და გასწევდნენ როგორც აჭარლების ქალები, მაშინ საზიანო კი არა, როგორც იტყვიან ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა. აჭარელი ქალები იალაღში, როგორც მაისი დადგება და მთები აიწმინდება თოვლისგან, მაშინვე საქონელს მისდევს და თითქმის ოქტომბრის დამლევამდის იქა სცხოვრობს და აკეთებს ერბო-კარაქს და ყველს. კაცმა თუ თვეში ერთხელ მაინც არის მიაკითხა, ისიც დიდი წყალობაა, თუ არადა ერთის ბავშვის შემწეობით თითოეული მათგანი ზაფხულობით რამდენისამე თუმნის ერბო-ყველს აკეთებს და თითქმის ქმარი შვილების ხარჯსა, სახელმწიფო გადასახადსა და ათას ნაირ სხვა გაჭირვებას ამით ისტუმრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ საქონლის მოშენებას არ მივსდევთ და თუნდა ვიყოლიოთ კიდეც, მაინც ჩვენი „ხანუმები“ იმისს მოვლისთვის თავს არ შეიწუხებენ და სირცხვილადაც მიაჩნიათ ხოლმე საქონლის მოვლა და ერბო-ყველის გაკეთება.

ეხლა მაინც იქნება ღმერთმა მოგვხედოსო, რადგან აქარელი და გურული ქალები ზაფხულობით ერთად იყრიან თავს, ერთს იმავე მთაზედ დადიან და, ვინ იცის, იქნება იმათგან საქონლის მოვლა და ერბო-ყველის გაკეთება ისწავლონ. საქონლის მოშენებასაც ხელს მოუწყობს ის უხვი მთა და ბარის საბალახოები, რომელიც გურიას აქვს და თითქმის სხვა ქვეყნის ხალხი იმათს საბალახოებს შეჰნატრის. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს ქალებსაც მიებაძოთ აქარელ ქალებისათვის და ამითი ოდნავ მაინც დახმარებოდნენ თავიანთ ქმრებს, რომელთაც ათასნაირს გარდასახადისა და გაჭირვებისაგან თავი მაღლა ვერ აუწევიათ. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ საქმეს ერთმა მოჰკიდოს ხელი და მერე სხვებიც იმას მიჰბაძავენ ისევე როგორც ბანაობა მიჰბაძეს.

ივ. ჯ ა ი ა ნ ი.

26. „ივერია", № 256, 1894 წ., დეკემბრის თვე, გვ. 1

„სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). ოქტომბერმა და ნოემბერმა მშვენიერი დარებით გაიარა, მაგრამ ამით ფუხარას არა ეშველა, რადგან მოსავალი ძალიან მცირე იყო. ერთ-ერთ სარჩოდ თუთუნილა მიაჩნდათ, მაგრამ ჭირნახულის უქონლობის გამო ესეც ჩალის ფასად წაიღეს ჩარჩებმა. მხოლოდ ვაშლის გაყიდვით მოიდგა სული აქაურმა ხალხმა. აქ კარგა ბლომად მოვიდა წელს ვაშლი, რომელიც ფუთი ათ შაურად, სამ აბაზად იყიდება. ისეთი მოსახლე არ არის, რომ ას ფუთამდე წაინც არ მოსვლოდეს ვაშლი, რომელსაც აღა-ეფენდები ჰყიდულობენ და ფულს უჯანჭლოდ აძლევენ. კარგი იქნებოდა ფუხარისათვის, რომ თუთუნიც იმათ ეყიდათ და ჩარჩებისათვის არ ჩაეგდოთ ხელში".

[ი. ჯ ა ი ა ნ ი]

27. „ივერია“, № 269, 1894 წ., 20 დეკემბერი

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა), 24 ნოემბერი. ჩვენში საჭირ-ბოროტო საგანი გზა არის, რომლის გამოისობითაც ხალხი დიდს გაჭირვებაშია. თუ წინად, ვიდრე ამ გზას შეკეთებას დაეწყებდნენ, იგი მგზავრობისათვის უხერხული იყო, ეხლა როდესაც ვითომდა სცდილობენ მის გაფართოებასა და შესწორებას, უფრო უარეს ყოფაში ჩავარდა, ოღრო-ჩოღრო გახდა და ალაგ-ალაგ ტალახი იმ ზომამდეა, რომ ცხენი ყურებამდე ეფლება. მაშინ როდესაც ამ გზის მოიჯარადრე (ურიაა) ათას თუმნობით იღებს გზის შესაკეთებელ ფასს, ხალხი იძულებულია ასეთის გაჭირვებით იმოგზაუროს. წარმოიდგინეთ იქამდის უხერხულია ეს გზა, რომ ყოველთვის ფოსტის გავლას ერთი ვაი-უშველებელი მოსდევს ხოლმე, რადგანაც ცხენებს, თუმცა მცირე ტვირთიც მიაქვთ, მაინც ვერ დაუღწევიათ თავი გზაში ასველილ ტალახისაგან. მე მგონია დრო არის მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და იჯარადარს თავისი მოვალეობა შეასრულებინოს. ჩვენ უტყუარის წყაროდგან ვიცით, რომ გზის შეკეთებისათვის იჯარის მესამედიც არ იხარჯება და საქმეს ისე უბრალოდ აფუჩეჩებენ იაფად დაქერილის მუშებით, რომელნიც, ფასის სიმცირის გამო, უგულოდ ეკიდებიან თავის მოვალეობას. ადგილობრივი მცხოვრებთაგანი არავინ მიდის სამუშაოდ, რადგანაც 20—30 კაპიკად დღეში თავის ძალ-ღონის შელევას ძნელად თუ იკისრებს კაცი; ამის გამო გზაზედ განსაკუთრებით ოსმალოდგან მოსული თათრები და სომხები ჰმუშაობენ და იმათთვის რა აინტერესებს მოსატანია ხალხის შევიწროება უგზოობის გამო? იჯარადარიც ყურადღებას არ აქცევს, რადგანაც იმის ინტერესს მხოლოდ ფული შეადგენს!.. არ ვიცი როდემდის გაგრძელდება ასეთი ყოფა? ზამთარი დგება და, მგონია, გზას თუ ეხლავე არა ეუშველეთ-რა, ფოსტის მოძრაობა მალე შესწყდება.

ი. ჯ. [ივანე ჯაიანი]

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა)

არა უშველა-რა, ბოლო არ მოეღო სოფლელის დაშოშმინება დაწყნარებას იმის შესახებ, რომ ტყის მცველები არ გვჭირია და ტყე როგორც აქამდე გვიხმარია, კიდევ ისე გვახმარეთო. თუმცა ამ საქმის გამო რამდენჯერმე გაჰგზავნეს ამათ თავიანთი დეპუტაციები, სადაც ჯერ იყო და კარგი ძალი ფულებიც მიიღეს ფუხრებიდგან მოთავე კაცებმა, მაგრამ, როგორცა სჩანს, ამათი საჩივარი არ დააკმაყოფილეს, ტყის მცველები ისევ ისე ბრძანებისადაგვარად ასრულებენ თავიანთს მოვალეობას. როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ამ დეპუტაციებმა რამდენიმე ასი მანეთი მიიღეს ფუხრებიდგან ამ დავის მოგებისთვის და ბევრი იარეს ქუთაისსა და ტფილისს შუა, მაგრამ მაინც არა უშველა-რა. ყველა, ვისაც კი გული შესტკივა ამათზედ, დიდი თუ პატარა ურჩევს საწყალს ხალხს, რომ ამ დავას თავი დაანებონ. მაგრამ როგორც ეტყვით ამას, ისინი, ე. ი. დეპუტაციები, მაშინვე არდაგნის ოლქზე მიუთითებენ, სადაც იმისთანა ფუხარა არ მოიპოვება თურმე, რომ თითოეულს ასიდგან ხუთას მანათამდე ოქმი არ ჰქონდეს ტყის მცველისაგან შედგენილი. ასე, რომ ეს მესამეთაა, ფუხრებიდგან ფულები იკრიბება დეპუტაციისაგან და ძლივს ამ იორი კვირის წინად მოათავეს მოკრება ფულებისა, ახლა, როგორც გავიგეთ, ეს დეპუტაციები ქუთაისში არიან თავმოყრილი და იქიდგან პეტერბურგს აპირებენ წასვლას.

როდესაც ეს დეპუტაციები გამოისტუმრეს, აჭარიდგან თითქმის ერთის დღის სავალზედ გააცილეს სოფლელებმა და ეხვეწებოდნენ, საქმისთვის როგორმე ბოლო მოეღოთ. როგორც გავიგე სანდო წყაროდგან, თითოეულ დეპუტატს 300—400 მანათამდის აქვს მიღებული ამ მოგზაურობისათვის. ახლა არ აძლევენ თურმე იმათ პეტერბურგში წასვლის ნებას და ჰპირდებიან, აქვე გაურიგონ ფუხარას საქმე. სწორედ მოგახსენოთ დიდი სამადლო საქმე იქნება, რომ აქვე მოეღოს ბოლო ამ დავას და ამითი ეღირსოს ფუხარას, რომ დეპუტაციისათვის მისაცემი ფული თავიდგან აიცილოს, ამათში

იმისთანა საწყლებიც ურევიან, რომელთაც სახელმწიფო ხარჯის გადახდის შეძლებაც არა აქვს და ამ გაუთავებელისა და ბოლო მოუღებელის საჩივრისთვის ფულის გაღებამ ხომ წელში მოღუნა საწყალი ხალხი. ვისაც არ უყურებია ამ ფულების მოკრების დროს, ის არ დაიჯერებს, თუ რა სასტიკად აგროვებენ ამ ფულებს. ეს ყველა ჰხდება ღამით და ჩუმად. ვინც თავის დროზედ ვერ მისცემს ამ ფულებს, იმას სჯულისა და ქვეყნის მოღალატეთ ჰსთვლიან. უნდა ჩაბაროს ხსენებული ფული საქმის მოთავეთ. როგორ სიმარჯვესაც ამ ფულების მოკრების დროს იჩენენ, თუ საქმის გაეთებაშიაც ასეთი სიმარჯვე გამოიჩინეს, მაშინ ფუხრის ბეღს ძაღლი არ დაჰყეფს.

ამას წინად აქ გარდაიცვალა ერთ-ერთი პატ[illegible] [illegible]ბული კაცი იბრაიმ-აღა კერაშიძე. ცხონებულს იბრაიმ კერაშიძეს დიდი სამსახური მიუძღოდა ჩვენი ჯარების წინაშე. როდესაც პირველად აქ ამოდიოდა გურიის დრუჟინა სინორის დასაკავებლად, მთელი ჭანეთი აჯანყებული იყო და ჭოროხის გაღმა არ უშვებდნენ ჩვენს ჯარს, რადგან ლაზებს ჭოროხი ეგონათ სინორი. ამასთან, ლაზებს ჰქონდათ განდობილი ბორჩხელ მენავეებისათვის, რომ ვინც რუსის ჯარს ჭოროხის გაღმა გაიყვანდა, იმას მოკვლას ჰპირღებოდნენ და სახლის დაწვასაც. მაგრამ იბრაიმ კერაშიძემ, მიუხედავად ამისა, ერთ ღამეს მთელი გურიის დრუჟინა თავისის ნავით გაიყვანა და ამითი რამდენიმე ასი კაცი დაიხსნა ჭოროხისა და თოფის პირიდგან. როდესაც გაიგეს ჭანებმა, რუსის ჯარი იბრაიმს გამოუყვანიაო, ამისთანა ღალატისათვის აკლებას უპირებდნენ, მაგრამ რა-კი ჭოროხს გაღმა ჯარი გავიდა, ეს აჯანყებული ჭანებიც მალე დაფანტეს და ამითი დაიხსნეს იბრაიმი. იბრაიმი დიდი მოყვარული იყო ქართველებისა: აქ რომ დაენახა ქართველი კაცი, დიდი იყო, თუ პატარა, ათი თუ ოცი, ყველას მასთან უნდოდა გაეთია ღამე და დიდად ნასიამოვნებს ისტუმრებდა თავისს საყვარელს სტუმრებს. მასთან კერაშიძე უპირველეს მენავედ (რეიზად) ითვლებოდა ჭოროხის ხეობაში: იმას რომ ბადალი არ ჰყავდა, ეს იმითი დამტკიცდა, რომ შარშან ართვინიდან ნავით რომ წამობრძანდა მემკვიდრე ცესარევიჩი გიორგი ალექსანდრეს ძე, იბრაიმ იყო არჩეული იმათთვის, იმის ნავით წაბრძანდა აჭარის წყალამდის, რომლისთვისაც დიდი მადლობა მიიღო ადგილობრივის ადმინისტრაციი-

საგან. სწორედ მოგახსენოთ დიდს დასაკლისად უნდა ჩაითვალოს იმის ნაცნობ ქართველებისათვის ამისთანა კეთილის ქართველ-მაჰმადიანის დაკარგვა.

[ი. ჯაიანი]

20. „ივერია", № 51, 1895 წ., 8 მარტი

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა), 3 მარტი. როგორც მოეხსენება „ივერიის" მკითხველს საზოგადოებას, ს. ბორჩხა მდებარეობს ბათუმიდგან 45 ვერსის მანძილზედ. თვითონ ბორჩხა კლდიანს გორაზეა ჭოროხის ნაპირას წამომართული და მიწის მოსავალი სამყოფი აქ არავის მოსდის, რადგან ქვიანი ნიადაგია: ქირნახული ზაფხულის სიცხეებისაგან იწვის. მიუხედავად ამისა, მთელს ჭოროხის ხეობაში ბორჩხა უფრო შეძლებული და მდიდარ სოფლად ითვლება; ეს ასეც უნდა იყოს, რადგან აქ აკეთებენ თიხის ჭურჭელს, რომელსაც კარგ ფასად ჰყიდიან ბათუმში და ხან და ხან ზაფხულობით ტრაპიზონშიაც-კი მიაქვთ ნავებით (როდესაც ზღვაზე კარგი ამინდია). ოსმალეთის მფლობელობის დროს ბორჩხაში 137 კომლი მოსახლე ითვლებოდა თურმე, დღეს კი 22 მოსახლეა, დანარჩენი ოსმალეთში გადასულა. უწინდელს დროს იმდენი მცხოვრებლები ირჩენდნენ თავს ამ ჭურჭლისა და აგურ-კრამიტის ფასით, რადგან აქაურ თიხიდგან მშვენიერი და მაგარი გამოჰყავდათ ყველა ეს საჭირო მასალა. დღეს კი აქ კრამიტს არ აკეთებენ, რადგან უცხოეთიდგან მოტანილი უფრო იაფად ჯდება ბათუმში, ვიდრე აქაური ღა მერე ამ საქმის მცოდნენიც აღარ დარჩენილან. გარდა ამ ხელობისა, ბორჩხელები უპირველეს მენავეებათ ითვლებიან ჭოროხის ხეობაში და აქითაც კარგა ბევრს ფულს იღებენ (ახლაც ბევრი კარგი მენავეა). ამ გარემოებას ხელს უწყობს ისიც, რომ ბორჩხის დაახლოებით ოთხი ხეობის, კარგა დიდი სოფლების, სადაც 500-დის მოსახლე ითვლება, ე. ი. მეურეულის, დევსკელის, ჩხალის და კელასკურის. ქირნახული ბორჩხაში ისყიდება და აქედგან იგზავნება სხვა და სხვა ქვეყნებში. ამას გარდა ბათუმიდგან წამოსული ვაჭრები აქ დგებიან და აქედგან ბორჩხელთა დახმარე-

ბით იკეთებენ საქმეს. ამ ხეობის მცხოვრებლებითაც საჭიროება თუ მოითხოვს, ბორჩხელები გაჰყვებიან ვაჭრებს სოფლიდგან სოფლამდე, რომ არავინ არა აწყენინოს და საქონლის აღებაშიაც შემწეობა მისცეს. ამის გამო ესენი იმათგან გვარიანს სასყიდლებს იღებენ თავიანთის ჯაფის ფასად. ამის მეოხებით ბორჩხელებს, ვინც კი აქ დარჩენილან, უფრო მეტი ვაჭრობის შნო და უნარი ეტყობათ სხვა სოფლელებთან შედარებით. ოცის წლის ზედას ვერ ჰნახავ აქ იმისთანას, რომელსაც ადესიდგან მოკიდებული შავი ზღვის ნაპირი ქალაქები არ დაეაროს და იქაური ყოფაცხოვრების ამბავი არ გიამბოთ. თუმცა ამ ზღვისპირის ქალაქების ურიებისაგან ამათ ბევრი ზიანი უნახავთ, მაგრამ მაინც სიამოვნებით იგონებენ იქაურობას და რაც ორ-სამს ნავს ხილს იშოვნის, მაშინვე იქით მოაქვს და ასაღებს.

ასეთის აღებ-მიცემობის გამო მთავრობას დაუარსებია 1879 წელს აქ „ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება". მართლაც ამ პატარა სოფლიდგან იმდენი შემოსავალი აქვს ამ განყოფილებას, რომ ხარჯსაც ჰფარავს და ხაზინასაც სარგებლობა ჰრჩება: მხოლოდ ერთი რამ არა-სასიამოვნო ნაკლი ჰქონდა ამ განყოფილებას, რომელსაც ჯაფისა და წვალების გარდა, ხარჯიც ბლომად უნდებოდა დღემდის. ეს არასასიამოვნო მიზეზი ის გახლდათ, რომ მცირა-რამ ნივთის გაგზავნა გდომებოდათ, აქ კი არ მიიღებდნენ, თუ რომაული ბეჭედი არ ექნებოდა გასაგზავნს ნივთის დასმული. ამ ვარად ნივთი ჯერ ბათუმში უნდა ჩაგეტანათ და ან ორჯოხის საბაჟოში (ორჯოხის საბაჟო-კი აროვინიდგან ორმოცს ვერსზეა აქედგან). როგორც მოგეხსენებათ, ამ სიშორეზედ წასვლა-წამოსვლას დიდი ხარჯი და დღეების ღაღამება ეჭირებოდათ, რომელიც ფუხრისათვის დიდად საგრძნობელია, ბათუმში რომ აქაურს ფუხარს ჩაეტანა ნივთი. იმას რომ ერთი „აბუკატი" უნდოდა, რომ ესწავლებინა საბაჟოს გზა და საქმე გაერიგებინა. ამ ჯაფისთვის „აბუკატს" ხომ სასყიდელი დასჭირდებოდა, ასე ხომ 3 მანეთად ღირებულის ნივთის გაგზავნისათვის 5-7 მანეთი მაინც უნდა დაეხარჯა და რამდენიმე დღეც დაეღამებინა.

ეს რომ სიმართლეს არ არის მოკლებული, იმათი შეგვიძლიან დავასაბუთოდ, რომ ამ სამის თვის წინათ სამხედრო გამომძიებელს[22] ჩემსას სახელმწიფო ბეჭედი დარჩა, რომლის გაგზავნისთვის თქვენ-

მა უმორჩილესმა მონამ 6 მანეთი დავხარჯე. კაცის გაგზავნაგამოგზავნის გარდა მასთან ვის არა ვთხოვე ბათუმში, რომ შემწეობა მიეცათ ბიჭისათვის და ბეჭედი გაეგზავნინებინათ. მაგრამ სამწუხაროდ ბათუმშიც კი, სანამდის საბაჟოს ბეჭედი არ ექნება გასაგზავნს ნივთს დასმული, მანამდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში არ იღებენ, სწორედ საკვირველი იყო სახელმწიფო ბეჭედს, რაღა ბეჭედით შემოწმება ეჭირვებოდა, მაშინ როდესაც ზედვე იყო გამოჭრილი, თუ რა იყო, ან ვის ეკუთვნოდა გასაგზავნი ბეჭედი. ეს სწორედ ძველის ძველი პორტო-ფრანკოს ადათია, რომელმაც თავისი დრო უკვე მოჭამა და განისვენა, აქ-კი აქამდის არ დაუმარხიათ, ჩემის ფიქრით ამ უხერხულობის თავიდგან აცდენით მართლაც დიდს ჯაფას ააშორებდნენ როგორც ბათუმლებს, აგრეთვე სოფლელებს. ახლა-კი ჩვენდა სასიამოვნოდ ჩვენმა ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა უფ. ვასაძემ [23] იშუამდგომლა, სადაც ჯერ იყო, რომ ყოველივე ნივთი მიეღო საბაჟოს უბეჭდოთ და ნებართვაც მოუვიდა.

[ი. ჯ ა ი ა ნ ი]

30. „ივერია“, № 68, 1895 წ., 22 მარტი

სოფ. ბორჩხა

ჩვენსკენ საშინლად მძვინვარებს ყვავილი და ყელ-ჭირვება და დიდი ზარალიც მოაქვს. მხოლოდ ისიც-კი უნდა მოგახსენოთ, რომ ერთი სამწუხარო და არა სასიამოვნო ადათი აქვთ აქაურს ქართველ მაჰმადიანებს, დიდი იყოს თუ პატარა, რაც უნდა სენი გაჩნდეს სოფელში, კაცის თუ საქონლის, არ შეიძლება თავისს დროზედ შეატყობინონ, სადაც ჯერ არს და დროზედ მიეშველოს, ვისიც მოვალეობა არის, ამ სენის მოსასპობად. როგორც ეტყობათ და საქმიდანაცა სჩანს, ესენი ძალიან გულ-გატეხილები არიან ექიმ-ფერშლებზედ და ნდობის თვალით არ უცქერიან. ამისთანა გულ-გატეხილობა ექიმებზედ და ფერშლებზედ უნდა მიეწეროს იმას, რომ შარშან ორივე ოლქის ფერშლებმა დაიარეს სოფლები და ბავშვებს

ყვავილი აუცრეს. თითოეულ ბავშვის თავზედ თითო აბაზიც ჩაიჯიბეს? თითო აბაზს ჩვენი ჭირი წაუღია, ვინ იტირებდა, მაგრამ სამწუხარო ის არ ს, რომ თურმე ბოლოს შემოჰლეოდათ ყვავილის ჩირქი და ამ აბაზების ხათრისათვის უხაზეს ბავშვებს კლავები და ტყუილად ადინეს სისხლი. ამ ნაირად, ვინც იღბლიანი იყო და წინ-და-წინ აუცრეს, იმათ მართლა არ დაჰმართვიათ ყვავილი, ვისაც კი ბოლოს მოუწია, იმათში ერთიც არ გადარჩენილა, რომ არ დამართოდეს, და ბევრიც იმსხვერპლა. აი, ამისთანა კაცების მეოხებითაა, რომ ჩვენის ექიმ-ფერშლებისა ეშინიანთ და გაუ'ბიან, რაც უნდა გაჭირვება მიადგეს აქაურს ფუხარას კარზედ, ის მაინც არც ექიმს ატყობინებს და არც მთავრობას, რომ დროზედ მიეშველონ ავადმყოფს.

ამისთანა არასასიამოვნო შემთხვევის თავიდგან აშორებისათვის ძალიან კარგს იზამდა ადგილობრივი ადმინისტრაცია დაავალებდეს მუხთრებს, თუ ვინიცობაა ამისთანა სენმა იჩინა თავი სოფელში, მაშინვე აცნობონ მთავრობას, რომ იმან თავის დროზედ მიაშველოს ექიმი და ფერშალიცა, მაშინ საეჭვო არ არის, რომ აქაური ფუხრის ბაღნებს, ბევრს დაიხსნიდნენ სიკვდილის ხელიდგან. ეს ხომ ჯაფას არ თხოულობს არავისგან და დიდი სამამულო საქმეც იქნებოდა ყველასათვის. დევსკელის ხეობაში სამი სამამასახლისოა და ოჯახს ვერ იპოვით იმისთანას, სადაც 1-3 ბაღანა არ დაკლებოდეს ყვავილით, თუ კისერით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ არც ერთს მუხთარს ამ სენის შესახებ ერთი მოხსენებაც არ გაუგზავნია თავის უფროსთან მთელი ზამთრის განმავლობაში. ეს რომ ასე არ იყოს, არ შეიძლებოდა მთავრობას ექიმი არ გამოეგზავნა. ესეც ხომ დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა ფუხრისთვის.

ივ. ჯაიანი.

31. „ივერია", № 118, 1895 წ., 2 ივნისი

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდამ გვესმის, რომ ამა და ამ სოფელში სკოლა დაარსდა, ამა

და ამ სოფელში სამკითხველო გახსნესო და სსვა... ამ მხრივ ჭოროხის ხეობა უკან არის ჩამორჩენილი. ჩვენ არ მოგვეპოვება არც სკოლა, არც სხვა რამ გონების გასაწვრთნელი, თუმცა იმდენი შეძლება მოგვეპოვება, რომ შეგვიძლიან გავხსნათ სკოლაც და სამკითხველოც, მაგრამ თუ აქამდის არც ერთი გვაქვს და არც შეორე, ეს იმის ბრალია, რომ ფუხარებს არ ესმით განათლების ძნიცვნელობა. ამის შეგნებას დიდად ხელს უშლიან მოლა-ხოჯები. მაგრამ, საკვირველია, ჩვენი აღა-ბეგების ხელგაუნძრევლობა ამ საქმეში. ისინი ფუხარების ყველა საქმეს უძღვებიან, ყველაფერში მოთავენი არიან და რატომ ამ ფრიად კეთილ საქმისათვისაც არ იზრუნებენ. მათ თვით კარგად ესმით, რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს წერა-კითხვის გავრცელებამ მდაბიო ხალხს; მ. შ. რად არ ჩააგონებენ მას, რათ არ მისცემენ მათ მაგალითს, მით უმეტეს რომ, როგორც გავიგეთ, მთავრობას მოუსურვებია გახსნას ჩვენში რამდენიმე სკოლა.

ვარწმუნებ ამ შეგნებულ პირთ, რომ საჭიროა მათ ნაგალითი უჩვენონ ფუხარებს და ისინი თავისს წვლილს არ დაზოგავენ ამ სასარგებლო საქმისათვის.

ჩვენ ერთხელ გვქონდა სკოლა. ეს სკოლა ახმედ ეფენდიმ[24] გახსნა თავის ხარჯით და ჯეროვანი ნაყოფიც მოჰქონდა სკოლას, მაგრამ გარდაიცვალა პატივცემული ახმედ ეფენდი და სკოლამაც შესწყვიტა თავისი არსებობა.

(ი. ჯ ა ი ა ნ ი)

82. „ივერია", № 127, 1895 წ., 15 ივნისი

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). ამ ერთის კვირის წინად აქაურ ქართველთა მაჰმადიანების ყურბან ბაირამი იყო, მაგრამ აქამდის აქ მოლებს ვერ მოუხერხებიათ, რომ ეს საერო დღესასწაული მაჰმადიანთ ერთსა და იმავე დროს იუქმონ. დროის აღრიცხვის უყოდინარობისა და კალენდრის უქონლობის გამო ბაირამს სხვადასხვა დროს დღესასწაულობენ ხოლმე. ამითი, რასაკვირველია,

[illegible] ბრალდებულებია. საჭირო იყო, რომ ყოველგან, სადაც [illegible] [illegible] [illegible]

ხალამოს დროს, გაიმართება ჯირითი და ამითი ბოლოვდება ბაირამი და ყველა ნასიამოვნები ბრუნდება შინ.

ივ. ჯაიანი.

33. „ივერია“, № 150, 1895 წ., 19 ივლისი

სოფ. ბორჩხა

წრეევანდელმა წვიმიანმა დარებმა აქაურს ფუხარებს წალმა მოუბრუნა ბედი, რადგან გაზაფხულს აქეთ კვირა არ გასულა ისეთი, რომ წვიმა არ ყოფილიყოს და ეს ხომ, როგორც მოგეხსენებათ, მალამოა აქაურის ნიადაგისათვის. პურისა და ქერის მოსავალი წელს რომ არის, იმისთანა ჯერ აქაურს მოხუცებულებს არ ახსოვთ რომ ყოფილიყოს, მაგრამ სამწუხაროდ აქაური ფუხრები სიმინდს უფრო მეტსა სთესენ და ამისთვის ბევრი ნანობს ახლა, რატომ მთელს საყანეებში პური და ქერი არ დავთესეთო, მაგრამ აწ სინანული ამის გამო გვიან-ღაა. თუ რომ სიმინდის მოსავალსაც ამისთანა დარები დაურჩა, როგორც პურსა და ქერსა, მაშინ არავინ იქნება იმისთანა, რომ წრეევანდელს მოსავალს დაემდუროს. თუთუნის დარგვაც კარგა ხანია მოითავეს და, როგორც მოგეხსენებათ, ჯერ ამასაც კარგი დარები უდგას და აწ რა იქნება ღმერთმა უწყის. ფუხარებს ისე გაუტყდათ გული თუთუნის ფასის დავარდნის გამო, რომ იქიდგან ვერაფერს სარგებელს მოელიან, როგორც წარსულს წლებში, რადგან ჩარჩ-წურბელებს თავიანთის ვაჭრობის მეოხებით თითქმის ჩალის ფასად მიაქვთ. აბა რა ფასია აქაურის თუთუნისათვის, ორი მანეთიდგან ხუთამდის არავინ იძლევა. ერთი სიტყვით, ისე ეზიდებიან ჩარჩები, როგორათაც მათი სინდისი სჭრის და ეს, ხომ მოგეხსენებათ, ჩარჩებში არ მოიპოვება. აქაური ჩარჩები კარგ მეძებრებივით ათვალ-ყურებენ იმ დროს, როდესაც ფუხარას სახელმწიფო ხარჯის გადახდის დრო მიადგება კარზედ. რომ იმათი ხმა არ ისმოდეს, მაშინ ისინი სწორედ კალიასავით იქ გაჩნდებიან, რა-კი იციან, რომ ფუხარას იმ დროს უჭირს გროში და ის წამალსავით ესწრება გაჭირვებულთ: ოღონდ ამ დროს დაიხსნას

ჩარჩმა ფუხარა გარდასახადისაგან, თორემ იმან ათი მანეთის ღირებულ საქონელში ხუთი შეაძლიოს, ვინ რას ეტყვის. ამ ნაირად ჩვენი ნაოფლარით სხვები იკვებებიან და ჩვენ-კი წელიწადში ორ დღესაც არ ვღირსებივართ ხორციან საჭმელს.

ივ. ჯაიანი

34. „ივერია“, № 153, 1895 წ., 20 ივლისი

დიდი ხანია მას აქეთ, რაც რუს-ოსმალოს საზღვარზედ არ ნომხდარა ამისთანა მკვლელობა; როგორიც იყო ამ სამის ღამის წინად მურღულის ხეობაში, საზღვართან. როგორც ამბობენ სოფლელები, თითქმის ნახევარ საათზედ მეტი გაგრძობილა გაღმა-გამოღმა თოფების სროლა, რომლის მსხვერპლად გახდა ორი ლაზი, არჰავეს ოლქში მცხოვრები. პლასტუნის ჯარისკაცთა და ლაზებს შორის ამნაირი თოფების სროლის მიზეზი აი რა ყოფილა, როგორც მოგეხსენებათ, არჰავეს ოლქი ძალიან მწირი ადგილია, იქ ცოტა მოუდით ჭირნახული, რადგან ქვა-კლდიანი ნიადაგია. როგორც ამბობენ, ოც მოსახლეში ერთს ვერ ნახავთ, რომელსაც თავისი ნამუშევარი ჭირნახული წლიდან წლამდე ჰყოფნიდეს და ირჩენდეს თავს უსყიდველად. აი, ამიტომაც იქაური მცხოვრები ლაზები უმეტეს ნაწილად ს. დ. ს. ქვეყნებში არიან დაფანტული, და იქ მოგებულ ორ გროშით ირჩენენ თავსა და ქალ-ბალანასაც. მაგრამ იმათში ერთი ის არის კარგი, რომ თხუთმეტის წლის ზედსკაცს იმისთანას ვერ შეხვდებით, რომელმაც რამე ხელობა არ იცოდეს; ან არის კარგი დურგალი და არა და კარგი თუთუნის მომყვანი, ასე რომ თითქმის ამ ორის ხელობით ირჩენენ ისინი თავს, რადგანაც მურღულის ხეობაში კარგი თუთუნის მოსავალი იცის, ამის გამო ისინი გადმოდიან ამ ხეობაში, იღებენ მიწას აქაურ მცხოვრებლებისაგან და სანახევროდ მოჰყავთ თუთუნი. ამნაირად სანახევრო თუთუნი ჰქონიათ ამ დახოცილ ლაზებს მურღულის ხეობაში. წამოსულა იქიდგან ხუთი კაცი, რომ თითო ტვირთი თუთუნი გადაეტანათ და გაეყიდათ ოსმალოში, რადგან აქ მყიდველნი არ სჩანდნენ და რომ ყოფილიყვნენ, მაინც ნახევარ ფასად მიჰქონდათ აქაურ გაიძვერა ჩარჩებს, რო-

მელნიც ბლომად დაძვრებიან ხოლმე სოფლიდგან სოფელში, რათა მესამედ ფასად გამოსტყუონ ფუხარას ეს ერთად-ერთი სარჩო. რადგან აქედგან გამოჩენილად ვერ წაიღებდნენ ამ თუთუნს, იმათ ღამით მიჰქონდათ, რომ ყარაულებს არ გაეგოთ, მაგრამ ზედ საზღვართან წასწყდომოდნენ თავზედ დარაჯებს და ასტეხოდათ სროლა, რომელმაც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ორი კაცი შეიწირა. ამას გარდა, როგორც გვითხრეს მცოდნე კაცებმა, ამ ორის კაცის გარდა, ერთი მკლავში დაჭრილი ჩასულა თავისს სოფელში და ერთიკი ჯერაც არ მისულა შინ. როგორც ფიქრობენ იმისი ნათესავები, ისიც მოკლული უნდა იყოს და ეგდოს სადმე ტყეში. დღემდის დღე და ღამ დაეძებენ, მაგრამ ჯერ ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი.

[ი. ჯ ა ი ა ნ ი]

25. „ივერია", № 186, 1895 წ., 31 აგვისტო

ქ. ართვინი. 22 აგვისტო. გუშინ ღამ 11 საათზედ, ოც-დაერთს ამ თვეს, სწორედ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის თავ. ბარიატინსკის [25] მოსვლის წინა დღეს, ერთი შემაძრწუნებელი მკვლელობა მოხდა: მოჰკლეს ოფიცრების ქუჩაზედ, ნაჯახითა და კატლეტის საჩეხი დანებით ოცის წლის ყმაწვილი კაცი, მედუქნე მაჰმადიანი ნური ესრილ-ოღლი. ნურიას ჰქონდა პატარა ბაყლის დუქანი პლასტუნების ბატალიონის ჯარისკაცთა შტაბთან. მოკლულს გვარიანი შეძლებაც ჰქონია. როგორც საქმიდგანა სჩანს, ამ შეძლებამ შეიწირა ყმაწვილის კაცი. ნური დილა ადრიანად რომ მივიდოდა სახლიდგან, 11-12 საათამდის ღამის დუქანში იჯდა და მერე კი შუა ღამისას მიდიოდა შინ, მაგრამ სახლში წასვლის ხანს უნდა გაევლო ამ აფიცრების ქუჩით. ამისთანა მკვლელობის გამო დიდად შეწუხებულნი არიან მთელის ბატალიონის აფიცრები, რადგან ყველას მოსამსახურე და სინდისიანი ვაჭარი იყო, იმასთან თითო ორ შაურად უფრო იაფად ჰყიდულობდნენ ყოველგვარს სანოვაგეს. მოკლულის გულიდგან აუჭრიათ ფულის ჯიბე, სადაც ინახავ-

და თერმე მთელს თავისს შეძლებას. ამ მკელელობას აბრალებენ ოფიცრების მოსამსახურე ყაზახ-რუსებს, რომელნიც სამი კიდევაც შეიპყრო ადმინისტრაციამ. ამ საქმის გამო დღეს ბათუმიდგან ამოვიდა გამომძიებელი ოჰანეზოვი. აქაურ სოფლებში, სადაც ხალხი ცხოვრობს, ღამით არ არის საშიში სიარული და როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ქალაქში და ჯარისკაცებთან-კი საფრთხილო შეიქმნა გავლა-გამოვლა.

ი. ჯ. [ი. ჯაიანი]

36. „ივერია", № 188, 1895 წ., 2 სექტემბერი

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). ძველად, რომ სხვაგან სამცხე-საათაბაგოში მოიპოვებოდეს ამ დროებით იმდენი ძველიდგან დარჩენილი ქრისტიანობის ნაშთი, რამდენიც მოიპოვება სოფ. ბორჩხას ახლო-მახლო. ამ პატარა და კოპწია სოფელში თქვენ ნახავთ ორს ციხეს, რომელნიც ჯერ კიდევ, ნახევრად არ დაქცეულან; ამათი აქამდის მოღწევა დაუნგრეველად იმას უნდა მივაწეროთ, რომ ციხეები იყო უბრალო ქვით ნაშენი, ამის გამო არ დაუნახავთ იმათი დაქცევა საჭიროდ და ამისათვის დარჩენილა დღემდის თითქმის ხელ-უხლებლად და მთელად. ამას გარდა სამი ნასაყდრალიც არის, ხოლო ძველად თუ შეატყობთ, რომ იქ საყდარი ყოფილა. ამათი დაქცევის მიზეზი ის უნდა იყოს, ესენი ყოფილან ძვირფასის ჩუქურთმიანის ქვებით ნაშენი და როდესაც ეს სოფელი ძალით გაუმაჰმადებიათ, მოსპობილა ქრისტიანობა და მუსულმანობა გასჯდომიათ ძვალ-რბილში, მერე მიუყვიათ ხელი საყდრების ქცევა-ნგრევისათვის და ამ ჩუქურთმიან თლილი ქვებით უშენებიათ ახალ მაჰმადიანებს ბუხრები და ეზოებისათვის გალავნები. აქაურის მაჰმადიანების სახლში რომ შეხვიდეთ, ბევრ ალაგას შეხვდებით საყდრის ქვებით ნაშენ ბუხრებს და ზოგიერთ ალაგას ქართულ წარწერასაც წაიკითხავთ. გარდა ამისა, აქ თითქმის ყოველს ფეხის ნაბიჯზედ შეგხვდებათ იმისთანა ჭურები, რომელნიც არიან მიწაში ჩა-

კირული, რომ ორ კაცს თავისუფლად შეუძლია ჩავიდნენ და ერთმანეთს არ დაუშალონ, ისე ამორეცხონ. იმ დროს აქაურობაში მშვენიერი ბაღები ყოფილა, იმას ისიც გვიმტკიცებს, რომ დღემდის დარჩენილან მაშინდელი ვაზების ძირები, რომელნიც კარგა მოზრდილი ხის სიმსხონი არიან. ამ მხარეში თუ სადმე ხელუხლებლად დარჩენილან საყდრები, ეს იმას ნიშნავს, რომ მაჰმადიანთ საყდრების დანგრევა ცოდვად მიაჩნდათ. ხალხში კიდევ დარჩენილიყო შიში ეკლესიისა.

ბორჩხიდან ორი საათის სავალზე სოფ. პეტრულში არის ერთი პატარა ეკლესია, სადაც დღემდის დარჩენილა ხელ-უხლებელი ოთხი ქვა, აგრეთვე წმინდანების ნახატებიც. თუმცა კაცებს ბევრჯერ მოუნდომებიათ ამ ეკლესიის დანგრევა და იმის ქვების მოხმარება, მაგრამ ქალებს არ მიუციათ ამისი ნება, რადგან ქალებს იმისთანა სიზმარი უნახავთ, რომ კაცები ხელ-ახლად უსათუოდ რამე ხიფათს შეხვდებოდნენ იმის ეკლესიის დანგრევის გამო. ამისთანა ქალების სიზმრებს უნდა მიეწეროს დღეს რომ ვხედავთ ამ პატარა ეკლესიაში მშვენივრად შემონახულს წმინდანების ნახატებს, ბიბლწარწერებით, რომელიც ნახვისთანავე ოც-და-ათის წლის წინად გაკეთებული ხელოვნება გეგონებათ. ამ ეკლესიასთან ახლო მოსახლეა ერთი ღრმად მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ამას წინად სიზმარი უნახავს და უთქვამს, აქ უნდა მოვიდეს ერთი დევრიში (ბერი) და იმისმა ლოცვამ ბევრი სასწაული უნდა გვიჩვენოსო; მაგრამ იმას არ ამბობს, თუ რაში იქნება და როგორ ეს სასწაული. სანამ ახმედ ეფენდი ხალვაში იყო აქაურობის უფროსად, ეს ეკლესია სუფთად ჰქონია შენახული, რადგან ყოველს მხრით შემოევლებინებინა ღობე, რომლის გამოც საქონელს არ შეეძლო შესვლა საყდარში. რაკი ის გარდაიცვალა, მერე ღობეც დანგრეულა და დარჩენილა უპატრონოდ და ყურუგდებლად ამისთანა ძვირფასი ნაშთი ქრისტიანობისა. როგორც მითხრეს, ახმედ ეფენდის ერთი იქაური კაცი ჰყოლია ამ საყდრისთვის მიჩნეული, რომელსაც ღავალებული ჰქონია იმის სუფთად შენახვა და ამის გამო ის თურმე ჯამაგირსაც აძლევდა ამ სამსახურისათვის. დღემდის თუ მოუღწევია ტბეთის მონასტერს და ქვეყანას აკვირვებს მისი მაშინდელი ხელოვნება, ამის შესახებ აი რას მოგკითხრობს იქაური ასი წლის მოხუცი სულეიმან ომერ ოღლი. როდესაც ამათში მოისპო ქრის-

ტიანობა, რამდენიმე ათის წლის შემდეგ ამათის გამაჰმადიანებისა, მოისურვეს თურმე ეს მონასტერი გადაეკეთებინათ მეჩეთად და კიდევაც დაასიეს ოსტატები მინარეთის მისაშენებლად მონასტრებზედ. მინარეთი რომ სახურავს ააცილეს და კიდევ უპირებდნენ რამდენიმე არშინის ამაღლებას, იმ დროს ოსტატებს დაესხათ თავ-ბრუ და პანტასავით ძირს ჩამოცვივდნენ შვიდივე ოსტატები და დაიმსხვრნენ. ამისთანა მაგალითის შემდეგ დღემდის ხელუხლებელი დარჩენილა. დღესაც აჩნია მინარეთის მინაშენები ალაგი მონასტერს და რომ ჰკითხოთ იქაურს მოხუცებულებს, რატომ არ აუყვანიათ მინარეთიო, გიამბობთ ზემოხსენებულს მიზეზს.

ივ. ჯაიანი

37. „ცვერია", № 253, 1895 წ. 23 ნოემბერი

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). 3 ნოემბერს, აგერ თითქმის ათ დღეღამეზე მეტია, რაც განუწყვეტლად წვიმს, მაგრამ ჯერ არავის ახსოვს აქაურ მოხუცებულებს, რომ ამისთანა წვიმა როდისმე კიდევ ყოფილიყოს, რომელმაც რასაკვირველია, ძლიერ აადიდა, როგორც ჭოროხი, აგრეთვე სხვა პატარა ღელეებიც. 28—29 ოქტომბრის წყალ-დიდობამ ენით გამოუთქმელი ზარალი მისცა ყველა აქაურ მცხოვრებლებს, მაგრამ უფრო მომეტებული კი იმათ, ვინც ჭოროხის მახლობლად სახლობენ. ისეთი მოსახლე არ არის, რომელსაც ხუთი თუმნიდგან ორმოც თუმნამდის ზარალი არ ჰქონდეს ამ ნიაღვრისაგან. წყალმა სახლები დააქცია, საქონელი დაარჩო და ყანები წაახდინა. ამასთან რამდენი კაცი შეიწირა, ჯერ დაწვრილებით არავინ იცის, რადგან ჯერ-ჯერობით სოფლიდგან სოფელში ერთმანეთთან ვეღარ მიდიან უგზოობის გამო.

ჭოროხმა იმისთანა სახლები წაიღო, რომელნიც ასი წლის წინად იყო გაკეთებული და იმის ახლოსაც წყალი მისულიყოს არავის უნახავს. ჩვენს ახლოს სოფლებში შემდეგი უბედურება მოხდა. 28 ოქტომბერს სამი მოსახლე ქურთი მოდიოდა მთიდგან თავიანთ საზამთრო სამყოფ ადგილში კახაბერში და ღამის გასათევად დამდგარიყვნენ ჭოროხის ნაპირს სოფ. მარადიდთან. გადარეულმა ჭო-

როხმა ეს სამი მოსახლე ქურთი, სულ თორმეტი სული ადამიანი, წაიღო თავიანთი ბარგი-ბარხანით. იმათი წივილ-კივილის ხმა შორს გაისმოდა თურმე კაი ხანს, მაგრამ მშველელი არავინ გამოუჩნდათ. თუმცა იქვე ახლოს ყოფილიყო ვიღაცა ერთი მენავე, მაგრამ იმას საცოდავებისთვის შვიდი მანეთი ეთხოვა დასხნისათვის და ქურთს არ ჰქონდა ეს ფული ხელათ მიეცა და ამით დაეხსნა ამდენი სული. ის გულქვა მენავე შორიდან უცქეროდა, ჰოროხი როგორ მიაფრიალებდა ამდენ სულ ქალ-ბაღნებს თავის ტალღებში. ახლა, როგორც გავიგეთ სანდო პირისაგან, იმ დამრჩენლების ნათესავებს საჩივარი შეუტანიათ იმ მენავეზე.

ახლა ჩვენ თვალწინ მომხდარ ამბავსაც მოგახსენებთ. ბორჩხიდგან წაიღო ალი-აღა-კვესინ ოღლის ერთი ხის სახლი ორ-სართულიანი, რომელშიაც ვაჭრობდა ართვინელი სომეხი ბიბლიანცი, მეზობლებმა ეს სომეხი თავის შვილით გადაარჩინეს და რამოდენიმე საქონელიცა. ჰოროხს გაღმა, დასავლეთ მხარეს ოცამდის დუქანი იყო წყლის პირად გაშენებული, ორი ხის დუქანი იქიდამაც წაიღო და ზოგიც ნახევრად დაანგრია, ხალხი და საქონელი გადაარჩინეს.

ამას გარდა მურღულის, ჩხალის, დევსკელის და კელასკურის ხეობაში წისქვილები არ დარჩენილა, რომ არ წაეღოს, ამის გამო ძალიან გაჭირვებაშია ამ ხეობაში მცხოვრები; როდის ეღირსებათ დაფქული ჭირნახული, არ იციან. ერთი დიდად საჭირო ხიდი წაგვართვა ამ წყალდიდობამ, რომელიც იყო ჩხალის წყალზე. ამ ხიდის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებაშია მურღულისა და ჩხალის ხეობის ფუხარები [27].

ბათუმ-ართვინის ამბავი რომ საკითხავი აღარ არის, ისე გაფუჭა ნიაღვარმა; ნახევრამდის თითქმის ხიდები არ დაუტოვებია, რომ არ წაეღო, გზები სულ ჩამოშვავდა, ასე რომ ფეხითაც ძნელია გავლა, არათუ ცხენით. ამისთანა უგზოობის გამო აგერ მეათე დღეა, არც ბათუმიდგან ართვინში ფოსტა ვერ ამოდის.

გწერთ კი ამ წერილს, მაგრამ არ ვიცი, თქვენამდის როდის მოაღწევს ეს წერილი. როგორც გვესმის, ისე თუ არი გზები გაფუჭებული. მაინ კი, თქვენს ამბავს გვიან გავიგებთ. დღეს მეექვ-

სე დღეა, რაც ტელეგრაფიც არ მუშაობს ჩვენსკენ. როგორც გვითხრეს, მურღულისა და ჩხალის ხეობაში სამი სახლი წაუღია სიაღვარს, მაგრამ კაცები-კი გადარჩენილან სახლის ახლოს ხილის ხეების წყალობით; ამათ მოუსწრიათ ხეზე ასვლა და ქალ-ბალნების აყვანა. მართალია დიდად კი შეწუხებულან, ორი დღე და ღამე ხეზე ჯდომით და შიმშილით წვიმების გამო, მაგრამ მეორე დღეს, იმდენად გადაეღო, რომ მეზობლებს შეძლებოდათ მისვლა და ჩამოყვანა ხეებიდამ საწყალი ხალხისა.

აგერ მეთექვსმეტე წელიწადია მას აქეთ, რაც აქა სცხოვრობდა ორმოცდა-ათი წლის მოხუცი ფილიპე ომიანიძე (საჩინოელი); 2 ამ თვეს ოსმალოდამ გაქცეული ლაზები დაეცნენ თავს, ოთხ ალაგას ნაჯახით თავი გაუპეს, რაც მოეძევებოდათ სახლში გაზიდეს და გზას გაუდგნენ ოსმალოსაკენ.

ივ. ჯაიანი

38. „ივერია", № 16, 1896 წ., 21 იანვარი

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა)

ჯერჯერობით საკვირველი თბილი ზამთარია ჩვენში; ვისაც სამყოფი საქონლის საკვები არ ჰქონდა ბლომათ მომზადებული, იმათ მოჰხედა ღმერთმა და ამისთანები ხომ ბლომათ მოიპოვებიან ჭოროხის ხეობაში, იმათ არ გაუჭირდებათ ადვილად საქონლის შენახვა-გამოკვება, რადგან დღისით საქონელს საძოვრად გაიყვანენ ტყე-მინდორში. ვისაც საკმარისი შეშა-ფიჩხი არ ჰქონდა დამზადებული ზამთრისათვის, ის დღისით მაინც კაშკაშა მზის სხივებზე ითბობს ძვალსა და რბილს. ერთის სიტყვით, ახლა აქაურობაში გაზაფხულია. აგერ თითქმის თვენახევარზე მეტია, რაც საუცხოო თბილი დარები დგას და ამის გამო სხვადასხვანაირ ყვავილებმაც იჩინეს თავი. გორებზე ცოტათი წამოთოვლა, მაგრამ ჭოროხის ახლო სოფლებში ჯერ თოვლი არ გვინახავს. უცხო ქვეყნებიდამ ვინც

კი მოდის, სამოთხედ სთვლიან აქაურობას, რაღგან იანვარში ამისთანა თბილს დარებს ჰხედავენ.

ჩვენში ამ დროებით ახალი ამბავი ის არის, რომ, როგორც მოგეხსენებათ, აქამდის ლაზისტანის კორდონზე იდგნენ პლასტუნების ჯარისკაცები ყარაულათ; 30 დეკემბერს მოვიდნენ საზღვრების მოდარაჯე ჯარისკაცები და ამათ დაიკავეს საზღვართან ფოსტები; სადაც პლასტუნები ათი იდგა ფოსტაში, იქ ოცია ახლა მოდარაჯე ჯარისკაცი. ამნაირად დღეს უფრო გამაგრებულია ჯარის უმეტესობით ჩვენი საზღვარი.

ყაზახები რომ მოხსნეს კორდონებიდან, ადგილობრივი მცხოვრებლები დიდად გახარებული არიან, უფრო იმიტომ, რომ იქნება ახალმა ჯარისკაცებმა ისე არ გვაწვალონ, როგორც ყაზახებმაო. ეართლაც. მაგრამ ძალიან ხშირად გაისმოდა სოფლელსა და ყაზახებს შორის უსიამოვნება, რომელიც თითქმის კაცის სულის მსხვერპლით დამთავრებულა ხოლმე, მიზეზი ამისი ის გახლდათ, რომ აქაურ მცხოვრებლებს ისენი უშლიდნენ ოსმალოში გადასვლას თავიანთი ხისიმი-ნათესავების სანახავად. აქაურებს ოსმალოში საზღვართან ახლოს ბევრს ჰყავთ ზოგს მამა და ზოგსაც შვილები, რომლებიც ზაფხულობით ერთმანეთს შველიან ყანის მუშაობაში. ყაზახების დროს წელიწადი ისე გავიდოდა, რომ მამა შვილს ვერ ნახავდა, თუ ქურდულად არ გადაიპარებოდა საზღვარზე. ამ მიზეზებისა გამო, მამა შვილს და შვილი მამას ვერაფერ შეეწეობას ვერ აძლევდა, ვინიცობაა გაუჭირდებოდა რამე.

ესეც მიგვაჩნია საჭიროდ აღვნიშნოთ, რომ რაც ეს ახალი ჯარისკაცები დადგნენ, ზოგიერთს ადგილას ჭოროხის ნაპირზე, მაგ.: ართვინს, ბორჩხას, მარადიდსა და კაპანდიდში, მას აქეთ ართვინიდგან წამოსული დილის ცხრა საათზე ნავი საღამოს ვერ ასწრებს კაპანდიდში ჩასვლას. მიზეზი ამისა ის გახლავთ, როგორც მითხრეს, რომ ყველა ამ ზემოხსენებულს ადგილებში ჰსინჯავენ მენავეებს, რასაც ერთიდამ ორ საათს უნდებიანო. რაც უნდა ჩქარა გასინჯონ ნავი, მაინც ამ ხანის განმავლობაში ძლივს მოასწრებენ სავსე ნავის რიგიანად გაჩხრეკას. ამ მიზეზების გამო, როგორც მენავეები, აგრეთვე მოგზაურებიც იძულებულნი არიან შუა გზაზე ყავახანებში ათიონ ღამე. აქაური მენავეებისათვის ყავახანებში ღამის გათევა ძნელი არ არის, მაგრამ სხვა მოგზაურებისათვის კი, სწორედ მო-

გახსენოთ, ვერ არის სასიამოვნო სხვადასხვანაირი ღამის რაინდებისა გამო, რომელნიც ბლომად მოიპოვებიან ბათუმ-ართვინის გზაზე ყავახანებში, ვინც არ იცის ეს ახალი ამბავი, ის ართვინიდამ აგზავნის ტელეგრამას ბათუმში და იქიდამ იბარებს ეტლს ნაშუადღევის სამს საათზე კაპანდიდში. დანიშნულს დროზე უგზავნიან ეტლს, მაგრამ ეტლის დამბარებელი მეორე დღეს ჩადის კაპანდიდში და იმის მაგიერად, რომ დროზე ჩავიღეს და სამი მანეთით მორჩეს მეეტლეს,, მას 8-10 მანეთამდის ხარჯი მოსდის. ჩემის ფიქრით, კარგი იქნებოდა მოგზაურებისთვის, ამ ოთხს ფოსტაზე არ გადაიჩეხონ ხოლმე და აკმარონ ერთს ადგილზე გასინჯვა, მისცენ მენავეს ბილეთი, რომ ის გასინჯულია, ნავების გასინჯვა უფრო მოხერხებული იქნება ართვინის ფოსტაზე მაშინ, როდესაც ნავს სტვირთვენ და მოგზაურები სხდებიან, ამითი დაიხსნიან მგზავრებს ბევრის უსიამოვნებისაგან.

ივ. ჯ ა ი ა ნ ი.

39 „ივერია", № 41, 1898 წ., 22 თებერვალი

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ც ი ა

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა), 14 თებერვალი, 18 იანვრამდის ისეთი კარგი დარები იდგა აქეთ, რომ ფუხრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა., ვისაც ცოტა ჰქონდა საქონლისათვის საკვები ზამთრისათვის, იმათი საქონელი თითქმის ტყე-მინდორში ბალახობდა, მაგრამ დადგა თუ არა 18 იანვარი, ეს სიხარული ფუხრებს ცრემლად და ვაებად შეეცვალათ. დაიწყო განუწყვეტლივ დღე და ღამ თოვა, ასე რომ აგერ სამ კვირაზე მეტია, რაც ამინდი არ შეცვლილა. ამისთანა გამუდმებულის თოვლისა გამო, ჭოროხის ნაპირიდამ ორი არშინიდამ სამამდის თოვლი დასდვა; ჯერ არ ასსოვთ აქაურს ხნიერს კაცებს ამისთანა თოვლი როდისმე ყოფილიყოს. წინა წლებში ამ დროს ჭოროხის ხეობაში ხვნა-თესვის თადარიგში იყვნენ ხოლმე ფუხრები, თხა, ცხვარი და ძროხა მინდორ-ტყეში დადიოდა ხოლმე და ამით გაჭირვებულს ხალხს საკმაო შეელავათი

ჰქონდა, მომეტებით იმათ, ვისაც საქონლის საკვები საკმაო არა ჰქონდა. ადამიანს გული უწუხდება, როდესაც ყოველის მხრით საქონლის ბღავილი მოესმის შიმშილის გამო; მომეტებულ გაჭირვებაში ისენი არიან, ვისაც წვრილფეხა საქონელი ბღავდა [illegible], შიმშილისაგან ბევრი ეხოცებათ.

გარდა ამისა სოფლელთ უგზო-უკვლობის გამო ერთმანეთის ნახვა უჭირთ. იმდენად შეწუხებულია ხალხი, რომ წისქვილამდის გზა ვერ გაუთხრია, რომ დაფქული სიმინდი ქალ-ბაღანას მიაწოდოს და შიმშილის გამო შეწუხება თავიდამ აიშოროს. დილიდამ საღამომდის ფუხარა სახლის სახურავიდამ ვერ ჩამოსულა, რომ გზა გაიკვალოს, რადგანაც ეშინია თოვლმა სახლი არ დაანგრიოს და სახლობა არ ამოუწყვიტოს. სახლებსა და ეზოებში ვეებერთელა გორები არის [illegible] და იმათში სახლები [illegible]. ეი ამის გამბა, რომ ფუსარას წისქვილამდე გზის გაკეთება ვერ მოუხერხებია. მეზობლიდამ მეზობლამდის მისვლა-მოსვლა ხომ გასაჭირი შეიქმნა, რის გამო ერთმანეთს ველარ შველიან გაჭირვების დროს. ისე გულგატეხილია ამჟამად აქაური ფუხარა, რომ არ ჰგონიათ, თუ ოდესმე გამოიდარებს და იმათს გაჭირვებას ბოლო მოეღება. ზეგან სოფლიდამ როგორც იყო ოთხი კაკი ჩამოვიდა თოლამურებით ბორჩხას და გვიამბეს, ჩვენს სოფელში ოცდაშვიდი მტკაველი თოვლი არისო: როგორც ხალხი, აგრეთვე საქონელი შიმშილისა გამო ძრიელ შესწუხდენო.

ამას თავი დავანებოთ. ჩვენი სადარდელი ამჟამად. ეს არის, რომ აგერ ერთი თვე სრულდება, რაც ბათუმ-ართვინის გზა შეიკრა და ფოსტას გამოვეთხოვეთ. ამ წლის გაზეთების თითო-ორ-ორი ნომრის ღირსი-ღა გავხდით და დანარჩენი კი სად არის და როდის გვეღირსება იმათი მიღება, ალლაჰმა უწყის; ამის გამო დიდათ შეწუხებულები ვართ აქაურები. დიდის თოვლის გარდა ბევრგან ზვავია ჩამოწოლილი, მერე ზოგიერთი ისეთ ალაგებზეა, რომ გზის აქცევაც ყოველად მოუხერხებელია. ამ თვის ხუთს, გზის ინჟენერისაგან იყო განკარგულება, რომ მუშები იშოვონ და გზაზე თოვლი და ზვავები გაწმინდონ, მაგრამ მუშების შოვნა ძნელი შეიქმნა, რადგან, ერთი რომ ფუხარა თავისს სახლს ვერ მოშორებია და, მეორეც აქაურის ქართველ მაჰმადიანების რამაზანია (მარხვა).

როგორც ეტყობა, ბათუმის მეყასბეების მდგომარეობაც ვერ არის ამ დროებით სანატრელი, რადგან ამ გზებზე აგერ ერთ თვეზე მეტია იმათს საქონელს ვერ გაუვლია უგზოობის გამო, აქაურმა ბენაველებმა ძალიან გააძვირეს საქონლის გატანა ბათუმიდამ ართვინში; ათი შაური — სამი აბაზი მიაქვთ ფუთში და ისიც ღიდის ცვეწნითა და მუდარით. ზაფხულში თუ ოთხს დღეზედ მიდიოდა ბათუმიდამ ართვინს, დღეს თითქმის ერთს კვირას უნდება და ამის გამო ხარჯიც მეტი მოსდით საყაველებში ღამის გათენებით, რადგან ყველაფერი ძვირია ამჟამად.

ბენაველები არიან ფუხარები იმითი, რომ აქეთ არავითარი სენი არ მძვინვარებს, როგორც სხვა დროს, თორემ ჩვენი დუშმანი, ამოიყლეტებიდა ხალხი უექიმო-უწამლობით.

როგორც მოგეხსენებათ აქაური ფუხარების ამბავი. თითქმის ნახევარზე მეტი ნაყიდის ჭირნახულით ირჩენს თავს. რადგან თავისი დედულ-მამულიდამ სამყოფი არ მოსდის; ასე რომ თითქმის ნახევარი წლის საჩოს კაბალიდამ ეზიდებიან. ახლა რა-ი [illegible] შეიკრა, იქიდამაც ვერ მოაქვთ ნამუშევარი და საწყალს ხალხს ცალკე დიდი ზამთარი უჭირებს საქმეს და ცალკე ჭირნახულის ღარბენლობა. რომელს ერთს გაუძლოს ბეჩავმა ხალხმა?

აქაური რუს-ოსმალოს მოსაზღვრე დარაჯი ჯარისკაცებიც მოსსნეს. რადგან თავის დროზე ადგილზე არ ჰქონდათ საზამთრო სურსათი დამზადებული. როგორც იქიდამ ჩამოსულმა ჯარისკაცებმა გვიამბეს, ორ საკენწზე მეტია თურმე სინორზე თოვლი და სანამდის მოხსნიდნენ დიდი გაჭირვება გამოიარეს თურმე შიმშილით, თუ სიცივის გამო.

თუმცა ძალიან უფრთხილდებიან ბორჩხელები სახლებს თოვლმა თავზე არ დაანგრიოთ, მაგრამ ვერას გახდნენ და ერთი მუჰაჯირის სახლი და ორიც საბძელი მთლად დააქცია თოვლმა. კაცს და საქონელს არაფერი ზიანი მოსვლიათ, რადგან დღისით მოხდა ეს ამბავი და მალე მიეშველნენ.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავრობისაგან განკარგულება არის, რომ ბათუმიდან ართვინამდის ფოსტა ნავით ატარონ სანამდის ამ გზებზე ცხენების სავლელი გზა გაკეთდებოდეს. იქნება ღმერთმა გვი-

შეელოს და ამ თვეში ვეღირსნენ გაზეთებისა და წერილების ცი-ღებას?

ივ. ჯაიანი

40. „ივერია“, № 89, 1896 წ., 25 აპრილი

სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). 16 ამ თვეს ჩხალის ხეობაში, სოფ. მამანათს, ჩხუბი მოუხდათ ორ გაყოფილ ძმას; ჩხუბის დროს რევოლვერით დასჭრეს ორი ქალი და ერთი კაცი. აი საქმე როგორ ყოფილა: ერთი ძმის საქონელი მეორე ძმის ყანაში შესულა, ამის გამო მოსვლიათ ჩხუბი და ერთის ძმის შვილს უძვრია რევოლვერი და დაუცია ბიძისათვის, ბიცოლასათვის და მათი ქალისათვის. ორი-ვე ქალებს გულში ჰქონიათ ტყვია მოხვედრილი და ტანშივე დარ-ჩენილი, რის გამო მორჩენის იმედი არა აქვთ თურმე, თვითონ კაცს მკლავში მოხვედრია და საშიშიც არ არისო. დამნაშავე ამჟამად გაქცეულია და მთავრობა დაეძებს. მკვლელს შარშან მამისათვის უსროლია თოფი, მაგრამ ვერ მოურტყამს. როგორც ეს ამტკიცებს, იგი სულით ავადმყოფი უნდა იყოს.

[ი. ჯაიანი]

41. სოფ. ბორჩხა (ჭოროხის ხეობა). ძნელი სათქმელი და წარ-მოსადგენია ადამიანისათვის ის გაჭირვება, რომელიც აქაურებმა გამოიარეს ამ ზამთარს. არ დარჩენილა დიდი და პატარა, აღა და ეფენდი, რომ ამ უხსოვარ ზამთრისაგან ზიანი რამ არ მისცემოდეს. ყველაზე უფრო საგრძნობელი და სამძიმო ის არის ფუხრებისა-თვის, რომ ერთად-ერთი სარჩო საყანეები ხელიდამ გამოეცალათ და ზოგს ერთი კვირის სამუშაო საყანეც არ შერჩენიათ. ფუხრის სიხარულს საზღვარი არა აქვს, თუ სახნავ სათესი მიწა საკმაოდ აქვს, ამინდიც ხელს უწყობს და ჭირნახულიც სამყოფი მოსდით. როგორც ვიცით, სანამდის გადასახლების ვადა ჰქონდათ აქაურებს ოსმალეთში, ამ ვადის განმავლობაში თითქმის ნახევარზე მეტი ნა-წილი კიდევაც გადასახლდა და იმათი ადგილ მამული დარჩათ მათ,

ვინც აქ მამა-პაპეულ მამულზე დარჩა. ასე და ამნაირად აქაურობაში იმისთანა მოსახლეს ძნელად შეხვდებით, რომელსაც 2-5-მდის გადასახლებულ ოჯახის მამულის არ დაეპიროს და მათი მამულით არ სარგებლობდეს. მაგრამ რაა? ამ გარემოებაშიც-კი, როდესაც იმდენი მუჰაჯირების მამულები ხელში აქვთ, სამყოფი ჭირნახული არ მოსდით, რომ ნახევარ წლამდის მაინც გაჰყვეთ ნამუშევარი... პირველი მიზეზი ამისი ის არის, რომ აქეთ ერთობ ქვა-კლდიანი ადგილებია საყანეები და ერთს კვირას რომ წვიმა არ ნახოს ნიადაგმა, სიცხისაგან იწვის. მეორე მიზეზად-კი ის უნდა ჩაითვალოს, რომ აქაური ქართველი მაჰმადიანები ხელგამოღებული მუშები ვერ არიან და ქალების (აქეთ ქალები მეტს მუშაობენ) ნახნავ-ნათესს თუ ნახევარ წლის სამყოფი მოაქვს, ესაც კარგია. სხვა პირობებში იქნება გასაყიდიც მორჩენოდათ, მაგრამ საქმე ის არის და სამწუხაროც, რომ აქაური მამაკაცები უფრო ყავახანებში აღამებენ დღეს და ყანა-ბოსტნის მოვლის დარდით თავს არ იწუხებენ.

წელს-კი ამ სიზარმაცეს დიდი ზამთარიც ზედ დაერთო და თითქმის ნახევარზე მეტ მცხოვრებლებს, სადაც კარგი საყანეები ეპადათ, მთის ფერდობზე გაკეთებული, ზვავმა ჩამოურეცხა და ამრიგად ფუხარა ცალიერზედ დარჩა.

ძალიან იშვიათია აქაურობაში იმისთანა მოსახლის პოვნა, რომელსაც ამ ზამთრის გამო ზარალი არ მისცემოდეს საყანეების წართმევით, თუ საქონლის დახოცვით. ვისაც წვრილფეხი საქონელი ჰყავდათ, იმათ ხომ მესამედი ნაწილი არ შერჩენიათ შიმშილისა და სიცივის გამო.

აქაურებს დიდი იმედი ჰქონდათ კახაბრის საყანეებისა, სადაც ბლომად მოდიოდა სიმინდი და იაფად შოულობდნენ, მაგრამ კახაბრის საყანეებსაც სადაც არის ბოლოს მოუღებს ჭოროხი და მთლად წანაშავს. ყოველს ეჭვს გარეშეა, მთელს კახაბრის მინდორს ზღვას შეუერთებს ჭოროხის მდინარე, თუ ამ ორ წელიწადში რაიმე საშუალება არ იხმარეს მის წინააღმდეგ.

ერთი ბედნიერება ფუხრებისა ის არის, რომ სახელმწიფო გადასახადი დიდი არ ადევთ და მამულის რაოდენობისა და სხვა შემოსავლის მიხედვით აწერენ თვითეულს კომლს სოფლის მუხთარი. მეჯლისი და იმამი. არც მამასახლისისა და მწერლის ჯამაგირის გადასახადი აწუხებს ფუხარას, რადგანაც უჯამაგიროთ უნდა ემსახუ-

რონ სოფელს. მწერლის მოვალეობას ასრულებს მეჩეთის იმამი (ხოჯა), რომელსაც წლიური ჯამაგირი ეძლევა და ისიც ძალიან ცოტა. დიდის ღვთის წყალობა იქნება მოლასათვის, რომელსაც ას კომლზე მეტი მრეველი ჰყავს, წელიწადში ეძლეოდეს ას მანეთზე მეტი და იმასაც ნახევარი ფულად არ იხდის: აძლევენ სიმინდს, ლობიოს, კაკალს, ერბოს და ყველს, ვისაც როგორ შეუძლიან და ეხერხება. ამ შემთხვევაში ხოჯები ძალიან კარგად იქცევიან, თავისს დღეში არ ეტყვის იგი თავისს მრეველს, რომ გინდა თუ არა ფულადი დამითვალეო, როგორც ეს სხვა სარწმუნოების სამღვდელოებაში ხდება ხოლმე ხშირათ. ძალით რისიმე წართმევა საზოგადოდ დიდ ცოდვად მიაჩნიათ მოლებს. სამწუხაროდ, აქ ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოლებს ძალიან იშვიათად შეხვდებით და თუ არიან ისინიც ღრმად მოხუცებულები. აქედან ასში ორი ახალგაზრდა იქნება წავიდეს სტამბოლში სასწავლებლად, მაგრამ ისინიც იქვე რჩებიან და არ უნდათ თავიანთს სამშობლოში დაბრუნება. ამრიგად, ოცის წლის შემდეგ ადგილობრივი მოლა სანთლით საძებნელი გახდება.

ი. ჯაიანი.

42. „ივერია", № 78, 1897 წ., 22 აპრილი

სოფ. ბორჩა (ჭოროხის ხეობა)

ერთი თვალსაჩინო, მაგრამ სამწუხარო, ახალი ამბავი მოუტანა ახალმა წელმა ქ. ართვინს. ოფიციალურად კი ამ ქალაქის მკვიდრს სომხებს. ეს ახალი ამბავი ის არის, რომ აგერ 17-18 წელიწადზედ მეტია, რაც ქ. ართვინში დაბანაკებულნი არიან პირველის პლასტუნის ყაზახის ჯარისკაცები, რომელთაგან 40-50 ათასს მანეთზე მეტი შემოსავალი ჰქონია ართვინის ქალაქსა და ამითი ცოტად თუ ბევრად, იქაური სომხები სულს იბრუნებდნენ, ის სომხები, რომლებიც ოსმალოს ბატონობის დროს ათასნაირად იყვნენ წვალებულნი. ეხლა შარწანწინდელმა ნიალვარმა ართვინი შუაზე გაჰყო და მოაშორა ქალაქის ნაწილი და ჭოროხისაკენ რამდენიმე სა-

ჟენი დაჰქანა შენობებით. ზედ შერჩენილი საყდარი და ზოგიერთი შენობები დასკდა მიწის თავ-დალმა დაქანების დროს და, რასაკვირველია, ვინც ამ ნაწილში მოჰყვა, თავზარი დაეცათ, დღე და ღამე ჭოროხისაკენ მოელიან ჩაცოცვას სახლკარიანად.

ამ მოზვავებულს ნაწილში მოჰყვა პლასტუნების ჯარისკაცთა ბანაკიც. ბატალიონის უფროსმა შეატყობინა თავის დროზედ ეს ამბავი მთავრობას და აუხსნა, რა მდგომარეობაშიც იყო ჯარისკაცთა ბინა და ამასთან ისიც, რომ თითქმის ყოველ დღე მცირეოდენ წვიმის შემდეგ ეტყობა, რომ მიწა თანდათან ქვევით იწევს და საშიშია ჯარისკაცთა იქ დაყენებაო. მთავრობამ გამოჰგზავნა თავისს დროზედ მთამადნის ინჟენერი, რომელმაც დაათვალიერა ეს ადგილები და იმ აზრს დაადგა, რომ დიდი დრო არ უნდა და ეს ადგილები ჩაწვება ჭოროხშიო, ამიტომ ჯარის აქ გაჩერება საშიშიაო. მთავრობასვე განკარგულება მოუხდენია, რომ მთელის ბატალიონის შტაბი და ორი ასი, რომელიც დროებით ართვინში სდგას, გადაიყვანონ ქ. არტანუჩს, გამოგზავნილია სამხედრო ინჟინერი კაპიტან კანავალოვი[29], რომელმაც უნდა მიუჩინოს იქ ბინა ამ ჯარისკაცებს. თუ ვინიცობაა ვერ იშოვნიან ჯარის მოსათავსებელ სადგომს, მაშინ კარვებში უნდა დადგნენ და ამითი აიშორონ თავიდგან ყოველ დღე მოსალოდნელი ხიფათი.

ასე და ამნაირად მთავრობის განკარგულებისამებრ ართვინს ეკარგება ერთად ერთი შემოსავალი წყარო. როგორც გავიგეთ, ქალაქის მხრით გაუგზავნიათ თხოვნა. სთხოვენ ისევ აქ დარჩენილ ეს ჯარისკაცები, მაგრამ არა გვგონია მთავრობამ შეიწყნაროს. მთავრობა უსათუოდ მოსთხოვს ქალაქს იმისთანა პირობებს, რომლის შესრულება მოუხერხებელი იქნება. ამ ბოლო ხანებში სანდო კაცებისაგან გავიგეთ, რომ ვითომ ერთი ასის და ბატალიონის შტაბის გადმოყვანა უთხოვნიათ სოფ. ბორჩხაში. როგორც სახელმწიფოსათვის ისევე ჯარში მოსამსახურესათვის ძლიერ სასარგებლო იქნება ასეთი ცვლილება. სახელმწიფოსათვის იმითი, რომ ბატალიონის ბარგი-ბარხანას, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ ართვინიდგან არტანუჩში ათი ათასი მანათი ვერ გადაიტანს და ბორჩხაში-კი ასი თუმანი არ დასჭირდება ამ საქმეს. შტაბში მოსამსახურეთათვის ძლიერ სასარგებლო იქნება, რადგან ბათუმს დაუახლოვდებიან.

მარტო ის იანგარიშეთ, რომ ბათუმიდგან არტანუჩში სანოვაგის ატანა ერთი ათად მეტი ჯდება, ვიდრე ბორჩხამდე, მაგალითად ფუთი ნავთი ბათუმში ღირს ათი შაური და არტანუჩში კი ოთხი მანეთი. იმედი გვაქვს ამ ცოტა ხანში გავიგებთ გადმოიტანენ თუ არა შტაბს ბორჩხაში და თუ გადმოიტანეს-კი დიდი ღვთის წყალობა იქნება ჩვენთვის.

ივ. ჯაიანი.

შენიშვნები

1. 1881 წელს კონტრიშის მაზრის უფროსი იყო კაპიტანი ზაქარია ზაქარიას ძე ბაშბეუქ-მელიქოვი. ამ მოხელის ასეთი უარყოფითი შეფასება შემთხვევითი არ არის. მართალია, ი. ჯაიანი ერთი გავლით და განგრძნობ მოგვიოხრობა მის შესახებ, მაგრამ იგი აქაც ობიექტურია. ზ. ზ. ბაშ-ბეუქ-მელიქოვის თვითნებობაზე იმდროინდელ ქართულ გაზეთებშიც ბევრი იწერებოდა. სოფელ ქობულეთის მცხოვრებლებისგან ამ ვაჟბატონს მზის ძვირფასი ხე მოუსურვებია. ხე მართლაც მოჭრეს და სახლში მიუტანეს, მაგრამ ახლა ჩინოვნიკს უბრძანებია მხარზე გაიდეთ და თხუთმეტი ვერსის მანძილზე ჩაიტანეთო. ამაზე სოფლელებს უარი უთქვამთ, რის გამო მუხთარი ჯოხით გაულახავთ. ამ ამბის მომწერი გვიწერენებს, რომ „ქობულეთიდან ამ უკანასკნელად ხალხის გადასახლების ერთი მიზეზთაგანი ეს იყოო", — წერს „დროება" (25 მაისი, 1881 წ. № 105). იმავე გაზეთის ცნობით, მაზრის უფროსი ნებისმიერ დანაშაულზე ქობულეთელებს იქერდა, და თუ მათ არ ჩაუდენიათ, დამნაშავეებს მალავენ ან ეცოდინებათ, ვინ არის დამნაშავეო. ასეთი განუკითხაობა და უსამართლობა ცუდად მოქმედებდა ისედაც გაღიზიანებულ მოსახლეობაზე. ამის შესახებ მოსახლეობას ქობულეთში ჩასულ ბათუმის გუბერნატორისათვის, გენერალ-მაიორ ალექსანდრე მიხეილის ძე სმეკალოვისათვის შეუჩივლია, 500 მოსახლის გადასახლება და სოფლების დაცარიელება ბ. ბ. მელიქოვისათვის დაებრალებიათ და მოუთხოვიათ მისი აქედან გადაყვანა. გუბერნატორს შეუწყნარებია ხალხის თხოვნა და ულირსი ჩინოვნიკი გაუძევებია, ხოლო მის ნაცვლად კონტრიშის მაზრის უფროსად დიმიტრი ალექსანდრეს ძე ვირუბოვი, ხოლო თანაშემწედ ალექსანდრე როსტომის ძე არობელიძე დაუნიშნავთ.

2. ჩ.-ჩურუქ-სუ—ქობულეთის მაშინდელი სახელი.

3. მურადბეგი ქრისტიანი თავადის მაქსიმე თავდგირიძის და ელენე გურიელის შვილის. ცნობილი ხასანბეგის ვაჟია. იგი ქობულეთში ცხოვრობდა. ბიძის, ოსმანბეგ თავდგირიძის შემდეგ დევრიშ ფაშამ იგი ქობულეთის ჯარების წინამძღოლად დანიშნა. სულთანის სამსახურში მყოფი მურად თავდგირიძე დიდ უურადღებას იჩენდა თანამემამულეებისადმი. ომის დროს ხუცუბანში, ჯიხანჯურში და მუხაესტატეში განლაგებულ რუსეთის ჯარს, რომელიც დაზავებას ელოდა, ცხენების საძოვრად ისპანის მინდორი დაუთმო, ხოლო ქართველთა ლაშქარს შავშეთის მმართველის ნერი ხიმშიაშვილის მსგავსად ოსმალთა ჯარისათვის განკუთვნილი სურსათი დაურიგა. „ჩვენებუოს კაცს თუ ვინმეს ნახავს, ძრიელ პატივს სცემს. მთელი ოსმალოს ატრიადის სურსათი ქობულეთში მი-

დინ და იქიდან ყველა ჯარებს ურიგებენ", — წერს 1878 წლის 20 ივლისის გაზეთ „დროების" კორესპონდენტი „ქობულეთელი".

ომის დამთავრების შემდეგ, 1878 წლის სექტემბერში დევრიშ ფაშას ქობულეთში 160 სუარი (გამტაცებლები) გამოუგზავნია ქობულეთლების ოსმალეთში გადასასახლებლად, მაგრამ ეს ამბავი მურადბეგ თავდგირიძემ გაიგო და სუარები ქობულეთიდან განდევნა („დროება", № 190, 21 სექტემბერი, 1878 წ.).

როგორც ი. ჯაიანის წერილიდან ჩანს, მურადბეგ თავდგირიძის სახლი ქობულეთში მეჩეთის უფროსს ზ. ზ. ბაშ-ბეუქ-მელიქოვს უყიდნია.

4. 1868 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად იყო გენერალ-მაიორი ალექსანდრე ეგნატეს ძე გროსმანი.

5. პრასკოვია სერგის ასული უვაროვა (1840—1924), — მოსკოვს საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯდომარე 1884 წლიდან (შეცვალა ამ წელს გარდაცვლილი მეუღლე გრაფი ალექსი სერგის ძე. უვაროვი).

თედო სახოკიას უფრო ზუსტი ცნობით, პ. ს. უვაროვას საციხურის ეკლესიიდ ნ წაღებია „მინის ჯუჯ ლის ნამტვრევები. ღვთისმშობლის ხატი თხელი ბრინჯაოსი, რკინის რგოლები, სულ პატარა და ტლანქად ნაკეთი ჯვარი რკინისა, ორი ეფანი თითბრისა, რკინის გასაღები, რკინის დანა, რკინის და ბრინჯაოს ჩხირები, ეკლესლის ღილები, ნატეხი მინის ფიალასი, ნახატიანი და ნატეხი ქვის ხატისა, ხელოვნურად ნაჩუქურთმეი, ქართულმხედრულწარწერიანი. ამ ქვის ხატზე გამოსახულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და სხვა წმინდანები. იატაკზედ ნაპოვნია მრავალი ნატეხები თიხის ჭურჭლებისა. აგრეთვე უპოვნიათ რქები არჩისა და წყვილი ირმის რქა, რომელსაც ორივე ბოლო განგებ წაწეტებული ჰქონია" (მოგზაურობანი". თბილისი 1950 გვ. 138).

6. კავკასიის არმიის კორპუსის მეთაური, გენერალ-ადიუტანტი ივანე გივის ძე ამილახვარი (1829—1905), ქართლის მსხვილ ფეოდალთა შთამომავალი, ცნობილი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე. მის სახელთან სამხედრო საქმის გარდა, მრავალი მამულიშვილური საქმეა დაკავშირებული.

1897 წელს იგი გორის მაზრაში მონაწილეობს შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიაში, სოფელ ქვემო ჭალაში ხსნის სამეღიცინო პუნქტს და მოსახლეობას უფასოდ ურიგებს წამლებს. აქვე გამართა საგარაკო ადგილი.

1898 წელს მასთან გორში სტუმრად ჩამოდიან ბარონი დე ბაი და კრაფტი. იმავე წელს შიშვილობის დროს სოფელ ალში გლეხებს ეკვილი დაურიგა. აღაღგინა დანგრეული ხიდი გორში, პირველმა დადგა ელნათურა.

1899 წელს თავისი ხარჯით განიზრახა გორის ციხემდე წყლის გაყვანა და ბაღის გაშენება, გამოყო ფული ღარიბ ჯარისკაცებზე დასარიგებლად. ინიშნება სამრეველო სკოლების მზრუნველად, განაახლა გორის ციხე.

1901 წელს, სტ. ჭრელაშვილთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთთან საქართველოს შეერთების საიუბილეო კომისიაში (იუბილე აღარ გამართულა). ქაშეთის ახალი ტაძრის აგებაში. ამავე წელს თავს ანებებს სამსახურს. 1902 წელს აღინიშნა ი. გ. ამილახვარის სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავი.

7. ი. გ. ამილახვარი

8. ა. ე. გროსმანი

9. 1893 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი იყო გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ იაკობის ძე შალიკაშვილი.

10. ართვინის ოლქის უფროსი, პოდპოლკოვნიკი მიხეილ იაკობის ძე ერისთავი-შერვაშიძე.

11. ართვინის უბნის უფროსი, შტაბს-კაპიტანი იასონ კონსტანტინეს ძე აბაშიძე. შემდგომში იგი ართვინის ოლქის უფროსად დაუწინაურებიათ. მოკლეს 1904 წლის მაისში.

12. ბათუმის ოლქის მილიციის ფეხოსანთა მეორე ასეულის მეთაური, კაპიტანი ფარსადან გიორგის ძე მიქელაძე. სხვათაშორის ამ პიროვნებას ართვინის უბნის უფროსთან ი. კ. აბაშიძესთან ერთად 1893 წ. ართვინში ნ. ბარათაშვილის ფონდისათვის შემოწირულობანი შეუტანიათ.

13. ბათუმის ოლქის ტყეთა ზედამხედველი, მესამე რანგის ტიტულარული მრჩეველი ალექსანდრე ივანეს ძე აბაზაძე.

14. გონიოს უბნის უფროსი, პორუჩიკი ვასილ დიმიტრის ძე ლეონიძე.

15. ახმედ ხალვაში რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე დაინიშნა ართვინის უბნის უფროსად. შემდეგ გადაიყვანეს გონიოს უბნის უფროსად, სადაც 1891 წლამდე მუშაობდა. გარდაიცვალა 1895 წელს. მის სახელთან ბევრი მამულიშვილური საქმეა დაკავშირებული. ქართული ისტორიული ძეგლების დაცვის გარდა, ა. ხალვაში აქტიურად მონაწილეობდა ქართული წიგნების გავრცელებაში. ხოჯა-მოლების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი ხელშეწყობანელობით 1893 წელს მარადიდში გაიხსნა ქართული სკოლა. სამწუხაროდ, ამ საინტერესო მამულიშვილის მოღვაწეობა ჯერჯერობით საფუძვლიანად არ არის შესწავლილი.

16. თუ გავითვალისწინებთ იმ სამწუხარო გარემოებას, რომ უცხოთა ხელში დარჩენილ ქართულ მიწა-წყალზე ტოპონიმები თანდათან მივიწყებას ეძლევა და ბოლოს სულ ქრება, ი. ჯაიანის მიერ მოტანილ ამ სიას უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ადგილთა სახელების დიდი ნაწილი უკვე გამქრალია. მათ ვერ ვხვდებით აგრეთვე ჩვენს დროში გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც. ასე მაგალითად, პროფესორ ი. სიხარულიძის წიგნში „ნიგალი", რომელიც 1985 წელს გამოვიდა, ი. ჯაიანის სიიდან არ არის შეტანილი თერთმეტი გეოგრაფიული სახელი (ბანავნა, ვაზრია, ვალაშენი, ირსა, კვარესანი, ლიმანი, მამანათი, ოღრიალი, ფვანი, სანათისი, სკემა), ზოგი კი არასწორად მოიხსენიება.

17. პასიკი ნიკოლოზ ბოგდანის ძე

18. სუხანოვი ნიკოლოზ ილიას ძე

19. ა. ი. აბაზაძე

20. ართვინის ბოქაულის თანაშემწე, ტიტულარული მრჩეველი ნერსეს იერემიას ძე ტერ-ანტონიანი.

21. ამ დროისათვის ოზურგეთის მაზრაში ქიქოძეთა გვარის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ: გერასიმე, ლავრენტი, ნიკოლოზ და ნატალია.

22. ოგანეზოვი არშაკ ივანეს ძე

23. [illegible] ბორჩხის საფოსტო განყოფილების უფროსი. კოლეგიის მრჩეველი ალექსანდრე ლაზარეს ძე ვასაძე. ორთვენში საფოსტო განყოფილების ეკეროსად მაშინ იყო ტიტულარული მრჩეველი დავით ალექსანდრეს ძე თუხარელი.

24. ახმედ ხალეაში

25. ი. ჯაიანი ცდება. ამ დროს ქუთაისის საბჭოდ[illegible] [illegible] თანაშემწე იყო ბარონი ალექსანდრე იულის ძე ფონ-დერ-ბიურგერი. ალექსანდრე ანატოლის ძე ბარიატინსკი, გენერალ-მაიორი, ამ დროს მსროლელი ბრიგადის მეთაური იყო.

26. ოგანეზოვი არშაკ ივანეს ძე.

27. „ივერიის" აქარელი კორესპონდენტის ა. მიქელაძის ცნობით, საშინელ წვიმებს და წყალდიდობას მოჰყოლია ნაპრალების გაჩენა. ბევრი სახლი დანგრეულა, მდინარის პირას არსებული სახნავ-სათესი მიწიანად წაულეკია წყალს, ხეხილიც განადგურებულა. იყო ადამიანთა მსხვერპლიც. „რამოდენიმე კაცი იმსხვერპლა აქარის წყალმა. ჯერეთ რამოდენიმე გვამებიც არ უპოვიათ" — ბ. — იტყობინება ავტორი. („ივერია", N. 266, 1895 წ., 9 დეკემბერი).

ამ საშინელ წყალდიდობაა თავის ვრცელ შრომაში ეხება ავერიანი ერიანი ე. ვ. ერიკსონი. მისი ცნობიდან ვგებულობთ, რომ ადიდებულ ჭოროხს ზიანი მიუყენებია ბათუმის მახლობელი სოფლებისათვისაც; „1885 წლის 28 ოქტომბრის ღამით და 29 ოქტომბერს საშინელი წყალდიდობის დროს წყალმა მთლიანად დაფარა კაპანდიდი და მეჯიდიე. გაზეთების ცნობით, მარტო 160 სულზე მეტი პირუტყვი დაიღუპა. იყო ადამიანის მსხვერპლი" (Э. В. Эриксон. Опыт санитарного обзора окрестностей Батума. Мед. еб. импер. Кавказ. мед. общества, № 63, 1901, с. 17).

28. როგორც ი. ჯაიანის ამ ცნობიდან ირკვევა, ფ. ომიანიძე ქვემო ივერეთის სოფელ. საჩინოდანაა. იგი ს. ბორჩხაში გადმოსახლებულა რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე. ჩვენ ვერ გავარკვიეთ მისი საქმიანობა და გადმოსახლების მიზეზი.

29. კონსტანტინე ვასილის ძე, [illegible] ქუთაისის საინჟინრო დისტანციის სამხედრო ინჟინერი და სამუშაოთა მწარმოებელი, ერთდროულად მუშაობდა ღოთის ციხის არქიტექტორადაც.

დიალექტების და უცხო სიტყვების ლექსიკონი *

აპუკატი (22) — რუს. ადვოკატი, ვექილი
ახთი (14) — აქტი, გვირგვინი
ახირი (8) — წარღვნა
ბელა (4) — შარი, ხათაბალა
გოგარჩინი (10) — მტრედი
დუნია (4) — ქვეყანა
ეზიეთი (17) — წვალება, ჯაფა
თუჯარი (24) — ვაჭარი
ირცხლება, გარცხვლა (11) — იკაფება, გაკაფვა
კატარი (10) — ფიქვი
მინნეთი (17) — დასამადლებელი
მუდირი (22) — ბოქაული
მუხთარი (11) — მამასახლისი
ოყა (.) — წონის ერთეული, 1200 გრამი
რაზი (4) — კმაყოფილი
რეიზი (28) — მენავეთა ხელმძღვანელი
საკო (12) — პალტო
საღლამი (4) — ჯანსაღი
სენეთი (23) — საბუთი
სეჯეთი (23) — ვექსილი, პირობა
სინორი (28) — მიჯნა, საზღვარი
ფესი (12) — მცირე მოცულობის ქუდი
ფუხარა (4) — ღარიბი
ყაიმაყამი (22) — კაიმაკამი, ოლქის უფროსი
ყურაღი (8) — გვალვა
ჩერმუქი (10) — წყარო

---

* წერილების რიგითი ნომერი ფრჩხილებშია ჩასმული.

ცხრო (4) — ციება
ხანუმი (26) — ქალბატონი
ხართა (8) — რუს. კარტა, რუქა
ხეფსი (9) — ხევსი, საუზმე
ხისიმი (6) — ნათესავი
ჯაიზი (24) — სასარგებლო, სასურველი
ჯევნეთი, ჯენნეთი (12) — სამოთხე
ჯეიზი (14) — მზითევი
ჰავაჩალღუნი (18) — სეზონური, ამინდთან დაკავშირებული ავადმყოფობა (აქ გრიპი).
ჰამაელი, ჰამაილი (14) — თილისმა

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი *

ა) პირთა

აბაზაძე ალექსანდრე ივანეს ძე 55, 77, 121
აბაშიძე იასონ კონსტანტინეს ძე 51, 55, 121
ამილახვარი ივანე გივის ძე 45, 48, 120, 121
არობელიძე ალექსანდრე როსტომის ძე 119

ბაირამოღლი მემედ აღა 81
მეევლუდი (ბაირამოღლი მამედ აღას შვილი) 81
ბარათაშვილი ნიკოლოზ 121
ბარატინსკი ალექსანდრე ანატოლის ძე 104, 122
ბაშ-ბეუქ-მელიქოვი ზაქარია ზაქარიას ძე 119, 120
ბიბლიანცი 108
ბოლქვაძე გენჯაღა 80, 82.
ბულატოვი ი. ი. 75

გაბრიელი 89
გიორგი ალექსანდროვიჩი (მემკვიდრე ცესარევიჩი) 95
გროსმანი ალექსანდრე ეგნატეს ძე 120, 121
გურიელი ელენე 119

დ ბაი (ბარონი) 120
დევრიშოღლი ხასან 39. 40
დევრიშფაშა 119, 120

ერიკსონი ე. ვ. 122
ერისთავი მიხეილ იაკობის ძე 51, 55, 121
ესრილოღლი ნური 104

ვასაძე ალექსანდრე ლაზარეს ძე 98, 122
ვირუბოვი დიმიტრი ალექსანდრეს ძე 119

თავდგირიძე მაქსიმე 119
თავდგირიძე მურადბეგ 39, 119, 120
თავდგირიძე ოსმანბეგ 119
თავდგირიძე ხასან ბეგ 119
თამარ დედოფალი 58, 59
თაფაროღლი მემედ 65
თუხარელი დავით ალექსანდრეს ძე 122

კერაშიძე იბრაიმ-აღა 95
კვესიოღლი ალი-აღა 108
კონოვალოვი ლეონიდ ვასილის ძე 117, 122
კრაფტი 120

ლეონიძე ვასილ დიმიტრის ძე 58, 121

---

* ჩამოთვლილია მხოლოდ ის სახელები, რომლებიც მოხსენიებულია წერილებში და შენიშვნებში (რ. ს.)

მა[illegible]ძე მ. 90
ძახარაძე ბ. 90
მეგვეფ-აღა 51
მიქელ[illegible]ძე აბდულ 122
მიქელაძე ფარსადან გიორგის ძე 52, 121

ოგანეჯოვი არშაკ ივანეს ძე 105. 121
ომერიოღლი სულეიმან 106
ომიანიძე ფილიპე (საჩინოელი) 109, 122

პასეკი ნიკოლოზ ბოგდანას ძე 73, 121
პ. იხ. პასეკი

სალეკვაძე 39
სასოკია თედო 120
სიხარულიძე იური 121
ს.-ეი, იხ. სუხანოვი ნ. ი.
სვეკალოვი ალექსანდრე მიხეილის ძე 119
სოფიოღლი ჰაჯი-აღა 65
სუხანოვი ნიკოლოზ ილიას ძე 74, 121

ტერ-ანტონიანცი ნერსეს ერემიას ძე 79, 121

უვაროვა პრასკოვია სერგის ასული 42, 120
უვაროვი ალექსი სერგის ძე 120

ფონ დერ ბ[illegible]ი ალექსანდრე იულის ძე 122

ქიქოძეები (გერასიმე, ლავრენტი, ნიკოლოზი, ნატალია) 50, 121
„ქობულეთელი" 120

შალიკაშვილი მახეილ იაკობის ძე 121

ჩრელაშვილი სტეფანე 120

ხალვაში ახმედ 59, 100, 106, 121, 122
ხასანი (ქურთი) 40
ხიმშიაშვილი ნური-ბეგ 119

ბ) გეოგრაფიულ სახელთა

აგარა 42
ადესა (ოღესა) 97
ავანა-62. 80
ათაგული 62
ალი 120
არავეთი 62,
არდაგანის ოლქი 49, 94
ართვინი 43—45, 48, 49, 51, 52, 54, 60, 65. 68, 69, 72. 73, 77. 79, 85, 95, 104, 108, 110-113, 116, 117, 121. 122.
ართვინის ოლქი 51, 62, 69, 70, 77, 86, 121.
არტაანი (არდაგანი) 71, 87.
არტანუჯი 77. 117, 118
არჩეთი 62
არხვა 51, 54. 62
არპაეეს ოლქი 103
აჭარა 42. 63, 79, 94, 101
აჭარისწყალი 72, 95, 122
ახალდაბა 62
ახალციხე 41, 42, 71, 74, 79
ახალციხის მაზრა 40

ბაგინი 62.
ბათუმი, ბათომი 38, 40—43, 46—48, 54, 55, 58, 60—65, 67—75, 77, 78 96, 98, 105, 108, 111—113, 117—119, 122
ბათუმის ოლქი 46, 51, 52, 86, 121
ბანავნა 62, 121.

ბაშკოი 62
ბასეი 89, 90
ბახმარო 91
ბეღლევანის ხეობა 78
ბეშიული 62
ბორჩხა 43—47, 49, 51, 53, 56, 57. 60, 62, 66, 68, 69, 71—73, 75, 77, 79, 81, 83, 85, 86, 92—94, 96—100, 102, 105, 114, 116—118, 122.
ბურსა 63

ბეული 62
გიაურ-ისმითი 88, 89
გონიოს საბოჭალო 62, 76, 121
გორის მაზრა 120
გურია 38, 89, 90, 92, 95, 101

დაკეირა 62
დამპალა 62, 80
დასავლეთი საქართველო 90
დაღესტანი 74
დეეეს ღელე 58
დეესკელი 62, 96, 108
დეესკელის ხეობა 98
დეზქოი 62

უაზრია 62, 121
ვალაშენი 62, 121
ვარჯგანი 62

ზეგანი 112
ზემო აჭარა 40, 41, 56, 64, 69, 70, 86, 101

თურქეთი 121
თხილაური 62

ირსა 62, 121
ისმითი (იზმითი) 88, 89
ისპანი 119

კაპნიდი 69, 71, 77, 110, 111, 122
კარტლა 62, 90
კარჩხალის მთა 53, 53
კატაფხე 43
კახაბერი 44, 54, 61, 64, 70, 71, 73, 75, 107, 113, 115
კელასკური 62, 77, 96
კელასკურის ხეობა 108
კვარესანი 62, 121
კვინტაული 62
კინტრიში 38
კინტრიშის მთა 38, 119
კინსხურეთი 62
კორტანეთი 62

ლაზისტანი 49, 119
ლიმანი 49, 121
ლიხაური (ლეხოური) 38

მაკრეთი 62
მამანათი 62, 114, 121
მარადიდი 54, 62, 65, 107, 110, 121
მაშქოითი 78
მესხეთი 101
მეჯიდე 122
მეჯინისღელე 75
მოსკოვი 42, 120
მურღული 96
მურღულის ხეობა 50, 51, 54, 55, 80, 103, 108, 109
მუხაესტატე 119

ოზურგეთი 38, 121
ოთინკო 53, 57—59
ომანა 62
ორჯი 62, 80
ორჯოხი 49, 97
ოსმალეთი 49, 50, 55, 61, 63, 64, 72—74, 80, 82, 83, 86, 88, 93, 96, 103, 109, 110, 119, 120
ოღრიალი 67, 121

პანჭურეთი 62
პეტერბურგი 48, 78, 94
პეტრული 62, 106

ჟვანი 62, 121

რუსეთი 66, 120, 121

სამეხრაო 62
სამცხე-საათაბაგო 105
სანათისი 62, 121
საქართველო 83, 99, 120
საჩინო 109, 122
საციხური 42
სინკოტი 48, 62.
სკემა 51, 121
სტამბოლი 79, 88, 116
სულჯუნა 78

ტბეთი 106
ტბეთის მონასტერი 106
ტრაპენი 54, 62
ტრაპიზონი 63, 96
ტფილისი, თბილისი 87, 94.

ურძუმა 62

ქვაბლიანი 40, 41, 101
ქვედა აჭარა 41, 57, 64, 69, 70, 86, 101
ქვემო იმერეთი 122
ქვემო ჭალა 120
ქობულეთი 90, 91, 119, 120
ქუთაისი 40, 48, 50, 51, 80, 87, 94, 104, 120, 122

ყარა-დერე (შავი ხეობა) 78
ყუბანი 43

შავი ზღვა 97
შავშეთი 119
შავშეთ-იმერხევი 44
შეკვეთილი 91
შვახევია 62

ჩოლოქი 38
ჩურუქ-სუ 39, 119
ჩხალი 96
ჩხალის წყალი 108
ჩხალის ხეობა 108, 109, 114

ცოცხობა (2

ჭანეთი 95
ჭკადუეთი 62
ჭოროხი 46, 48, 51, 54, 65, 69—72, 74, 75, 77, 95, 96, 107, 110, 115, 117, 122
ჭოროხის ხეობა 53, 57, 65, 67—69, 71, 73, 75, 77, 79, 81, 83, 85, 86, 92—96, 99, 100, 105, 107, 109, 111, 114, 116
ხატილა 62
ხება 65
ხოფა 49
ხულა, ხულო 40
ხუცუბანი 119

ჯიხანჯური 119

შინაარსი

ივანე ჯაიანი (ცხოვრება და მოღვაწეობა) 3
წერილები შავშეთიდან 37
შენიშვნები . . 119
დიალექტების და უცხო სიტყვების ლექსიკონი 123
საძიებლები 125

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
კორექტორი ლ. თორდუა

გადაეცა წარმოებას 4.03.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.11. 91.
საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16 პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8,5
სააღრ.-საგამომც. თაბახი 6,53 ტირაჟი 1000 შეკვეთის № 132
ფასი 1 მან. 40 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.